

ჩიბიონული კვლევა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

რეგიონული კვლევა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შესახებ ჩატარდა ევროპის საბჭოსა და ევროპული კომისიის ძირითადი მიზნების საპასუხოდ, აღნიშნულ ქვეყნებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად.

თითოეულ ქვეყანაში მომუშავე მკვლევარებმა ხარისხობრივი ინფორმაცია წარმომადგენელ როგორც ქალების მდგომარეობის, ისე იმ ქალების გამოცდილების შესახებ, რომლებმაც არჩევით თანამდებობებზე იყარეს კენჭი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში არსებობს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის სამართლებრივი საფუძველი, რეალობა საკმაოდ განსხვავებულია. სტერეოტიპული შეხედულებები და წარმოდგენები საზოგადოებაში ქალთა როლის შესახებ გავლენას ახდენს იმაზე, როგორ იყრიან ქალები კენჭს კანდიდატებად და რამდენად წარადგინენ და ირჩევენ მათ.

ევროპის საბჭო დარწმუნებულია, რომ წინამდებარე კვლევა, კარგი პრაქტიკის მაგალითებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიწოდებით, დაეხმარება არჩევით თანამდებობებზე ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობის აღმოფხვრას, რითაც გააძლიერებს დემოკრატია და ადამიანის უფლებებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

KAT



ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა ნაშენი ორგანიზაცია კონტინენტზე მასში განვირინებული 47 სახელმწიფო, რომელთაგან 28 ევროპული კავშირის წევრია. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, ხელშეკრულებას, რომელიც შემზავებულია ადამიანის უფლებების დემოკრატისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მედამუდველობას უწევს კონვენციის განხორციელებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროპული კავშირი უნიკალური ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორობაა 28 ევროპულ დემოკრატიულ ქვეყანას შორის. მისი მიზნებია: მშვიდობა, კეთილდღეობა და თავისუფლება თავისი 500 მილიონი მოქალაქისათვის - უფრო სამართლიან, უსაფრთხო მსოფლიოში. ამასთანავე ევროკავშირის ქვეყნებმა შექმნეს ძირითადი უწყებები, რომლებიც მართავენ მას და ქმნიან მის კანონმდებლობას. ესენია: ევროპული პარლამენტი (წარმოადგენს ევროპის საბჭოს), ევროკავშირის საბჭო (წარმოადგენს ეროვნულ მთავრობებს) და ევროპული კომისია (წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს).

<http://europa.eu>

Partnership for Good Governance პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის



რეგიონული კვლევა ქალთა პოლიტიკური
წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ
კარტნიორების ევყნებში

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო
სამოქალაქო საგობალოების
ორგანიზაციებისათვის

ევროპის საბჭო

სარჩევი

ბადლიწარების ნიშნად	5
რეზიუმე	7
შესავალი	11
პროექტის განხორციელების მიზნები	11
კვლევის მიზანი	12
კვლევის სფეროები	12
შერჩეულ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილების მიზნები	13
თავი 1 - მეთოდოლოგია	19
მეთოდოლოგიის შერჩევა	19
თავი 2 - პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ არსებული ვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში	23
საარჩევნო დამკვირვებელთა კომენტარები	25
გენდერული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები	26
თავი 3 - კვლევის მიზნები	29
ა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები	29
ბ. პოლიტიკური ფაქტორები	45
გ. სამართლებრივი ჩარჩო	60
დ. ხელშემწყობი ღონისძიებები	84
თავი 4 – დასკვნები	93
თავი 5 – რეკომენდაციები	97
კონკრეტული ქვეყნისათვის	97
ყველა ქვეყნისათვის	98
ჩარჩოს მიღმა	102
დანართი 1 - კომუნიკაციური ნარატიული მიმოხილვის კითხვარი აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაზე	115
დანართი 2 - ინტერვიუების ნიმუშები	131

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები გამოთქმულია ავტორთა პასუხისმგებლობით და არ არის აუცილებელი, ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით: ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი, ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის, ასლის გადაღებით, ჩაწერით, ან ინფორმაციის შენახვისა თუ ამოღების ნებისმიერი სისტემის მეშვეობით, კომუნიკაციის დირექტორატის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int).

ყდის დიზაინი: დოკუმენტებისა და პუბლიკაციების წარმოების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭოს პუბლიკაციების სექცია: insécable სტრასბურგი

ევროპის საბჭოს გამომცემლობა F-67075 სტრასბურგი Cedex <http://book.coe.int>

Original English version:
REGIONAL STUDY ON WOMEN'S POLITICAL REPRESENTATION IN THE EASTERN PARTNERSHIP COUNTRIES
 ISBN 978-92-871-8306-4
 © Council of Europe, November 2016
 Printed at the Council of Europe

ქართული თარგმანი:
 რეგიონული კვლევა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში
 © ევროპის საბჭო, ივნისი 2017

მადლიერების ნიშნად

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ევროპის საბჭოსა და ევროპის კომისიის 2015-2017 წლების პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში. სწორედ ამ კონტექსტში ახორციელებს დემოკრატიის გენერალური დირექტორატის საარჩევნო მხარდაჭერისა და მოსახლეობის აღწერის განყოფილება (DGII) რეგიონულ პროექტს „საარჩევნო კანონმდებლობისა და პრაქტიკის რეფორმა და საარჩევნო საკითხებში რეგიონული თანამშრომლობის განვითარება“.

წინამდებარე ანგარიში და დასკვნები მოამზადა ქ-ნმა დაიენ ბანიანმა, გენდერული თანასწორობის დამკვიდრების (GEM) საკონსულტაციო კომპანიის დირექტორმა, კითხვარის მონაცემები კი გაანალიზა ბ-ნმა დორუ პეტრუტიმ, სტატისტიკის ექსპერტმა მარკვეტინგისა და კვლევების ინსტიტუტიდან (IMAS).

კითხვარებსა და ინტერვიუებზე მუშაობდნენ მკვლევარები ექვსი ქვეყნიდან: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. ღია ტენდერის პროცედურის საფუძველზე ევროპის საბჭომ მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა Promo-LEX-თან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან (NGO), რომელიც კოორდინაციას უწევდა ქვეყნის მკვლევარებს. მიღებული ინფორმაციის (მათ შორის ინტერვიუების გზით) სენსიტიურობის გამო გადაწყდა, არ გამჟღავნებულიყო ადგილობრივ მკვლევართა სახელები.

კვლევის საყოველთაო კოორდინაცია უზრუნველყო საარჩევნო მხარდაჭერისა და მოსახლეობის აღწერის განყოფილებამ (DGII), ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის სამდივნოსა და ევროკავშირის გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის თანამონაწილეობით.

რეზიუმე

3 ვლევამ გამოავლინა ძირითადი ფაქტები და ბარიერები, რომლებიც ზღუდავს ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობას აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა).

ყველა ქვეყანაში ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, პოლიტიკური თანამდებობის დაკავებისა და არჩევის ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, როგორც საკანონმდებლო (ეროვნულ), ისე ადმინისტრაციულ (ადგილობრივ) დონეზე.

ყველა ქვეყნის პარლამენტში ქალები ადგილების 20%-ზე ნაკლებს ფლობენ, გარდა ბელარუსისა, სადაც პარლამენტართა 30%-ია ქალი.

თითოეული ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ზოგადი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალობა განსხვავებულია. კონკრეტული ზომების გატარების შემთხვევაშიც კი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული წინსვლის ნიშნები. აღსრულების ეფექტიანი მექანიზმების ნაკლებობა ასუსტებს რამდენიმე კონკრეტული მექანიზმის შედეგს, რომლებიც ამ მიმართულებით დაინერგა.

თუმცა, ყველა საკვლევ ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ძირითად ბარიერს ქმნის სტერეოტიპული შეხედულებები და წარმოდგენები საზოგადოებაში მათი როლის შესახებ. ისინი გავლენას ახდენს ქალების პოზიციებზე ეკონომიკაში და შრომის ბაზარზე, რაც ამცირებს ქალების მიერ საკუთარი კანდიდატურის წამოყენების, მათი შერჩევისა და თანამდებობებზე დანიშვნის ალბათობას.

გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსისა და ქვეყნის მკვლევართა მონაცემები აჩვენებს, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, შრომის ბაზარზე ნაკლებად მონაწილეობენ, ხოლო მათი სავარაუდო მთლიანი ეროვნული შემოსავალი მამაკაცებისაზე ნაკლებია. მოლდოვაში ქალების შემოსავალი მამაკაცთა შემოსავლის 77%-ს შეადგენს, ხოლო საქართველოში - 50%-ს.

მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტ ქალს აქვს უმაღლესი განათლება, თუმცა, უფრო ნაკლებად იკავებენ თანამდებობებს ცენტრალურ ადმინისტრაციაში. ისინი, მამაკაცებისგან განსხვავებით, ძირითადად ისეთ დაბალანაზღაურებად სფეროებში მუშაობენ, როგორცაა საჯარო სექტორი.

ამით გამოწვეული ფინანსების ნაკლებობა ასევე დიდ ბარიერს ქმნის და ხელს უშლის ან ზღუდავს ქალების უნარს, კენჭი იყარონ ან აწარმოონ ეფექტიანი კამპანია.





კვლევის მონაცემთა თანახმად, ამ მხრივ მოქალაქეების დამოკიდებულება იცვლება.

ანგარიშში შესწავლილია პოლიტიკური პარტიების როლი ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მხარდაჭერაში და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ქალები არ ასრულებენ მთავარ როლს პარტიის პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოებში, მათ საკითხებსა და პრობლემებს კი არ ითვალისწინებენ ამომრჩევლებისათვის წარდგენილ პოლიტიკასა და პროგრამებში.

მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს კარგი პრაქტიკის მაგალითები, ხელშემწყობი ღონისძიებები და სტრატეგიები - რეკომენდაციებთან ერთად - რომლებიც შეიძლება დაინერგოს რეგიონში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად.

შესავალი

პროექტის განხორციელების მიზანბაზი

გენდერული თანასწორობა მთავარ როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვასა და დემოკრატიის ფუნქციონირებაში. არ იქნება სწორი, ქალთა გამოცდილება, უნარები და პრობლემები სრულად არ იყოს წარმოდგენილი და ასახული იმ საზოგადოებათა კანონებსა და ყოფაში, რომლებშიც ცხოვრობენ.

ისეთი საერთაშორისო სტანდარტები, როგორცაა გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), ცხადყოფს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური ცხოვრების ყველა ასპექტსა და დემოკრატიულ პროცესში სრულად მონაწილეობისათვის. ევროპის საბჭო წლების განმავლობაში უსვამდა ამას ხაზს, როგორც ძირითად კონვენციებში, ისე მინისტრთა კომიტეტის, საპარლამენტო ასამბლეისა და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის რეკომენდაციებში.

ქალთა და მამაკაცთა თანასწორი პოლიტიკური უფლებების ფორმალური აღიარების მიუხედავად, პოლიტიკურ პროცესში - მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებში განვლადებისა და ჩართულობის, კანდიდატის სტატუსით კენჭისყრის, შერჩევისა და საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოებში თანამდებობათა დაკავების მხრივ - კვლავ მამაკაცები დომინირებენ. ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში Rec(2003)3 პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებულ მონაწილეობაზე აღნიშნულია, რომ „მამაკაცები აწესებენ პოლიტიკურ პრიორიტეტებს და პოლიტიკური კულტურა კვლავაც მეტისმეტად ორიენტირებულია მამაკაცებზე.“ მდგომარეობა არ შეცვლილა 2016 წელსაც.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, როგორც კანდიდატების, ასევე არჩეულ წარმომადგენელთა სახით. გარდა ამისა, საიმედო და ერთმანეთთან შესადაარებელი ოფიციალური თუ არაოფიციალური მონაცემები პოლიტიკაში ქალთა მდგომარეობის შესახებ ნაკლებად მოიპოვება.

ევროპის საბჭოს 2014-2017 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უკეთესად განხორციელდეს რეკომენდაცია პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის

შესახებ Rec(2003)3, ხოლო ევროკომისიის 2010-2015 წლების ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის სტრატეგია მოგვიწოდებს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, პოლიტიკური დიალოგისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მხრივ არსებული ვითარების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკისა და წარმატებული პრაქტიკის მაგალითების შესათავაზებლად, რომლებიც შეიძლება ყველამ გაიზიაროს.

ამ მიზნის მისაღწევად, კვლევამ შეისწავლა პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის შემაფერხებელი და ხელშეწყობი ფაქტორები პოლიტიკური გადამწყვეტილების მიღების ორ დონეზე: საკანონმდებლოსა (ეროვნული პარლამენტების) და ადმინისტრაციულზე (ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის ორგანოები).

კვლევის სფეროები

ქალთა უფლებების სრული რეალიზაცია, ასევე, მათი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე. იმ საზოგადოებებში, სადაც ქალები ზოგადად უთანასწორო მდგომარეობაში არიან სამართლებრივად, ეკონომიკურად და კულტურულად, მეტი ალბათობაა, საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და არჩევისას არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

კვლევა მიზნად ისახავდა საკვლევ ქვეყნებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობი და შემაფერხებელი იმ ძირითადი ფაქტორების, ბარიერებისა თუ პოზიტიური ჩარევების შესწავლას, რომლებიც არსებობს ეროვნულ (საკანონმდებლო) ან ადგილობრივ (ადმინისტრაციულ) დონეზე ქალების წარმომადგენლებად არჩევის პროცესში.

გამოვლენილი საკვანძო ასპექტები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს¹:

- ▶ რამდენად დაინტერესებულნი არიან ქალები არჩევითი თანამდებობის დაკავებით;
- ▶ რამდენად შეირჩევიან კანდიდატებად ქალები, რომელთაც ამის სურვილი აქვთ;
- ▶ რამდენად წარმატებულნი არიან ეს კანდიდატები არჩევის მხრივ.

კვლევის საგანი გახლდათ სამი ძირითადი სფერო:

- ▶ 1. ქალთა ადგილი საზოგადოებაში ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებაზე არსებული ინფორმაციის მიხედვით;

1. Krook M.L. და Norris P. (2014), „კვლევებს მიღმა: არჩევით თანამდებობებზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სტრატეგიები, პოლიტიკური კვლევები 62, 1, გვ. 2-20.

- ▶ 2. პოლიტიკური კონტექსტი, კერძოდ, რამდენად ემხრობიან ან ეწინააღმდეგებიან პოლიტიკური პარტიები ქალთა კანდიდატებად წარდგენასა და არჩევას;
- ▶ 3. საკანონმდებლო ჩარჩო და საარჩევნო სისტემები, რომლებიც დეტალურად აღწერენ ქალთა უფლებებს; და ხორციელდება თუ არა ეს უფლებები.

შეჩვენებული ფაქტორები ყურადღების გამახვილების მიზნით

1. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები

ქალებზე მოქმედებს გავრცელებული კულტურული წარმოდგენები და სტერეოტიპული შეხედულებები საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული როლების შესახებ. მიიჩნევა, რომ მამაკაცთა მთავარი ფუნქციაა საჯარო სფერო, ანუ ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, ხოლო ქალები ძირითადად პასუხისმგებელნი არიან კერძო სფეროზე - სახლი და ოჯახი.

ეს სტერეოტიპები გამოიყენება მამაკაცების მხრიდან ქალებზე ძალაუფლების, ასევე, იმ სექსისტური დამოკიდებულებების გასამართლებლად და შესანარჩუნებლად, რომლებიც ისტორიულად არსებობს და აფერხებს ქალთა განვითარებას. ევროპის საბჭოს 2014-2017² წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიის უპირველეს პრიორიტეტად განისაზღვრა ბრძოლა გენდერული სტერეოტიპებისა და სექსიზმის წინააღმდეგ.

კენჭისყრით დაინტერესებულ ქალებს უწევთ სტერეოტიპების დაძლევა საკუთარ თავში, ასევე, იმ ადამიანებში, რომლებიც მათ კანდიდატად ირჩევენ, და მოქალაქეებში, რომლებმაც ხმა უნდა მისცენ და შეიძლება მიაჩნდეთ, რომ პოლიტიკაში ქალების ადგილი არ არის.

საკვლევ ქვეყნებში ამ ფაქტორების ქალებზე გავლენის გასარკვევად, ინფორმაცია შეისწავლეს შემდეგ სფეროებში:

- ▶ მართალია, ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე პირდაპირ არ უკავშირდება მათ ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ეს საზოგადოებაში მათი როლის მაჩვენებელია. კვლევის პროცესში შეისწავლეს ქალების შემოსავლის წილიც მამაკაცთა შემოსავალთან მიმართებით.
- ▶ სამუშაოს ტიპი, რომელსაც ქალები ასრულებენ, გავლენას ახდენს საკუთარი შესაძლებლობების აღქმაზე, რომ კენჭი იყარონ არჩევით თანამდებობაზე. ეს მოქმედებს იმაზეც, როგორ აღიქვამენ მათ შესაფერისობას ადამიანები, რომლებმაც კანდიდატად უნდა აირჩიონ. კვლევა მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების, ასევე, ცენტრალურ ადმინისტრაციაში და, შეძლებისდაგვარად, მენეჯმენტის დონეზე მომუშავე ქალების შესახებ.

2. ევროპის საბჭო გენდერული თანასწორობის სტრატეგია 2014-2017.

- ▶ „ქალთა და მამაკაცთა შორის ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა ქალთა მიმართ ძალადობა, რაც ადამიანის უფლებათა დარღვევაა და, იმავდროულად, გენდერული თანასწორობის ძირითადი დაბრკოლება.“³ ქალებზე ძალადობის ფორმები ნათლად გვიჩვენებს, როგორ აღიქმებიან ისინი საზოგადოებაში. კვლევაში შესწავლილია ძალადობის გავრცელებაზე არსებული მონაცემები, ასევე კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ სასჯელს ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობისთვის, და მათი აღსრულების ეფექტიანობა.
- ▶ ქალთა თანასწორობის საკითხებზე მომუშავე აქტიურ და ქმედით არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ვითარების შეცვლაში: იმოქმედონ, როგორც ცვლილების კატალიზატორებმა საკანონმდებლო დონეზე და, ქალთა თანასწორობის მნიშვნელობის გააზრებისა და მიღების ხელშეწყობით, შეცვალონ მოქალაქეთა აღქმა. მათ შეუძლიათ მონიტორინგის მექანიზმის როლის შესრულება, რათა უზრუნველყონ არსებული პოლიტიკის ეფექტიანად გამოყენება და შესაბამისი შედეგები; ასევე მნიშვნელოვანი პრაქტიკული როლი აქვთ ცნობიერების ამაღლებისა და პოტენციურ ქალ კანდიდატთა შერჩევა-ტრენინგების მხრივ.
- ▶ საზოგადოებაში არსებობს სხვა სახის გამოწვევებიც, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე, ესენია: ეთნიკური უმცირესობები, სადაც, გაბატონებული სტერეოტიპების გამო, შესაძლოა კიდევ უფრო რთული იყოს ქალების მდგომარეობა, ზოგად მოსახლეობასთან შედარებით; ასევე, ქვეყანაში არსებული მიგრაციის დონე.
- ▶ კვლევამ შეისწავლა მედიის როლიც ქალ კანდიდატთა მიმართ სტერეოტიპების განმტკიცების ან დაძლევის კუთხით.
- ▶ ასევე გამოიკვლიეს ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებში წარმატებით არჩეული თუ წარუმატებელი ქალი კანდიდატების შეხედულებები იმაზე, რამდენად იქონია გავლენა სტერეოტიპებმა მათი კანდიდატურის წამოყენებაზე, საარჩევნო კამპანიასა და არჩევის შემდგომ საქმიანობაზე.
- ▶ ცვლილების ძირითადი ინდიკატორებია ამომრჩეველთა შეხედულებები და მათი დამოკიდებულება ქალ კანდიდატთა და პოლიტიკურ წარმომადგენელთა მიმართ. საერთაშორისო მონაცემების მიუხედავად, რომელთა თანახმადაც ამომრჩევლები ქალებს თანაბრად ან მამაკაცებზე ხშირად აძლევენ ხმას⁴, კანდიდატთა შემრჩევ პირებზე არცთუ იშვიათად გავლენას ახდენს შეხედულება, რომ ქალები არ იქნებიან ძლიერი კანდიდატები.

3. Ibid.

4. მიურეი რ., კრუეკი მ. ლ. და ოპელო კ.ა.რ. (2012), „რატომ ხდება გენდერული კვოტების შემოღება?“ პოლიტიკური კვლევების ჟურნალი 65, 3, გვ. 529-43.

2. პოლიტიკური ფაქტორები

პოლიტიკური პარტიების როლი გადამწყვეტია ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მხრივ. ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ქალებს, რომელთაც სურთ კანდიდატობა და დაინტერესებულნი არიან არჩევითი თანამდებობების დაკავებით. მათ შეუძლიათ იმოქმედონ როგორც შემაფერხებელმა ბარიერებმა ან ხელშემწყობმა ფაქტორებმა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდაში.

კანდიდატების შერჩევისას პარტიების როლი შესწავლილია გაეროს განვითარების პროგრამისა და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2011⁵ წელს ჩატარებულ კვლევებში, სადაც იდენტიფიცირებულია პოლიტიკურ პარტიებში არსებული სხვადასხვა კარგი პრაქტიკა, მიმართული ქალ კანდიდატთა წარდგენის ხელშეწყობასა და მათი კამპანიების მხარდაჭერაზე. ზოგიერთი მაგალითი, მკვლევართა მიერ გამოვლენილ სხვა პრაქტიკებთან ერთად, წარმოდგენილია ამ ნაშრომის ქვეთავში „ხელშემწყობი ღონისძიებები“ (იხ. თავი 3).

ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR) ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ მთელ რიგ გზებს გვთავაზობს⁶ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მხარდასაჭერად:

- ▶ ისეთი კანონმდებლობის მხარდაჭერა და მიღება, როგორიცაა, მაგალითად, კვოტები, რაც კანდიდატთა სიებში ქალთა რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს;
- ▶ მსგავსი ღონისძიების ნებაყოფლობით განხორციელება;
- ▶ შიდა სტრუქტურებში ქალთა დანინაურება გადამწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე;
- ▶ ზოგადად პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების თანასწორობის ხელშეწყობა;
- ▶ პარტიულ პროგრამებში ქალთა საკითხებისა და პრობლემების აღიარება;
- ▶ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის დადებითი მაგალითების გამოყენება კამპანიებსა და მედიაში;
- ▶ უზრუნველყოფა, რომ პარტიის წევრების ქცევა ქალთა თანასწორობისა და პატივისცემის ღირებულებებს შესაბამებოდეს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რეგოლაციის პოლიტიკური პარტიებისა და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შესახებ⁷ ჩამოაყალიბა მთელი რიგი ღონისძიებები ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორცაა:

5. გაეროს განვითარების პროგრამა და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (2011), „ქალთა გაძლიერება უფრო ძლიერი პოლიტიკური პარტიებისათვის“, UNDP და NDI, ნიუ იორკი.
6. www.ccre.org/docs/charte_egalite_en.pdf.
7. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეგოლაცია 1898 (2012) „პოლიტიკური პარტიები და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა“ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?file-id=19134&lang=en>.

- ▶ ქალი ლიდერები პარტიის შიგნით;
- ▶ ქალთა ორგანიზაციები და მათი გავლენა;
- ▶ ქალების საკითხები ბოლო საარჩევნო პროგრამაში/მანიფესტში;
- ▶ ქალები მედიაში ბოლო არჩევნებისას;
- ▶ ნებისმიერი ღონისძიებები ქალთა მხარდასაჭერად ან არჩევნებში მონაწილეობის წასახალისებლად.

ქალებისათვის კიდევ ერთი ბარიერია კანდიდატად შერჩევასთან დაკავშირებული ხარჯები და საარჩევნო კამპანიაში ბრძოლა. IDEA-ს სახელმძღვანელოში პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების შესახებ⁸ ასევე აღნიშნულია, რომ ეს ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს იმ ქალი კანდიდატებისათვის, რომლებიც ახალი ან პარლამენტგარეშე დარჩენილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები არიან. მათ ხშირად არ აქვთ წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე და თვითონ უნევთ კამპანიის დაფინანსება.

ქალები მამაკაცებზე ხშირად მუშაობენ საჯარო სექტორის ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება და ჯანდაცვა, ან კერძო სექტორში - მაგალითად სასტუმროების, კვებისა და საცალო გაყიდვების ბიზნესში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს სფეროები არ არის მაღალანაზღაურებადი, ნაკლები შანსია, ქალებს ჰქონდეთ დანაზოგი, რომელსაც კამპანიის დაფინანსებისათვის გამოიყენებდნენ; არსებული კულტურული ნორმები ცხადყოფს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, ქალებმა საკუთარი თავისთვის დაიწყონ სახსრების მოზიდვა; ასეთ შემთხვევაშიც კი, ეს ფინანსები მათი ოჯახის საკუთრებად მიიჩნევა⁹.

ეს ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ყველა ამ ღონისძიებასა და მკვლევართა მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

3. სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი ჩარჩო ადგენს ქალთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველს, მათ შორის, არჩევნებში როგორც კანდიდატის, ისე ამომრჩევლის სახით თანაბარი მონაწილეობისა და არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლებას. ეს მოიცავს საკვლევი ქვეყნების მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, ასევე, ეროვნული კონსტიტუციებისა და ნებისმიერი კონკრეტული კანონმდებლობის შესწავლას, რამაც შესაძლოა დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ქალებზე.

ვენეციის კომისიის 2009 წლის ანგარიში პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობაზე საარჩევნო სისტემების გავლენის შესახებ აღნიშნავს¹⁰, რომ საარჩევნო სისტემები გავლენას ახდენს ქალების არჩევის შანსზე. პარტიული სიის სისტემების პირობებში უფრო მეტ ქალს

8. დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (2014), იხ. თავი 9: ბალინგტონი ჯ. და ვაჰანე მ. „ქალები პოლიტიკაში: დაფინანსება გენდერული თანასწორობისათვის“ IDEA, სტოკჰოლმი.
 9. Ibid., p. 304.
 10. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2009\)029-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2009)029-e).

ირჩევენ, ყველაზე წარმატებულნი კი არიან ქვეყნები, სადაც მოქმედებს ქალთა გარანტირებული კვოტები სიაში გამსვლელ პოზიციებზე. კვლევაში შესწავლილია ადგილობრივი და ეროვნული არჩევნების სისტემები, რათა დადგინდეს ამ თვალსაზრისით არსებული ვითარება საკვლევი ქვეყნებში. კერძოდ:

საკანონმდებლო კვოტების ან ხელშეწყობაზე მიმართული სხვა ღონისძიებების წარმატება თუ წარუმატებლობა, რომლებიც საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ დონეზე არჩევნებთან დაკავშირებით მიიღეს თითოეულ ქვეყანაში. ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა ამ ზომების გავლენა ქალ პოლიტიკურ წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდაზე და მათი განხორციელების შედეგად შექმნილი გამოცდილება.

ქალთა მიერ კანდიდატურის წამოყენებაზე გავლენას ახდენს სხვა საკითხებიც: კანდიდატთა მიერ შემოსავლის დეკლარირების მოთხოვნები - განსაკუთრებით, ფინანსური დეპოზიტის ან რეგისტრაციის საფასურის შესახებ - მით უმეტეს, თუ მათი დაკმაყოფილება თვითონ კანდიდატებს უნევთ, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატების შემთხვევაში, რომლებიც არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიას.

კვლევაში¹¹ აჩვენა, რომ ქალებს კანდიდატად დასახელებისა და არჩევნებში მოგების მეტი შანსი აქვთ ადგილობრივ ანუ საოლქო დონეზე, სადაც უფრო ნაკლებია ძალაუფლება, გავლენა და ფინანსური სარგებელი, ვიდრე ეროვნულ დონეზე. წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილულია ამ დასკვნის მართებულობა.

პოლიტიკური ინსტიტუტების სამუშაო პირობები ასევე შესაძლოა პრობლემას ქმნიდეს ქალებისათვის. პარლამენტის წევრთა გლობალური კვლევით დადგინდა, რომ ქალები პარლამენტის ტრადიციულ სამუშაო პრაქტიკას პრობლემატურად მიიჩნევენ¹². 2011 წელს პარლამენტთაშორისი კავშირის მიერ ჩატარებულ მეორე კვლევაში¹³ ხაზგასმულია „სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსის დაცვის“ საკითხი პარლამენტში მუშაობისას, როგორც ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა. კვლევა შეისწავლის პარლამენტებისა და ადგილობრივი თუ რეგიონული ხელისუფლების ინსტიტუტთა მუშაობას ამ საკითხზე.

ანგარიშში ასევე გამოვლინდა ის ხელშეწყობი ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარა ქალებს თავის პოტენციურ კანდიდატად დანახვაში, წარმატებული კამპანიის წარმართვასა და მათი, როგორც არჩეული წარმომადგენლის როლის შესრულებაში. ანგარიშში მოცემულია საკვლევი და, საჭიროებისამებრ, სხვა ქვეყნების მაგალითები.

11. ევროპის საბჭო (2009), „პარტიტული დემოკრატია: შორეული რეალობა. პოლიტიკურ და საზოგადოებრივი გადანაცვლების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის შესახებ ევროპის საბჭოს Rec(2003)3 რეკომენდაციის მონიტორინგის პირველი და მეორე რაუნდების შედეგთა შედარებითი კვლევა“. სტრასბურგი.
 12. ბელინგტონი ჯ. (2008), „თანასწორობა პოლიტიკაში“, საპარლამენტთაშორისო კავშირი, ვენევა.
 13. პალმიერი, ს. (2011), „გენდერისადმი მგრძობიერე პარლამენტები“, საპარლამენტთაშორისო კავშირი, ვენევა.

თავი 1

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიის შარჩევა

3 ვლევის მეთოდოლოგია შეთანხმდა ორდღიანი სემინარის განმავლობაში, რომელიც 2015 წლის 25-26 ივლისს ჩატარდა თბილისში ევროპის საბჭოს საარჩევნო მხარდაჭერისა და მოსახლეობის აღწერის განყოფილების (DGII) თანადგომით. სემინარში მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი მკვლევარები თითოეული ქვეყნიდან, ასევე ქ-ნი დაიენ ბანიანი, წამყვანი ექსპერტი გენდერის საკითხებში და ბ-ნი დორუ პეტრუტი, სტატისტიკური ექსპერტი. სემინარს ასევე ესწრებოდნენ ქ-ნი ტანია ვერჯი, ევროპის საბჭოს ექსპერტი Pompeu Fabra-ს უნივერსიტეტიდან (ბარსელონა) და დოქტორი ანა რიტა მანკა, გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის სტატისტიკის ოფიცერი, რომლებმაც ექსპერტული რეკომენდაციები წარმოადგინეს.

სემინარზე განიხილეს და შეთანხმეს ძირითადი საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობაზე: ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები; ასევე, სამართლებრივი ჩარჩო.

მეთოდოლოგიის შერჩევას გაითვალისწინეს მკვლევართა აზრი - რა ინფორმაციის მოპოვებას შეძლებდნენ ოფიციალური წყაროებიდან მოცემულ დროსა და გონივრულ ფარგლებში.

1. კითხვარის ნიმუში

მკვლევართათვის შემუშავდა კითხვარი (იხ. დანართი 1) კვლევის სტრუქტურის მისაწოდებლად და სხვადასხვა ქვეყნებს შორის შეგროვებული მონაცემებისა და ინფორმაციის შესადარებლად.

ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობაზე გავლენის მქონე მთავარი სფეროების შესწავლასთან ერთად, მკვლევარებს ევალებოდათ იმ ძირითადი შედეგებისა და კონკრეტული სირთულეების გამოვლენა, რომლებსაც აწყდებოდნენ კვლევისას. მათ სამი თვე ჰქონდათ კითხვარის შესავსებად. შემდეგ გაიგზავნა დამატებითი კითხვებიც განმარტებისათვის, რომლებიც 2015 წლის დეკემბერში დაბრუნდა უკან. მთლიანობაში მონაცემთა შეგროვება გაგრძელდა 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის თებერვლამდე, თებერვალ-მაისში კი ისინი გაანალიზდა და შემუშავდა შესაბამისი დოკუმენტი.

2. ინტერვიუები

პროექტის მეორე ასპექტია ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე იმ ქალების გამოცდილების ასახვა, რომლებმაც წარმატებით

თუ წარუმატებლად იყარეს კენჭი. კვლევა ითვალისწინებდა პოლიტიკურ პარტიებში მაღალ თანამდებობაზე მყოფ ქალთა გამოცდილებასაც. მისი მიზანი გახლდათ რეალური გამოცდილების მაგალითების გამოვლენა, რათა შემონეშებულიყო ჩვენი ვარაუდები შემათვრხებელი ფაქტორების შესახებ და შემუშავებულიყო შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. მომზადდა ნიმუშიც ამ საკითხების გათვალისწინებით (იხ. დანართი 2).

დროის მცირე პერიოდისა და მკვლევართა შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ინტერვიუების რაოდენობა შეზღუდული იყო, თუმცა შეძლებისდაგვარად მოიცავდა ახლად არჩეული თანამდებობის პირების, გამოცდილი პოლიტიკოსების, მმართველი პარტიის ჯგუფებში ქალი წევრების, ოპოზიციის წევრებისა და აურჩეველი კანდიდატების ფართო სპექტრს.

3. კვლევაზე მუშაობის მეთოდი

შესაძლებლობის ფარგლებში, კითხვარების შევსების მიზნით, ქვეყნის მკვლევარებმა დაადგინეს ინფორმაციის წყაროები, ასევე, მოამზადეს კომენტარები - რას მიიჩნევდნენ ქალთა მონაწილეობის ძირითად ბარიერებად.

რესპონდენტს მკვლევარები თვითონ ირჩევდნენ, ისინი ხშირად შეზღუდულნი იყვნენ დროშიც და რესპონდენტთა არჩევანშიც. მკვლევართა უმეტესობამ ჩაატარა პირისპირ ინტერვიუები, თუმცა იყო სატელეფონო გამოკითხვებიც. ყველა კითხვა ყველა ინტერვიუსთვის რელევანტური არ გახლდათ. მთლიანობაში ჩატარდა 53 გამოკითხვა, რამაც ღირებული ინფორმაცია მიაწოდა კვლევას.

4. კვლევის შეზღუდვები

ინფორმაციის ანალიზისას დადგინდა, რომ ზოგიერთი დაშვება არ იყო გამყარებული მონაცემებით. გარკვეულ შემთხვევებში ციფრები ან ხელმისაწვდომი ინფორმაცია არ შეესაბამებოდა ეროვნულ კონსულტანტთა მოსაზრებასა და დაკვირვებებს.

ინფორმაციის გაანალიზებას ართულებდა კითხვარებში მოწოდებული არაზუსტი და, ხშირად, არასრული ინფორმაცია; ასევე, მონაცემთა განსხვავებული ინტერპრეტაცია. ზოგ შემთხვევაში კონსულტანტები ერთსა და იმავე კითხვას სხვადასხვაგვარად პასუხობდნენ კითხვის არასწორად გაგების გამო. ნაწილი ზემოხსენებული საკითხებისა მოგვარდა განმარტებების შედეგად.

რამდენიმე მაჩვენებლისა თუ მონაცემისათვის კონსულტანტები სხვადასხვა წყაროს და დათვლის განსხვავებულ გზებს იყენებდნენ. დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა გენდერული ნიშნით დიფერენცირებული საიმედო მონაცემების მოპოვება, რამაც გაართულა ქვეყნების შედარება, კერძოდ, ეკონომიკურ და საარჩევნო ასპექტებში. ამის დასაძლევად, კვლევაში გამოყენებულია ხელმისაწვდომი საერთაშორისო მონაცემები, როგორცაა გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსი.

გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ქვეყნის მკვლევარებმა შეძლეს რესპონდენტთა შერჩევა. თუმცა, კვლევისას სუბიექტურობას აბალანსებდა მათი ცოდნა ქვეყნის შესახებ. მკვლევართა მოსაზრებები და კომენტარები - ისევე, როგორც მონაცემები - ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა ანგარიშის შედგენის, ასევე, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებისათვის.

ინტერვიუთა რაოდენობა თითოეული ქვეყნისთვის 10-ით შემოიფარგლებოდა. ზოგ შემთხვევაში ქალები არ თანხმდებოდნენ გამოკითხვას. მაგალითად, ბელარუსში მმართველი პარტიიდან პარლამენტში არჩეული არც ერთი ქალი არ დათანხმდა ინტერვიუს; ზოგან კი არ იყვნენ არჩეული ქალი მერები. ევროპის საბჭომ თითოეული მკვლევარს გადასცა წერილი, რომელიც რესპონდენტებისათვის უნდა წარედგინათ ინტერვიუს ხელშესაწყობად. წერილში აღნიშნული იყო, რომ ნებისმიერი ამონარიდი გამოკითხვიდან ანონიმური იქნებოდა.

კონკრეტული საკითხები თითოეულმა მკვლევარმა გამოავლინა, კერძოდ:

სომხეთში არ არიან არჩეული ქალი მერები და მერობის მხოლოდ ორი ქალი კანდიდატია, რომელთაგან არც ერთი არ დათანხმდა ინტერვიუზე. მაჟორიტარული სისტემით არჩეულია მხოლოდ ორი ქალი დეპუტატი, რომლებმაც ასევე უარი თქვეს გამოკითხვაზე.

აზერბაიჯანში არ არსებობს მონაცემები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ. ბევრი მონაცემი არ არის სქესის მიხედვით დიფერენცირებული და ოფიციალური მონაცემები ყოველთვის არ გამოირჩევა სანდოობით. ინტერვიუების ჩატარება გართულდა 2015 წლის 1 ნოემბერს დანიშნული საპარლამენტო არჩევნების გამო.

ბელარუსში ექსპერტს გამოკითხვის ჩატარებაში სირთულეები შეექმნა რამდენიმე მიზეზის გამო:

- ▶ მერებს, არჩევის ნაცვლად, პრეზიდენტი ნიშნავს;
- ▶ ბელარუსის პარლამენტში არ არის ოპოზიცია;
- ▶ პარლამენტის მოქმედ წევრთა და ადგილობრივ საბჭოთა გამოკითხვის პრობლემები ნაწილობრივ გამოწვეულია ინტერვიუებისთვის შერჩეული დროით, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებს დაემთხვა (2015 წლის 11 ოქტომბერი); ასევე იმით, რომ არსებობდა უნდობლობა ევროპის საბჭოს მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით.
- ▶ ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი მხოლოდ ნომინალურად მონაწილეობდა კამპანიებში.

საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი გენდერული ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური ინფორმაცია; რთული იყო პოლიტიკოსების მოძიება და მათთან ინტერვიუების ორგანიზებაც.

მოლდოვაში ადგილობრივი არჩევნებისთვის ყველა ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი კანდიდატთა რაოდენობის გამო (მათ შორის, ასაკისა და პროფესიის შესახებაც).

უკრაინაში ექსპერტი სირთულეებს წააწყდა იმიტომ, რომ მონაცემები ხშირად არ იყო გენდერული ნიშნით დიფერენცირებული.

თავი 2

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა წარმომადგენლობის მხრივ არსებული ვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

ზაერო ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს ადამიანის განვითარების შესახებ, ანუ ადამიანის განვითარების ინდექსს. ეს არის მიღწევების ჯამური მაჩვენებელი ადამიანის განვითარების ძირითად ასპექტებში, როგორცაა: ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე, ცოდნის ხელმისაწვდომობა და ღირსეული ცხოვრების სტანდარტი. 188 ქვეყანა დაყოფილია ადამიანის განვითარების შემდეგ კატეგორიებად: ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო და დაბალი.

შეფასებული 188 ქვეყნიდან პირველ სამ ადგილს იკავებენ ნორვეგია, ავსტრალია და შვეიცარია, ხოლო ბოლო ადგილები უჭირავთ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და ნიგერიას.

ბელარუსი, საქართველო, აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი შედიან მაღალი ადამიანური განვითარების კატეგორიაში, ხოლო მოლდოვა საშუალო კატეგორიას განეკუთვნება.

ადამიანის განვითარების ანალიზში ასახული ერთ-ერთი საზომია გენდერული უთანასწორობის ინდექსი (GII). გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შესაბამისად, GII¹⁴ არის ინდექსი, შემუშავებული იმ ადამიანური განვითარების პოტენციური დანაკარგის გასაზომად, რომელსაც იწვევს ქალთა და მამაკაცთა უფლებამოსილებებისა და ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ არსებული უთანასწორობა. ინდექსი ადგენს ქვეყანაში არსებულ ვითარებას ქალთა ჯანმრთელობის ძირითადი ასპექტების შესახებ დადგენილ სასურველ სტანდარტებთან მიმართებით. მთლიანობაში, გენდერული უთანასწორობის ინდექსი ასახავს, რამდენად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან ქალები მოცემულ სფეროებში.

სამი ასპექტი იზომება შემდეგი მაჩვენებლებით:

- ▶ რეპროდუქციული ჯანმრთელობა: დედათა სიკვდილიანობა და მოზარდებში შობადობის მაჩვენებლები;
- ▶ გაძლიერება: ქალების მიერ დაკავებული საპარლამენტო მანდატებისა და საშუალო განათლების მქონე 25 წელს გადაცილებული ქალების წილი;
- ▶ ეკონომიკური სტატუსი: შრომის ბაზარზე მონაწილეობა.

14. <http://hdr.undp.org/en/composite/GII>

არ არსებობს სრულყოფილი გენდერული თანასწორობით გამორჩეული ქვეყანა. შესაბამისად, გენდერული უთანასწორობის გათვალისწინებით, ყველა მათგანს აქვს გარკვეული ხარვეზები ადამიანის განვითარების ძირითადი ასპექტების მიღწევის მხრივ. ეს შეიძლება განიმარტოს, როგორც საერთო დანაკლისი რეპროდუქციული ჯანმრთელობის, გაძლიერებისა და შრომის ბაზარზე მონაწილეობის თვალსაზრისით, გამომწვეული გენდერული უთანასწორობით. გენდერული უთანასწორობის ინდექსი 0-დან 1-მდე დიაპაზონს მოიცავს, სადაც უფრო მაღალი მაჩვენებელი აღნიშნავს უთანასწორობის შედარებით მაღალ დონეებს.

ცხრილი 1: ადამიანის განვითარების ინდექსის მიხედვით მოწინავე სახელმწიფოები და საკვლევი ქვეყნები

ქვეყანა	HDI პოზიცია 188 ქვეყნიდან (2014)	GII (2014)
ნორვეგია	1	0.067
ავსტრალია	2	0.110
შვეიცარია	3	0.028
დანია	4	0.048
ნიდერლანდები	5	0.062
გერმანია	6	0.041
ბელარუსი	50	0.151
საქართველო	76	0.382
აზერბაიჯანი	78	0.303
უკრაინა	81	0.286
მოლდოვა	85	0.318
სომხეთი	107	0.248

ინდექსი ზომავს პარლამენტში წარმოდგენილ ქალთა პროცენტულ მაჩვენებელს.

ცხრილი 2: საკვლევი ქვეყნების მდგომარეობა ევროპის ექვს ყველაზე რეიტინგულ სახელმწიფოსთან შედარებით; ქალების მიერ დაკავებულ მანდატთა პროცენტული მაჩვენებელი.

ქვეყანა	ქალების მიერ დაკავებული საპარლამენტო მანდატები (2014)
შვედეთი	43.6
ფინეთი	42.5
ბელგია	42.4
ისლანდია	41.3
ნორვეგია	39.6
დანია	38
ბელარუსი	30.1
მოლდოვა	20.8
აზერბაიჯანი	15.6

უკრაინა	11.8
საქართველო	11.3
სომხეთი	10.7

საკვლევი ქვეყნების პარლამენტებში ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლები დაბალია ევროპის უმაღლეს მაჩვენებლებთან შედარებით და წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ამის გამომწვევი მიზეზების დეტალურად შესწავლას.

საარჩევნო დამკვირვებელთა კომენტარები

საარჩევნო დამკვირვებლებმა ანგარიშებში აღნიშნეს, რომ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის თვალსაზრისით, მდგომარეობა არააღმაკმაყოფილებელია.

მაგალითად, 2014 წელს უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისას OSCE/ODIHR-ის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ¹⁵ აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში 2013 წელს შეტანილი ცვლილებებით დაწესდა 30%-იანი კვოტა ქალებისათვის პარტიულ სიებში, თუმცა კანონი არ ადგენს პარტიულ სიებში კანდიდატთა რიგითობას და არ არსებობს მისი აღსრულების მექანიზმებიც.

OSCE/ODIHR-ის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ შემდეგი რეკომენდაცია შეიმუშავა:

„საარჩევნო სისტემაში შესაძლო ცვლილებების მიუხედავად, პარლამენტში ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობის პრობლემა უნდა გადაიჭრას მკაცრი აღსრულების მექანიზმებით ან/და სპეციალური, დროებითი დამატებითი ღონისძიებებით, რომლებმაც შესაძლოა უფრო სამართლიანი პირობები შექმნან ყველა კანდიდატისათვის.“¹⁶

2012 წელს უკრაინის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, OSCE/ODIHR-ის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ აღნიშნა, რომ მართალია, გენდერული თანასწორობა დაცულია კონსტიტუციით, მაგრამ პარტიებში ნაკლები დაინტერესება შეიმჩნეოდა ქალ კანდიდატთა ხელშეწყობის მხრივ და ცოტა მათგანი იყო წარმოდგენილი მოწინავე პოზიციებზე (ისევე, როგორც სხვა უფლებამოსილ თანამდებობებზე) პარტიული სიებით.

OSCE/ODIHR-ის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ შემდეგი რეკომენდაცია შეიმუშავა:

საჭიროა პოლიტიკური პარტიების წახალისება, რათა მათ ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას და ქმედითი ზომები მიიღონ გენდერულად დაბალანსებულ კანდიდატთა სიების წარსადგენად; ასევე, გაზარდონ ქალი კანდიდატების ცნობადობა საარჩევნო კამპანიისას და გენდერული საკითხები მათ საარჩევნო პლატფორმებში შეიტანონ. პარტიულ სიათა გენდერულ

15. ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ოფისი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა საარჩევნო დამკვირვებლო მისია.

16. OSCE/ODIHR EOM უკრაინაში 2014 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიში, გვ. 32

თანასწორობაზე მოთხოვნის შემოღება შეიძლება განვიხილოთ დროებით ღონისძიებად.¹⁷“

სომხეთში 2012 წლის მაისში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, OSCE/ODIHR-ის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიამ შემდეგი დასკვნები შეიმუშავა:

„დღემდე განხორციელებული ყველაზე ეფექტიანი დროებითი ღონისძიება გახლდათ მოთხოვნა, რომ კანდიდატთა პროპორციულ სიებში, მეორე ნომრიდან დაწყებული, ყოველ ხუთ კანდიდატს შორის ორივე სქესის წარმომადგენელი ყოფილიყო. თუმცა, კვოტების ეფექტიანობა შეზღუდულია, რადგან კანდიდატებს შეუძლიათ საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სიის რეგისტრაციის შემდეგ და არ არსებობს პირველადი გენდერული თანაფარდობის შენარჩუნების მოთხოვნა“...

და

„...მიუხედავად იმისა, რომ ქალებს აქვთ კანდიდატობის უფლება, ამ უფლების განხორციელება და კანდიდატად დასახელების შესაძლებლობები შეზღუდულია. გარდა ამისა, 12-დან 3 მაჟორიტარ ქალ კანდიდატს არ წარმოუდგენია კამპანიის ხარჯები, რაც ეჭვს ბადებს, რომ ისინი წამდვილად იყვნენ კანდიდატები¹⁸.

OSCE/ODIHR-ის საარჩევნო დამკვირვებელთა მისიის მხრიდან მედიამონიტორინგმა გამოავლინა, რომ:

„...[საზოგადოებრივმა მაუწყებელმა] არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბების პროგრამათა 4% დაუთმო ქალ კანდიდატებს და პარტიების წარმომადგენლებს, ხოლო საზოგადოებრივი რადიოს შემთხვევაში, მაჩვენებელმა 5% შეადგინა. ეს არაპროპორციულად დაბალია, თუ გავითვალისწინებთ ორ ფაქტს: რეგისტრირებულ კანდიდატთა დაახლოებით 21%-ს შეადგენდნენ ქალები; და სომხეთი მიზნად ისახავს საკანონმდებლო ორგანოში ქალების 30%-იანი წარმომადგენლობის მიღწევას.¹⁹“

გენდერული პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები

ყველა საკვლევ ქვეყანას გენდერული თანასწორობის ეროვნული პოლიტიკის პროგრამა და სამოქმედო გეგმა აქვს, თუმცა რთულია საჯარო დოკუმენტების მოძიება, რომლებიც აჩვენებს, როგორ ხორციელდება ეს გეგმები და პროგრამები.

სომხეთი: სომხეთის რესპუბლიკის გენდერული პოლიტიკის 2011-2015 წლების სტრატეგიული პროგრამა მიზნად ისახავს მთავრობის გეგმებსა და პოლიტიკაში გენდერის საკითხების წინ წამოწევას. ღონისძიებათა უმეტესობა მოითხოვს რესურსებს, რომლებიც საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება.

აზერბაიჯანი: 2012 წელს მიღებული დოკუმენტი „აზერბაიჯანი 2020: მომავლის ხედვა“ მოიცავს თავს სათაურით „გენდერული თანასწორობის გარანტიები და ოჯახის ინსტიტუტის განვითარება“. გარკვეული სამუშაო ჩატარდა ბავშვებისა და ოჯახების მიმართულებით, თუმცა არა კონკრეტულად ქალებთან დაკავშირებით.

ბელარუსი: 2011-2015 წლების გენდერული თანასწორობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მოცემულია მიზნები, რომლებიც გულისხმობს სრულფასოვანი გენდერული თანასწორობის პირობების შექმნას ცხოვრების ყველა სფეროში. გეგმების შესრულებისთვის არ არის გამოყოფილი ბიუჯეტი ან რესურსები, ჩატარდა მხოლოდ განხორციელებადობის კვლევები.

საქართველო: საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი მიზნად ისახავს პარლამენტსა და ადგილობრივ მთავრობაში ქალების თანასწორ პირობებში წარმოდგენას მამაკაცებთან მიმართებით. 2014-2016 წლის სამოქმედო გეგმა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების შესახებ მოიცავს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერ ღონისძიებებს და ითვალისწინებს მექანიზმებს, რომელთა თანახმად, კომპანიებში ქალთა მონაწილეობა ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი კრიტერიუმი იქნება.

მოლდოვა: გენდერული თანასწორობის 2010-2015 წლების ეროვნულ პროგრამას ახლავს ბიუჯეტი განსახორციელებლად და მოიცავს პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატთა და გენდერული ბიუჯეტირების სპეციალისტთა ტრენინგს.

უკრაინა: ქალებისა და მამაკაცების თანასწორ უფლებათა და შესაძლებლობათა უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სახელმწიფო პროგრამა 2014 წლისთვის მოიცავდა ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა კანონპროექტის წარდგენა ქალ კანდიდატთა 30%-იანი კვოტის შესახებ და საპარლამენტო არჩევნებში გენდერული მონიტორინგის შემოღება. გამოყოფილია ბიუჯეტები ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

17. OSCE/ODIHR/EOM უკრაინაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიში, გვ. 37.

18. OSCE/ODIHR EOM საპარლამენტო არჩევნების საბოლოო ანგარიში, 2012 წლის 6 მაისი, გვ. 10.

19. Ibid., გვ. 17.

თავი 3

კვლევის მიგნებები

ა) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ფაქტორები

ეკონომიკური მონაცემები

1. დასაქმების მაჩვენებლები

ცხრილი 3: შრომის ბაზარზე მონაწილეობა²⁰

ქვეყანა	მონაწილეობა შრომის ბაზარზე - ასაკი 15 წელი და მეტი (2013)	
	ქალი	მამაკაცი
აზერბაიჯანი	62.9	69.6
საქართველო	56.5	75.1
სომხეთი	54.2	72.6
უკრაინა	53.2	66.9
ბელარუსი	50.1	63.1
მოლდოვა	37.6	44.2

ცხრილი 4: შრომის ბაზარზე მონაწილეობის მაჩვენებლები ქალების მიერ დაკავებულ საპარლამენტო მანდატთა უმაღლესი პროცენტული მაჩვენებლის მქონე ევროპულ ქვეყნებში²¹

ქვეყანა	მონაწილეობა შრომის ბაზარზე - ასაკი 15 წელი და მეტი (2013)	
	ქალი	მამაკაცი
შვედეთი	60.3	67.9
ფინეთი	55.7	64
ბელგია	47.5	59.3
ისლანდია	70.5	77.4
ნორვეგია	61.2	68.7
დანია	58.7	66.4

მოლდოვის დაბალი და ისლანდიის მაღალი მაჩვენებლების გარდა, ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე დიდად არ განსხვავდება აღმოსავლეთ

20. წყარო: გაეროს განვითარების პროგრამის გენდერული განვითარების ინდექსი: <http://hdr.undp.org/en/composite/GDI>.

21. Ibid.

ევროპის ქვეყნებში, არც იმ სახელმწიფოებში, რომლებსაც უმაღლესი მაჩვენებლები აქვთ პარლამენტში ქალების მიერ დაკავებულ მანდატთა მიხედვით.

ევროკავშირმა 20-დან 64 წლამდე ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის 75%-იანი სამიზნე მაჩვენებელი დაამტკიცა, სამუშაო ძალის შემცირებასთან ბრძოლისა და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. როგორც პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის უმაღლესი მაჩვენებლების მქონე, ისე საკვლევ ქვეყნებს შორის ვერც ერთი ვერ აღწევს მოცემულ ნიშნულს.

ცხრილი 5: ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის მაჩვენებლები (ქალი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი 15+ წელი) შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებზე დაყრდნობით²²

ქვეყანა	1990	2014
სომხეთი	60	55
აზერბაიჯანი	54	63
ბელარუსი	60	50
საქართველო	55	57
მოლდოვა	61	38
უკრაინა	56	54

მსოფლიო ბანკის შეფასებით, შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის კლება შეიმჩნევა, გარდა აზერბაიჯანში 9%-იანი და საქართველოში 2%-იანი ზრდისა, რაც აღინიშნა საბჭოთა კავშირის დაშლისა და ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

2. შემოსავალი

ცხრილი 6: საკვლევი ქვეყნების მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) ერთ სულ მოსახლეზე (2011)

ქვეყანა	შეფასებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში (2011)		ქალების GNI მამაკაცებთან მიმართებით (%)
	ქალი	მამაკაცი	
ბელარუსი	12 922.3	21 009.7	61
აზერბაიჯანი	10 120.3	22 814	44
უკრაინა	6 518.3	10 120.2	64
სომხეთი	6 042.1	10 089.4	59
მოლდოვა	4 599.2	5 915.5	77
საქართველო	4 887	9 717	50

22. <http://data.worldbank.org/indicator/SL.TLF.CACT.FE.ZS>.

ცხრილი 7: შეფასებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე: ქვეყნებში, სადაც ქალებს პარლამენტში უმაღლესი მაჩვენებლები აქვთ.

ქვეყანა	შეფასებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარში (2011)		ქალების GNI მამაკაცებთან მიმართებით (%)
	ქალი	მამაკაცი	
შვედეთი	40 221	51 084	78
ფინეთი	31 644	45 994	68
ბელგია	31 879	50 845	62
ისლანდია	28 792	41 486	69
ნორვეგია	57 139	72 825	78
დანია	36 439	51 726	70

საერთო ჯამში, ციფრები აჩვენებს, რომ ყველა საკვლევ ქვეყანაში ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ვითარება ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის უმაღლეს მაჩვენებელთა მქონე ქვეყნებშიც, სხვაობა ქალებისა და მამაკაცების შემოსავლებს შორის ნაკლებად გამოხატულია.

3. სამუშაოს ტიპი

მსოფლიო ბანკის კვლევამ ბელარუსში²³ აჩვენა, რომ ქალები არასახარბიელო მდგომარეობაში არიან შრომის ბაზარზე. საქმიანობისა და ადამიანური კაპიტალის გათვალისწინებით შეტანილი შესწორებების შედეგად აღმოჩნდა, რომ საშუალოდ ისინი მამაკაცებზე ნაკლებს გამოიმუშავენ.

ამასთან, უკეთესი განათლების მიუხედავად, ქალებს ნაკლები შანსი აქვთ ვერძო და საჯარო ინსტიტუტების უმაღლეს რგოლებში მოსახვედრად.

მოლდოვაში²⁴ მსგავსი კვლევით დადგინდა, რომ შრომის ბაზარი ხასიათდება გენდერული სეგრეგაციით სექტორის, საქმიანობისა და თანამდებობის მიხედვით. ქალების 75% მუშაობს საჯარო ადმინისტრაციის, განათლების, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის სფეროებში, ასევე, სასტუმრო ბიზნესში.

23. [www-http://documents.worldbank.org/curated/en/518041468201598756/pdf/763250ESW0P1320r0As sessment0020140.pdf](http://documents.worldbank.org/curated/en/518041468201598756/pdf/763250ESW0P1320r0As sessment0020140.pdf).

24. www-wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDS/IB/2014/04/16/000442464_2014_0416103813/Rendered/PDF/760770ESW0P1310r0 Assessment0020140.pdf.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) გამოცემამ „ქალები ბიზნესსა და მენეჯმენტში“²⁵ გამოკითხვა ჩაატარა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში. ინფორმაცია საკვლევე ქვეყნებიდან (გარდა სომხეთისა) აჩვენებს, რომ ქალები წარმოდგენილი არიან მენეჯმენტში.

ცხრილი 8: ქალები ყველა ტიპისა და დონის მენეჯმენტში (საჯარო და კერძო)

ქვეყანა	ადგილი 128 ქვეყნიდან	თარიღი	% ქალი
ბელარუსი	6	2009	46.2
მოლდოვა	10	2012	44.1
უკრაინა	22	2012	39.9
აზერბაიჯანი	41	2012	34.2
საქართველო	42	2012	34

იმავე კვლევამ²⁶, რომლის ფარგლებშიც 135 ქვეყნის 130 000 ფირმა გამოიკითხა, გამოავლინა ქვეყნები, სადაც ქალები მენეჯმენტის უმაღლეს რგოლს იკავებენ. ქვემოთ ნაჩვენებია ხუთი ქვეყნის შედეგები:

ცხრილი 9: პროცენტული მაჩვენებელი ფირმებისა მაღალი რანგის ქალი მენეჯერებით (2013)

ქვეყანა	ქალი (%)
ბელარუსი	32.8
აზერბაიჯანი	2.4
საქართველო	32.1
მოლდოვა	26.3
უკრაინა	18.9

ეს ციფრები მხოლოდ მინიმუმსაა, რადგან შერჩევის ზომა და გამოკვლევული სექტორები იცვლება და, შესაბამისად, არ არის აუცილებელი ქვეყნის ნამდვილ ვითარებას გამოხატავდეს.

სოციალური და კულტურული მონაცემები

ცხრილის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საკვლევე ქვეყნებიდან ოთხში უმაღლესი განათლების მქონე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი მაღალ დონეს აღწევს, მათი წილი ხელისუფლების უმაღლეს/ცენტრალურ ორგანოებში საკმაოდ დაბალია.

1. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები

ცხრილი 10: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი

მონაცემები ქალების/ მამაკაცების მდგომარეობის შესახებ	სომხეთი	აზერბაიჯანი	ბელარუსი	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა	
უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი	ქ	58%	47.7%	19.9%	28%	60.6%	არ არის ინფორმაცია
	მ	37%	52.3%	17.6%	26.8%	39.5%	არ არის ინფორმაცია
ხელისუფლების უმაღლეს/ ცენტრალურ ორგანოების წარმომადგენლები	ქ	11%	უცნობია	52.9%	29.3%	30%	16.1%
	მ	89%	უცნობია	68.5%	70.7%	70%	83.9%

ქალები მამაკაცებზე ხშირად ამთავრებენ უნივერსიტეტს, მაგრამ ამ მხრივ აზერბაიჯანი გამონაკლისია. გარკვეული მონაცემების შესაბამისად, ქალები უფრო მეტად მისდევენ იმ საგანმანათლებლო კურსებს, რომლებიც საჯარო სამსახურში დასაქმებას გულისხმობს - მაგალითად, განათლებასა და ჯანდაცვაში, რომლებიც ზოგადად უფრო დაბალანაზღაურებადი სფეროებია.

უმაღლესი/ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებლები სომხეთსა და უკრაინაშია. ადგილობრივ ადმინისტრაციაში ქალთა მონაწილეობის უმაღლესი მაჩვენებელი ფიქსირდება ბელარუსში.

25. „ქალები ბიზნესსა და მენეჯმენტში: ძალებს იკრებენ“, ILO (2015). www.ilo.org/wcm_sp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_316450.pdf.

26. Ibid.



2. ქალთა მიმართ ძალადობა

ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მაჩვენებელი, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ქალებს. ინფორმაცია ფრაგმენტულია, რადგან სტატისტიკური მონაცემები საკვლევ ქვეყნებში არაერთგვაროვნად გროვდება.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საზომია ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ევროპის საბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (ასევე ცნობილია, როგორც სტამბოლის კონვენცია)²⁷ და მოახდინეს მისი რატიფიცირება.

ცხრილი 11: ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები

ქვეყანა	ხელმოწერა	რატიფიკაცია	აღსრულება
სომხეთი	-	-	-
აზერბაიჯანი	-	-	-
საქართველო	19 ივნისი 2014	-	-
მოლდოვა	-	-	-
უკრაინა	7 ნოემბერი 2011	-	-

ბელარუსი არ არის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა, თუმცა სტამბოლის კონვენცია ღია არანევრი სახელმწიფოებისათვის ხელმოწერის კუთხით.

27. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168046031c>.

ქალებზე ძალადობასთან დაკავშირებით, კონსულტანტებმა შემდეგი ინფორმაცია მოგვანოდეს:

პოლიციის სტატისტიკის თანახმად, სომხეთში საშუალოდ 621 ასეთი შემთხვევა აღირიცხება წელიწადში, თუმცა ქალთა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელ ხაზზე, ჯამურად, წელიწადში 5 000-მდე ზარი ხორციელდება. 2010 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ სომხეთის შესახებ გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, გამოკითხულ ქალთა 61%-მა განაცხადა, რომ პარტნიორი აკონტროლებდა; მეოთხედი - ფსიქოლოგიური ძალადობის ან სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი იყო, ხოლო 8.9%-ზე ფიზიკურად ძალადობდნენ. ქალების მხოლოდ 7.7%-ს სჯეროდა, რომ ისეთი პრობლემის განხილვა, როგორცაა ოჯახში ძალადობა, გარეშე პირებთანაც შეეძლო. 2013 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონპროექტი უარყვეს იმ მიზეზით, რომ ვერ აღსრულდებოდა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ადამიანის უფლებათა ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამის ერთ-ერთი პირობა გახლავთ დამოუკიდებელი კანონის მიღება ოჯახში ძალადობის აღკვეთის შესახებ.

აზერბაიჯანმა ასეთი კანონი 2010 წელს მიიღო. 2012 წელს აღირიცხა ოჯახური ძალადობის შედეგად მომხდარი 1 633 დანაშაული. მათგან 1 284 მსხვერპლი ქალი იყო²⁸. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები ბევრად უფრო მაღალ ციფრებს ასახელებენ, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ოფიციალურ სტატისტიკაში.

ბელარუსში მოსახლეობის 77% დაზარადა ოჯახში ძალადობის შედეგად (ქალების 77.3% და მამაკაცების 76.7%), ყოველი სამი ქალიდან ერთი ფიზიკური ძალადობის, ხოლო ყოველი მეხუთე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. სისხლის სამართლის, სამოქალაქო, ასევე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში მოცემულია მთელი რიგი მუხლები, რომლებიც განსაზღვრავს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის უკანონო აქტებს, მაგრამ ზოგჯერ ასეთი შემთხვევებზე ვერ ხორციელდება სამართლებრივი დევნა, თუ დარღვევა ოჯახში ხდება. 2016-2017 წელს მოსალოდნელია ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღება. ეს იქნება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) სხვადასხვა სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციასთან მუშაობის შედეგი.

საქართველოში არსებობს ცალკე კანონი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ. 2014 წელს ქალებზე ძალადობის 742 ასეთი შემთხვევა აღირიცხა ქვეყანაში. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ კანონი არ არის ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი და არც ეფექტიანად აღსრულდება.

მოლდოვაში ოჯახური ძალადობის მაჩვენებელი 2012 წელს 64%-ს შეადგენდა, ფსიქოლოგიური - 59.4%-ს, ფიზიკური - 39.7%-ს, ხოლო სექსუალური - 18.6%-ს. ქვეყანაში ასევე მოქმედებს ცალკე კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ, თუმცა ისიც ნაკლებად ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის და აღსრულების თვალსაზრისითაც არაეფექტიანი.

უკრაინაში 2013 წელს ოჯახში ძალადობის 174 229 შემთხვევა აღირიცხა. ევროპის საბჭო მუშაობს უკრაინის მთავრობასთან, რათა მხარი დაუჭიროს

28. www.osce.org/baku/110044?download=true.

სტამბოლის კონვენციის მოთხოვნათა განხორციელებას. აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის გამო, ქალებზე ძალადობის რისკი გაიზარდა²⁹.

3. არასამთავრობო ორგანიზაციები

მკვლევარებმა საკვლევ ქვეყნებში გამოავლინეს ქალების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა გავლენა არაერთგვაროვანია.

მათ აღნიშნეს, რომ სომხეთში ქალთა ორგანიზაციების თანამშრომლებს, წევრებსა და სხვა უფლებადამცველ აქტივისტებს რეგულარულად ემუქრებიან და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. 2013 წელს ქალთა რესურსცენტრმა ანონიმური მუქარები მიიღო ფიზიკური ანგარიშსწორების შესახებ, რომლებიც მოჰყვა მის მონოღებებს გენდერულ თანასწორობაზე კანონმდებლობის მიღებისაკენ. არც ერთი ეს ინციდენტი ეფექტიანად არ გამოუძიებიათ წლის ბოლომდე.

მიუხედავად იმისა, რომ ბელარუსში არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს არ ასრულებენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში, მათი წვლილი დიდია ანგარიშგების გაუმჯობესების მხრივ - სახელმწიფოს მიერ გენდერული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. ბელარუსში გენდერული სექტორის 2014 წლის ანალიზის თანახმად³⁰, ამ საკითხების შესახებ ყველაზე აქტიურად ბელარუსის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (ვერძოდ, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები) მუშაობენ. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო ძალისხმევა შეუმჩნეველი რჩება და ისინი ვერ ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ აზრზე. თუმცა, ეს ორგანიზაციები ხშირად ერთადერთი ძალაა, რომელიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის ღირებულებათა დამკვიდრებას და ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მიერ გენდერული თანასწორობის პოლიტიკით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ისინი ასევე მონიტორინგს უწევენ კონკრეტული გენდერული საკითხების გადაჭრას სახელმწიფოს მიერ. უშუალოდ გენდერის საკითხებზე 32 არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს ამ პრობლემებთან გამკლავებას, თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მათი საქმიანობა ნაკლებად საჭაროა, ან მონოღებული ინფორმაციის ხარისხი არ არის სათანადო. ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციები ბელარუსში არ იჩენენ განსაკუთრებულ ინტერესს გენდერული საკითხების მიმართ.

საქართველოში 200-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს გენდერულ ან ქალთა საკითხებზე, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი აქტიურობს. ფემიციდისა და ქალებზე ძალადობის საპასუხოდ, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ასობით ქალი გაერთიანდა ქართველ

29. მეტი ინფორმაცია: www.ohchr.org/Documents/Countries/UA/9thOHCHRreport_Ukraine.pdf.

30. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://eng.oecb.by/wp-content/uploads/2015/06/Analysis-of-Gender-Sector-in-Belarus.pdf>.

ქალთა მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ძირითადად ქალებზე ძალადობასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობს. 2014 წლის 25 ნოემბერს ამ მოძრაობამ ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო დემონსტრაციები მოაწყო, რომლებიც გამოხატა ამგვარ ძალადობას. 2015 წლის 8 მარტს მისი ორგანიზებით გაიმართა მსვლელობა, რომლის მოთხოვნაც იყო „მეტი ქალი პარლამენტში“.

მოლდოვაში ქალთა უფლებებზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. 2012 წლიდან მოლდოვის მთავრობამ, დონორებისა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით, მუშაობა დაიწყო გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე, ხელისუფლების მიერ გენდერული კვთების შემოღების გზით. კანონპროექტი მიღებულია 2016 წლის აპრილში. 2015 წელს ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციების მოძრაობა, გენდერული თანასწორობის პლატფორმის სახით.

უკრაინაში დამოუკიდებელ ქალთა მოძრაობას ხანგრძლივი ისტორია აქვს და კარგად არის განვითარებული. შეუძლებელია ქალთა ჯგუფების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, თუმცა, სავარაუდოდ, მათი რიცხვი დაახლოებით 500-ს აღწევს. ისინი აქტიურად მუშაობენ გენდერული პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში (ქალების პოლიტიკური მონაწილეობა, ანტიდისკრიმინაცია, გენდერული განათლება, სამშვიდობო მოძრაობა, ადამიანებით ვაჭრობა და ოჯახში ძალადობა). ქალთა მოძრაობა ინსტიტუციურ მესხიერებას ინარჩუნებს სხვადასხვა პერიოდში პოლიტიკური ცვლილებების შედეგად გამოწვეული გენდერული გარდაქმნების მიმართ. გასულ წელს ქალთა მოძრაობამ წამოიწყო დისკუსიები კვთებთან დაკავშირებით და ადვოკატირებას უწევდა ამ საკითხს. პარლამენტმა მხოლოდ 2015 წელს შეიტანა შესაბამისი ცვლილებები კანონში ადგილობრივი არჩევნების შესახებ, თუმცა შესაბამისი აღსრულების მექანიზმები არ დანერგილა.

4. იძულებით გადაადგილებული პირები (IDPs)

საქართველოსა და უკრაინაში დიდია კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული პირთა რაოდენობა. სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, აქვთ თუ არა მათ ხმის მიცემის უფლება (იხ. ნაწილი საარჩევნო სისტემები შესახებ).

საქართველოში მოსახლეობის 6% იძულებით გადაადგილებული პირია, რომელთაგან 86 774 მამაკაცია და 102 865 - ქალი³¹. უკრაინაში მათი რიცხვი 1 787 019-ს აღწევს, აქედან 57% ქალია, ხოლო 43% - მამაკაცი³².

31. მოსახლეობის ბოლო აღწერა, ჩატარებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ (2014 წ.). მონაცემები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://census.ge/ge/results/census>.

32. მონაცემები ხელმისაწვდომია მთავრობის ვებგვერდზე (გამოქვეყნებულია 2016 წლის 30 მაისს): www.kmu.gov.ua/control/uk/publish/article?art_id=249069737&cat_id=244277212.

აზერბაიჯანი 597 000 იძულებით გადაადგილებულ პირს ითვლის, თუმცა არ არსებობს გენდერული ნიშნით დიფერენცირებული მონაცემები³³.

2005 წელს ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ (NRC)³⁴, ტერიტორიული ადმინისტრირებისა და განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულ მიგრაციის სახელმწიფო სამსახურთან ერთად, დაადგინა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 1988-1994 წლების მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შედეგად, სომხეთში 65 000 ოჯახი იყო იძულებით გადაადგილებული. 2005 წლისთვის მათი უმრავლესობა მუდმივ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა, თუმცა დაახლოებით 8 399 პირი კვლავ იძულებით გადაადგილებული რჩება. დიფერენცირებული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის.

ბელარუსისა და მოლდოვის შემთხვევაში მონაცემები იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ კვლევამ ვერ მოიპოვა.

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს ინფორმაცია ერთადერთი წყაროა სომხეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის შესახებ. მათი ამჟამინდელი რიცხვის შესაფასებლად აღარ ჩატარებულა შემდგომი კვლევები. ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შედარებით ახალი მონაცემები არ შეუმომწებიათ. 2005 წელს მოსახლეობა 3 219 200-ს³⁵ შეადგენდა, ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, სავარაუდოდ, მათ 0.3%-ს.

5. საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეები

გაეროს მონაცემებით, ბოლო ათწლეულის მანძილზე მოლდოვაში მოსახლეობის სამუშაო ძალის დაახლოებით მესამედი დროებით ან მუდმივ მიგრაციაში იმყოფება³⁶.

საქართველოში 2014 წლის მოსახლეობის აღწერის თანახმად, 88 541 საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს საზღვარგარეთ (რომელთაგან 40 182 მამაკაცია და 48 359 ქალი).

2015 წელს უკრაინის მოქალაქეთა 11.50% მშობლიური ქვეყნის გარეთ ცხოვრობდა.

2012 წელს სომხეთის 221 846 მოქალაქე ცხოვრობდა საზღვარგარეთ, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 6.8%-ია. მიგრაციის პოლიტიკის ცენტრის თანახმად, საზღვარგარეთ მცხოვრებ სომხებში გენდერული ბალანსი დაცულია (მამაკაცი: 47,5%, ქალი - 52.5%)³⁷.

33. წყარო: www.internal-displacement.org/europe-the-caucasus-and-central-asia/azerbaijan/2014/azerbaijan-after-more-than-20-years-idps-still-urgently-need-policies-to-support-full-integration/.

34. www.internal-displacement.org/europe-the-caucasus-and-central-asia/armenia/figures-analysis.

35. სომხეთის სტატისტიკური ყოველწლიური გამოცემა, სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2006: <http://armstat.am/en/>

36. <http://md.one.un.org/content/unct/moldova/en/home/presscenter/stories/making-the-most-of-migration-in-moldova.html>.

37. წყაროები: ეროვნული სტატისტიკა (მოსახლეობის აღწერა, რეესტრი, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რეესტრი ა.შ.): http://www.migrationpolicycentre.eu/docs/migration_profiles/Armenia.pdf.

ბელარუსისა და აზერბაიჯანის შესახებ სანდო მონაცემები კვლევამ ვერ მოიპოვა.

6. ეროვნული უმცირესობები

ეროვნულ უმცირესობებზე არ მოიპოვება გენდერული ნიშნით დიფერენცირებული ინფორმაცია, თუმცა აღრიცხულ მონაცემთა მიხედვით, მათი რაოდენობა მცირეა. ამ უმცირესობათა ყველაზე დიდი რიცხვი ბელარუსშია, სადაც მოსახლეობის 8.3%-ს რუსები შეადგენენ; მოლდოვაში 8.3% უკრაინელია, საქართველოში - 4.5% სომეხი, აზერბაიჯანში კი სომეხთა რაოდენობა 8.4%-ს აღწევს. რთული იყო მონაცემების მოპოვება უკრაინაში არსებულ ვითარებაზე, რადგან მოსახლეობის უკანასკნელი აღწერა 2001 წელს ჩატარდა. რამდენიმე ქვეყანაში ბოშური წარმომავლობის მოსახლეობაა წარმოდგენილი, თუმცა იმის გამო, რომ ხშირად დოკუმენტები არ გააჩნიათ, მათ ზუსტად ვერ აღრიცხავენ.

7. სოციალური მედია

სოციალური მედიის გამოყენება ყველა ქვეყანაში იზრდება, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალაქებსა და რეგიონებს შორის. ასევე არსებითია სხვაობა მომხმარებელთა ასაკში.

მკვლევართა ცნობით, ჯერჯერობით სოციალურ მედიას არჩევნებში მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია.

მკვლევარებმა სომხეთიდან აღნიშნეს, რომ სოციალურ მედიას ეფექტიანად იყენებენ ოპოზიციური პარტიები. მოსახლეობის უმრავლესობა, ჯერჯერობით, არ მიიჩნევს მას ინფორმაციის საიმედო წყაროდ, თუმცა ამ მხრივ ცვლილებები შეინიშნება.

აზერბაიჯანიდან ორი რესპონდენტი იყენებდა სოციალურ მედიას საარჩევნო კამპანიებში. ერთ-ერთს სოციალურ მედიაში მხარდამჭერებიც ჰყავდა, რომლებიც ეცნობოდნენ მის გზავნილებს. ამასთან, კამპანიის ფარგლებში მან ატვირთა ვიდეოც.

სტერეოტიპები და დამოკიდებულებები

1. ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაცია

ყველა მკვლევარმა დაადგინა, რომ ნეგატიური სტერეოტიპული შეხედულებები და წარმოდგენები ქალთა როლის შესახებ მნიშვნელოვანი ბარიერია პოლიტიკაში მათი მონაწილეობისას.

ინტერვიუებში სტერეოტიპული დამოკიდებულებები 53 რესპონდენტიდან 21-მა ახსენა, როგორც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელოვანი ბარიერი. მათ შორის იყვნენ როგორც ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე, ისე დიდი და მცირე ქალაქებისა და სოფლების ადგილობრივ ადმინისტრაციაში არჩეული კანდიდატები, ასევე,

დამარცხებული კანდიდატები, პარლამენტის ყოფილი წევრები და ქალები ყველა საკვლევი ქვეყნიდან.

ზოგიერთი მათგანის მოსაზრება საკმაოდ მრავლისმთქმელია, რაც ქვემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ჩანს:

- ▶ „ჩემი არყოფნისას, მამაკაცებმა მოანყვეს შეხვედრა, სადაც ამბობდნენ, რომ არ დაასახელებდნენ არც ერთ ქალს თემის მმართველ პოზიციაზე, ერთად დადგებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ მამაკაცს“. (სომხეთი)
- ▶ „მე ჩემს ოპონენტს დებატებში მონაწილეობა შევთავაზე, თუმცა მისი პასუხი ასეთი იყო: „არასდროს ვკამათობ ან განვიხილავ საკითხებს ქალთან“. (სომხეთი)
- ▶ „ამომრჩევლებმა მითხრეს, რომ სამზარეულოში დავბრუნებულიყავი და ჩემი კაცისთვის მიმეხედა“. (სომხეთი)
- ▶ „ჩემმა ოპონენტმა თქვა: რისი გავთვება შეუძლია ქალს? მამაკაცებმა უკვე იციან პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. (მოლდოვა)
- ▶ „მე უნდა გადამელახა დამოკიდებულება, რომ მიუღებელია ქალაქის მართვა ქალის მიერ“. (საქართველო)
- ▶ „ძალზე ბევრი ჭორი გავრცელდა და ხალხი მეუბნებოდა, დავბრუნებულიყავი სამზარეულოში და ბორში მომემაღებინა“. (უკრაინა)

ერთ-ერთ რესპონდენტს კამპანიის ჩატარებაში ამან შეუშალა ხელი:

- ▶ „თავს არაკომფორტულად ვგრძობდი უცნობ ადამიანებთან საუბრისას და მამაკაცებს მეტად მიაგებდნენ პატივს; არ მინდოდა უსიამოვნო სიტყვების გაგონება“. (სომხეთი)

ახალგაზრდა ქალები აცხადებდნენ, რომ ხდებოდა მათი დისკრიმინაცია ასაკისა და სქესის გამო. პარლამენტის ერთმა ახალგაზრდა წევრმა აღნიშნა:

- ▶ „პარლამენტის თანამშრომლები არ მალიარებდნენ, როგორც დეპუტატს, რადგან ახალგაზრდა ქალი ვიყავი“. (უკრაინა)

რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა გენოლა ოჯახებზე, არჩევნებში მათი კანდიდატობის გამო.

- ▶ „მაღალი ინტერესი არსებობდა ჩემი ოჯახური მდგომარეობის მიმართ. თუმცა, ეს ასე არ იყო მამაკაცების შემთხვევაში“. (საქართველო)

არჩევის შემდეგაც კი, რამდენიმემ მათგანმა აღნიშნა, რომ მათ დამატებითი ძალისხმევა სჭირდებოდათ საკუთარი ამრის გამოსახატავად.

- ▶ „რამის თქმამდე აუცილებლად ბევრი უნდა ვიფიქრო, რადგან ვინმე უეჭველად შემანყვეტინებს სიტყვას“. (საქართველო)
- ▶ „მამაკაცები შენ არ გელაპარაკებიან, ისინი ელაპარაკებიან სხვა მამაკაცებს“. (უკრაინა)
- ▶ „ძალზე ხშირად მამაკაცები მართავენ შეხვედრებს და იღებენ გადაწყვეტილებებს პოლიტიკის შესახებ, მაგრამ მე არ მინვევენ“. (უკრაინა)

ერთ-ერთი რესპონდენტის ამრით, მნიშვნელოვანია შეხედულებების შეცვლა იმ ქალების მიმართ, რომელთაც პოლიტიკური თანამდებობა უკავიათ.

- ▶ „ქალები ერთმანეთს მხარს არ უჭერენ, ისინი მიიჩნევენ, რომ „განსაკუთრებულები“ არიან, „არაჩვეულებრივი“ უნარებით, ან თავი უფრო იღბლიანი ჰგონიან; ჩვენ უნდა შევცვალოთ ასეთი დამოკიდებულება და ერთმანეთის მიმართ სოლიდარობა გამოვიჩინოთ“. (მოლდოვა)

თუმცა, როგორც ჩანს, მსგავსი დამოკიდებულებები იცვლება. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასეთი რამ აღნიშნა:

- ▶ „როდესაც პირველად მივიღე მონაწილეობა არჩევნებში, ძალიან ბევრი კომენტარი მოვისმინე, რომ მე, როგორც ქალს, არ შემიძლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა. მეორედ ჩემი კანდიდატურის წამოყენებისას კითხვები ჩემს დამსახურებასა და პროგრამას შეეხებოდა“. (საქართველო)

2. დამოკიდებულების კვლევები

აზერბაიჯანის გარდა, ყველა საკვლევი ქვეყანაში ჩატარდა ქალებისადმი დამოკიდებულებების კვლევები. ზოგ შემთხვევაში კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა დამოკიდებულებები ქალების მიმართ იცვლება საზოგადოებაში, რაც წინ უსწრებს პოლიტიკის ცვლილებებს.

სომხეთი

2015 წელს სომხეთის გენდერის ბარომეტრის³⁸ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში რესპონდენტთა 60% თვლიდა, რომ სომხურ საზოგადოებაში მამაკაცები და ქალები არ არიან თანასწორნი. 55% ამის მიზეზად მიიჩნევს საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალ დონეს ქალთა უფლებების შესახებ.

მამაკაცები ქალებზე უფრო დაინტერესებულნი არიან პოლიტიკით, თუმცა ბოლო არჩევნებში შედარებით მეტმა ქალმა ისარგებლა ხმის უფლებით.

ბელარუსი

2010 წელს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კვლევების დამოუკიდებელმა ინსტიტუტმა (HSEPS) გამოიკვლია ბელარუსიელთა დამოკიდებულება პოლიტიკაში მოღვაწე ქალების მიმართ. დადგინდა, რომ რესპონდენტთა 55.6% ქალი საპრეზიდენტო კანდიდატის წინააღმდეგი იყო, თუმცა ახალგაზრდები, ისევე, როგორც განათლების მაღალი დონის მქონე მოქალაქეები, მეტი ალბათობით, მხარს დაუჭერდნენ ქალ საპრეზიდენტო კანდიდატს³⁹.

38. www.yu.am/files/Gender%20Barometer.Armenia.English.pdf.

39. www.iiseps.org.

2011 წელს მსოფლიო ღირებულებების კვლევამ დაადგინა, რომ მამაკაცთა 76.1% და ქალების 55.9% მამაკაცებს უკეთეს პოლიტიკურ ლიდერებად მიიჩნევენ.

2014 წელს HSEPS-ის მიერ ჩატარებული მორიგი გამოკითხვის ფარგლებში⁴⁰ რესპონდენტებს ჰკითხეს, საკმარისი ქალი იყო თუ არა პარლამენტში. 27.2%-ს აკმაყოფილებდა არსებული მდგომარეობა, ხოლო 8%-მა აუცილებლად მიიჩნია კანონის მიღება ქალთა რაოდენობის გასაზრდელად.

საქართველო

კავკასიის ბარომეტრის კვლევამ - „გენდერული საკითხებისადმი დამოკიდებულებები საქართველოში 2014 წელს“⁴¹ - გამოავლინა, რომ ოჯახური მოვალეობები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის უდიდეს წინააღმდეგობად განიხილება, რაც რესპონდენტთა 28%-მა მიუთითა.

პასუხად კითხვას: „საქართველოში ქალები გადანაცვლებების მიღების პროცესს ისე კარგად ვერ ართმევენ თავს, როგორც მამაკაცები?“

- ▶ 74% ნაწილობრივ ან სრულად ეთანხმება.
- ▶ გამოკითხულთა 51% ნაწილობრივ ან სრულად ეთანხმება, რომ მამაკაცები ხელს უშლიან ქალების მონაწილეობას პოლიტიკაში.
- ▶ 39%-ის აზრით, პოლიტიკოსები არასაკმარისად საუბრობენ ქალთა უფლებებზე, 37% საუბრებს საკმარისად მიიჩნევს, ხოლო 2% - ბედმეტადაც კი.
- ▶ გამოკითხულთა 64% მხარს უჭერს საქართველოს პარლამენტში სავალდებულო კვოტების მიღებას ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2014 წელს ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევამ⁴² საქართველოში გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 68% მხარს უჭერს პარლამენტში სავალდებულო კვოტების შემოღებას ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად.

მოლდოვა

წელ-წელა იცვლება დამოკიდებულებები ქალების, როგორც ლიდერებისა და არჩეული წარმომადგენლების მიმართ.

მოლდოვის გენდერულმა ბარომეტრმა 2006 წელს გამოავლინა⁴³, რომ გამოკითხულთა 50%-ს მამაკაცები უფრო კარგ ლიდერებად მიაჩნდა, ვიდრე ქალები. 2014 წლისთვის მაჩვენებელი 20%-მდე შემცირდა.

40. www.worldvaluessurvey.org/WVSDocumentationWV6.jsp.
41. <http://caucasusbarometer.org/en/no2014ge/HHASIZE/>.
42. https://www.ndi.org/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20ENG_Final_0.pdf.
43. გენდერული ბარომეტრი: საზოგადოებრივი აზრის კვლევა მოლდოვაში, კიშინიოვი, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, <http://www.ipp.md/lib.php?l=en&idc=156>.

პასუხად კითხვამ: „ვის არჩევას ამტობინებდნენ ადგილობრივ საბჭოებში?“ მამაკაცთა პროცენტული მაჩვენებელი 28,6%-დან (2006 წ.) 22,1%-მდე (2015 წ.) შემცირდა, ხოლო ქალებისა, შესაბამისად, 8,6%-დან 14,8%-მდე გაიზარდა. 2015 წელს გამოკითხულთა 62.3%-ის აზრით, სქესს მნიშვნელობა არ აქვს.

უკრაინა

2015 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ უკრაინაში ჩატარებულმა კვლევამ⁴⁴ შეისწავლა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისადმი დამოკიდებულება 2015 წლის ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებში.

პასუხად კითხვამ: „რა მიზეზები განაპირობებენ პოლიტიკაში ქალთა ნაკლებ წარმომადგენლობას?“ გამოკითხულთა 76% დაეთანხმა მოსაზრებას, რომ პოლიტიკური პარტიები ქალებზე მეტად მამაკაცებს წარადგენენ; 60%-მა უარყო შეხედულება, რომ არ არიან საკმარისად კვალიფიციური ქალები არჩევითი თანამდებობებისათვის; კანდიდატთა სქესი მნიშვნელოვანი იყო მხოლოდ 4%-სთვის, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად კი მიიჩნეოდა მათი პატიოსნება.

თითქმის ყველა რესპონდენტი აცხადებდა, რომ არ იყო უარყოფითად დამოკიდებული ქალი კანდიდატების მიმართ. ამის შესამოწმებლად რესპონდენტებს აჩვენეს ქალ და მამაკაც კანდიდატთა შემთხვევით შერჩეული ფოტოსურათები, რომელთაც მსგავსი ინფორმაცია ახლდა. რესპონდენტებს დაუსვეს კითხვა, მისცემდნენ თუ არა ხმას ამ ადამიანს. შედეგად არ გამოვლინდა მნიშვნელოვანი სხვაობა მამაკაცთა და ქალთა ფოტოების რეიტინგში.

3. მედია

გამოკითხულთა უმეტესობას არ ჰქონია მედიასთან მუშაობის გამოცდილება კამპანიის წარმოებისას. თუმცა, საპარლამენტო მანდატის მქონე ზოგიერთმა ქალმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მედიასთან კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა.

ამავდროულად, გამოკითხულმა ქალებმა აღნიშნეს რამდენიმე სირთულე და არანაყოფიერი მუშაობის გამოცდილება მასმედიასთან თანამშრომლობისას:

- ▶ ისინი თავს გამოწვევად გრძნობდნენ, რადგან არ ჰქონდათ საჭირო რესურსი მედიაგაშუქებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად.
- ▶ აზრით, მედია არ იყო დაინტერესებული ადგილობრივი არჩევნებით.
- ▶ მათ კითხვებს უსვამდნენ ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც ისინი ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევენ ასეთი შეკითხვების დასმას მამაკაცებისათვის.

44. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.ndi.org/ukraine-gender-research-2016.

- ▶ მათ აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ დაინტერესებულნი იყვნენ არჩევითი თანამდებობის დაკავებით.

მკვლევარმა სომხეთიდან დაასკვნა, რომ არსებობდა შეხედულება, თითქოს პარტიები ქალებს სატელევიზიო გამოსვლებში ნეგატიური გზავნილის გასაქვლებლად იყენებდნენ.

საკვლევ ქვეყნებზე მოძიებული მონაცემებიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მედია არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქალთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეცვლაში.

შემაჯამებელი დასკვნები

- ▶ არსებობს ღრმად გამჭვრადი, გაბატონებული სტერეოტიპული შეხედულებები და კულტურული დამოკიდებულებები ქალის როლზე საზოგადოებაში. მათგან მოელიან სახლისა და ოჯახის მოვლას, ხოლო მამაკაცები განიხილებიან გადანყვეტილების მიმღებ პირებად და ოჯახის მარჩენლებად. ეს აისახება როგორც პოლიტიკური თანამდებობის დაკავებით დაინტერესებულ ქალებზე, ასევე იმაზეც, როგორ აღიქვამენ მათ ამომრჩევლები, ანდა ის პირები, რომლებიც კანდიდატად ასახელებენ.
- ▶ ქალები არასახარბიელო მდგომარეობაში არიან ეკონომიკური თვალსაზრისით. მამაკაცებთან შედარებით, ისინი ნაკლებად მონაწილეობენ შრომის ბაზარზე. ეს მაჩვენებლები ქალებისათვის ყველა საკვლევ ქვეყანაში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, გარდა აზერბაიჯანისა.
- ▶ მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელთა გათვალისწინებით, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, დაბალი შემოსავლები აქვთ. ეს სხვაობა, როგორც წესი, საკვლევ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის იმ სახელმწიფოებში, სადაც ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია.
- ▶ ქალები განიცდიან გენდერულ სეგრეგაციას დასაქმებაში; ისინი ძირითადად მუშაობენ ისეთ დაბალანაზღაურებად საჯარო სამსახურებში, როგორცაა განათლება და ჯანდაცვა.
- ▶ ქალები მენეჯერულ პოზიციებს ყველა საკვლევ ქვეყანაში იკავებენ, თუმცა არ არსებობს მონაცემები, მენეჯმენტის რომელ დონეზე არიან ისინი წარმოდგენილნი.
- ▶ მიუხედავად იმისა, რომ ქალები მამაკაცებზე ხშირად იღებენ უმაღლეს განათლებას, ცენტრალურ ადმინისტრაციაში მათ იშვიათად აწინაურებენ წამყვან თანამდებობებზე იმავე თანაფარდობით.
- ▶ სომხეთსა და ბელარუსში არ არსებობს ცალკე კანონი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. მისი არსებობის შემთხვევაშიც კი, ძალიან ცოტა მსხვერპლი ქალია მზად მოძალადის გამოაშკარავებისათვის; ძალადობის შემთხვევათა ძალზე მცირე რაოდენობაა გამოძიებული, მცირეა შესაბამისი ორგანოების მიერ სისხლის სამართალწარმოების წამოწყების შემთხვევებიც;

- ▶ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, მოლდოვა, საქართველო და უკრაინა) ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ პოლიტიკოსებთან კვოტებისა და დადებითი ზომების ლობირება-დანერგვის საკითხებზე პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად.
- ▶ ახალი მედია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, როგორც მოქალაქეთა ინფორმაციის წყარო, და პოლიტიკური წარმომადგენლები თანდათან უფრო ხშირად იყენებენ ამ საშუალებებს.
- ▶ გენდერული ნიშნით დიფერენცირებული ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირების, ეროვნული უმცირესობებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების შესახებ ხელმისაწვდომი არ არის.
- ▶ გამოკითხული ქალები და მკვლევარები ყველაზე ხშირად ახსენებდნენ სტერეოტიპულ დამოკიდებულებასა და გაბატონებულ კულტურულ შეხედულებებს, როგორც ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შემაფერხებელ ძირითად ბარიერებს.
- ▶ სტერეოტიპული დამოკიდებულება გამოიხატება არა მხოლოდ ამომრჩევლების, არამედ ხშირად ოპონენტების, თუნდაც პოლიტიკური კოლეგების შეხედულებებშიც.
- ▶ სხვადასხვა ქვეყნის დამოკიდებულებათა კვლევები მიგვანიშნებს გარკვეულ პროგრესზე. გაბატონებული დამოკიდებულება, რომ ქალებს არ შეუძლიათ გადანყვეტილების მიღება და, შესაბამისად, არ შეეფერებიან პოლიტიკურ თანამდებობას, თანდათანობით იცვლება. ახალგაზრდებში ნაკლებად არის გავრცელებული აზრი, რომ ქალებს არ ხელეწიფებათ პოლიტიკოსობა და გასათვალისწინებელია, რომ მომავალში სწორედ ეს ახალგაზრდობა იქნება ამომრჩეველთა უმრავლესობა.
- ▶ NDI-ის მიერ უკრაინაში ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ ამომრჩევლებს კანდიდატთა ინდივიდუალური თვისებები, პოლიტიკური შეხედულებები და კვალიფიკაცია უფრო აღელვებს, ვიდრე სქესი.
- ▶ საკვლევ ქვეყნებზე მოძიებული მონაცემებიდან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მედია არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს ქალთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებების გარდაქმნაში.

ბ) პოლიტიკური ფაქტორები

პოლიტიკური სისტემები

სომხეთი რესპუბლიკაა. პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და პირდაპირი წესით აირჩევა. ეროვნულ კრებას ყოველ ხუთ წელიწადში ირჩევენ: 50 წევრს - მაჟორიტარული და 41-ს - პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემით.

აზერბაიჯანში საპრეზიდენტო სისტემა მოქმედებს. პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურია და პირდაპირი წესით ირჩევენ ყოველ ხუთ

წელიწადში ერთხელ. პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა კაბინეტსა და ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელებს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი და ამტკიცებს ეროვნული ასამბლეა. ეროვნული ასამბლეა 125 მანდატისაგან შედგება, რომლებსაც პირდაპირი წესით, მაჟორიტარული სისტემით ირჩევენ.

ბელარუსი საპრემიერ-მინისტრო რესპუბლიკაა, სადაც სახელმწიფოს მეთაურს პირდაპირი წესით ირჩევენ. საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი ეროვნული ასამბლეა, რომელიც შედგება წარმომადგენელთა პალატის 110 და ქვედა პალატის 64 წევრისაგან. მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელებს პრემიერ-მინისტრი, ხუთი მოადგილით, ხოლო სხვა არაარჩევით თანამდებობებზე კანდიდატები ინიშნებიან პრემიერ-მინისტრის მიერ.

საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა. პრემიერ-მინისტრს პირდაპირი წესით ირჩევენ. პარლამენტში 150 წევრია: 77 - პარტიული სიით, ხოლო 73 - მაჟორიტარული სისტემით.

მოლდოვა საპარლამენტო წარმომადგენლობის მქონე დემოკრატიული რესპუბლიკაა. პარლამენტი უმაღლესი ორგანოა და შედგება 101 წევრისაგან, რომლებსაც პროპორციული წარმომადგენლობითი წესით ირჩევენ პარტიული სიებიდან. მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლოს⁴⁵ მიერ ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მოსალოდნელია, პრემიერ-მინისტრი პირდაპირი წესით მოქალაქეებმა აირჩიონ. პირდაპირი არჩევნების ჩატარება 16 წლის განმავლობაში პირველად 2016 წლის 30 ოქტომბერს დაინიშნა.

უკრაინა საპარლამენტო საპრემიერ-მინისტრო სისტემა აქვს. პრემიერ-მინისტრს პირდაპირი წესით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიღებს ხმათა 50%-ზე მეტს პირველ ტურში, პირველი ორი კანდიდატი მონაწილეობს მეორე ტურში. პარლამენტში 450 წევრია, რომლებსაც ირჩევენ შერეული გზით: პროპორციულ-წარმომადგენლობითი პარტიული სიით და ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან.

პოლიტიკური პარტიები

კვლევის ამ ნაწილში წარმოდგენილია შერჩეული პარტიების შიდაპარტიული სტრუქტურა; ასევე, რამდენად არიან ქალები წარმოდგენილნი პოლიტიკაზე გავლენის მქონე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა ან ორგანიზაციებში, ატარებენ თუ არა პარტიები კონკრეტულ ღონისძიებებს ამ მიმართულებით და რამდენად უწყობს ხელს ეს ზომები ქალ კანდიდატთა და არჩეულ წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდას.

ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი ყველა ასპექტის შესახებ და ყველა ქვეყნის შემთხვევაში.

45. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: www.constcourt.md.

ბოლო არჩევნებში მონაწილე პარტიები

ცხრილი 12: ბოლო საკანონმდებლო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების რაოდენობა და ტიპები

ქვეყანა	პოლიტიკური პარტიები
სომხეთი	9 პარტია დარეგისტრირდა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად
აზერბაიჯანი	11 პარტია (3-მა ოპოზიციურმა ჯგუფმა არჩევნებამდე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა)
ბელარუსი	8 პარტია (15 რეგისტრირებული პარტიიდან)
საქართველო	16 (15 პარტია და 1 ბლოკი)
მოლდოვა	20 პარტია (მხოლოდ 5-მა გადალახა საარჩევნო ზღვარი)
უკრაინა	52

ცხრილი 13: ბოლო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების რაოდენობა და ტიპი

ქვეყანა	პოლიტიკური პარტია
სომხეთი	ადგილობრივი არჩევნები ტარდება საკუთარი კანდიდატურის წარდგენის პრინციპით; კანდიდატებს არ მოეთხოვებათ პარტიის მითითება, თუმცა მათი უმეტესობა 5 ძირითად პარტიას მიეკუთვნება.
აზერბაიჯანი	30 პარტია; ადგილობრივად არჩეულ პირთა 74% პარტიულია, თუმცა მხოლოდ 59%-ია დასახელებული 8 პოლიტიკური პარტიის მიერ.
ბელარუსი	კანდიდატები ადგილობრივ არჩევნებში არ წარმოდგენენ პოლიტიკური პარტიებს, თუმცა ზოგი მათგანი პარტიის წევრია.
საქართველო	24 საარჩევნო სუბიექტი
მოლდოვა	43 უფლებამოსილი სუბიექტი; 21-მა პარტიამ და ერთმა ბლოკმა მიიღო მონაწილეობა და მხოლოდ 9 პარტიას და 1 ბლოკს ჰყავს ერთი არჩეული მერი მაინც.
უკრაინა	142

შიდაპარტიული სტრუქტურა

თვალსაჩინო ლიდერმა ქალებმა შეიძლება ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებში მეტი ქალის მონაწილეობას და გავლენა იქონიონ პარტიის პოლიტიკაზე.

ცხრილი 14: ქალები პარტიის ლიდერების ან მოადგილეების როლში (საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი მაქსიმუმ 5 პოლიტიკური პარტიიდან)

ქვეყანა	ქალები ლიდერების როლში
სომხეთი	პარტია „სომხეთის ალორძინების“ ხელმძღვანელი; პარტია „კანონის უზენაესობის“ ხელმძღვანელის მოადგილე.
აზერბაიჯანი	პარტიას ქალი არ ხელმძღვანელობს; პირველი ლედი პარტია „ახალი აზერბაიჯანის“ თავმჯდომარის მოადგილეა, თავმჯდომარე კი გახლავთ თვითონ პრეზიდენტი.
ბელარუსი	არც ერთი
საქართველო	ბლოკ „ქართული ოცნების“ წევრი და რესპუბლიკური პარტიის ლიდერი ქალი.
მოლდოვა	29-დან 5 ქალია ხელმძღვანელის მოადგილე
უკრაინა	ერთი პარტიის „მამულის“ ლიდერი

ცხრილი 15: ქალები პარტიის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში

ქვეყანა	უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში ქალების პროცენტული მაჩვენებელი
სომხეთი	5-10%
აზერბაიჯანი	40% აზერბაიჯანის დემოკრატიული რეფორმების პარტიაში; 15% პარტიაში „ახალი აზერბაიჯანი“; 10% პარტიაში „ერთიანი აზერბაიჯანის პოპულარული ფრონტი“.
ბელარუსი	არ არის ინფორმაცია
საქართველო	16% - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; 1 ქალი ბლოკში „ქართული ოცნება“; 33% რესპუბლიკურ პარტიაში.
მოლდოვა	10%-მდე;
უკრაინა	12% სოლიდარობის ბლოკში. 30% ხალხის ფრონტში; 15% პარტიაში „მამული“.

ცხრილი 16: პარტიის წესები უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში ქალებთან დაკავშირებით, მაგ.: დაჯავშნილი ადგილები

ქვეყანა	წესი
სომხეთი	არა
აზერბაიჯანი	არც ერთ მთავარ პარტიაში; მხოლოდ ერთ პარტიას, რომელიც მოიხსნა არჩევნებიდან, დაწესებული აქვს 25%-იანი კვოტა ყველა ხელმძღვანელ ორგანოში.
ბელარუსი	არა

ქვეყანა	წესი
საქართველო	რესპუბლიკურმა პარტიამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს გენდერულ კვოტებს პარტიაში, თუმცა პროცედურა ამის განსახორციელებლად არ არსებობს.
მოლდოვა	დიახ, ჩვეულებრივ, პარტიის ქალთა დაჯგუფების პრეზიდენტი
უკრაინა	არა

კვლევის ფარგლებში განხილულ პარტიებში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალები არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი.

მიუხედავად ამ დაბალი მაჩვენებლებისა, მხოლოდ რამდენიმე პარტიას აქვს დანერგილი სპეციალური ზომები ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად. რესპუბლიკურ პარტიას საქართველოში აქვს შესაბამისი პოლიტიკა, თუმცა საჭიროა მისი პრაქტიკაში განხორციელება. მოლდოვაში პარტია „ქალთა ჯგუფების“ პრეზიდენტი, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია აღმასრულებელ ორგანოებში.

ცხრილი 17: ქალთა ჯგუფები პარტიებში და აქვთ თუ არა მათ რამე კონკრეტული უფლებები

ქვეყანა	ქალთა ჯგუფები	კონკრეტული როლები ან უფლებები
სომხეთი	დიახ, ყველა პარტიაშია ქალთა ჯგუფები	არ აქვთ გავლენა პარტიის ლიდერებზე; არ არიან ჩართულნი პარტიის პოლიტიკის დაგეგმვაში.
აზერბაიჯანი	ყველა პარტიაშია ქალთა საბჭოები ან ქალთა დეპარტამენტები	შეუძლიათ დელეგატების გაგზავნა პარტიის ყრილობებზე
ბელარუსი	არა	არ არის მონაცემები
საქართველო	ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს ქალების დეპარტამენტი, რესპუბლიკური პარტია კი გეგმავს შექმნას.	არ აქვთ კონკრეტული უფლებები
მოლდოვა	დიახ, ზოგადად პოლიტიკურ პარტიაში ქალთა ჯგუფებს ძალიან მცირე ძალაუფლება აქვთ.	აქვთ დაჯავშნილი ადგილები უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოში
უკრაინა	არა	მონაცემები არ არის

სადაც არსებობს ქალთა ორგანიზაციები, მათ არ აქვთ დიდი ძალაუფლება ან გავლენა პოლიტიკაზე.

კანდიდატთა შერჩევა

პოლიტიკური პარტიები არჩევენ კანდიდატებს, რომლებიც მათი სახელით მონაწილეობენ არჩევნებში. ამასთან, პარტიებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ კონკრეტულ პირთა მიერ კანდიდატურის წამოყენებას. მაშინაც კი, თუ არ არსებობს გენდერული კვოტების დანერგვაზე მიმართული კანონმდებლობა ან ფინანსური მექანიზმები ქალ კანდიდატთა წარდგენის ხელშეწყობისათვის (იხ. ქვემოთ შემდეგი ნაწილი), პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ ნებაყოფლობითი ზომები მიიღონ მათ წასახალისებლად და მეტი ქალის ასარჩევად.



1. საკანონმდებლო არჩევნები

ცხრილი 18: კანდიდატთა სიებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე მიმართული სპეციალური ზომები (მაგ.: მოთხოვნა ქალი კანდიდატების მინიმალურ რაოდენობაზე ან სიის დასაწყისში წარდგენაზე) და ბოლო საკანონმდებლო არჩევნებში ქალი კანდიდატების პროცენტული მაჩვენებელი

ქვეყანა	სპეციალური ღონისძიებები	ქალი კანდიდატები (%)	თითოეული პარტიის მანდატები არჩევნების შემდეგ (%)
სომხეთი	საკანონმდებლო კვოტა (იხ. ქვემოთ)	სომხეთის ალორძინება: 17% პარტია „მემკვიდრეობა“: 18% სომხეთის ეროვნული კონგრესი: 19% სომხ რევოლუციონერთა ფედერაცია: 17% სომხეთის დემოკრატიული პარტია: 20% სომხური კომუნისტური პარტია: 20% სომხეთის რესპუბლიკური პარტია: 16% ერთიანი სომხური პარტია: 21% კანონის უზენაესობა: 18%	არ არის ინფორმაცია
აზერბაიჯანი	არც ერთი	ახალი აზერბაიჯანული პარტია: 20% მოქალაქეთა სოლიდარობის პარტია: 12% ერთიანი აზერბაიჯანული პოპულარული ფრონტი 23% აზერბაიჯანის დემოკრატიული რეფორმების პარტია: 15%	ახალი აზერბაიჯანი მოქალაქეთა სოლიდარობა: 0% ერთიანი აზერბაიჯანული პოპულარული ფრონტი: 0% აზერბაიჯანის დემოკრატიული რეფორმები: 0% ეროვნული ალორძინების მოძრაობა, პარტია: 6% ეროვნული ალორძინების მოძრაობა: 0%
ბელარუსი	არც ერთი	0.2% ბელარუსის სოციალური სპორტის პარტია, 16% ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიაში	არ არის ინფორმაცია

საქართველო	რესპუბლიკურმა პარტიამ მხარი დაუჭირა პროპორციული პარტიული სისის დასაწყისში ქალთა 30%-ის წარდგენას	ორი ძირითადი პარტიის პროპორციულ სიებში ქალების უმცირესი რაოდენობაა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 3 ქალი პირველ ათეულში; ქართული ოცნება - 1 ქალი პირველ ათეულში.	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა: 11%; ბლოკი „ქართული ოცნება“: 13%
მოლდოვა		30%	ლიბერალური პარტია: 13% დემოკრატიული პარტია: 21% ლიბერალ-დემოკრატიული პარტია: 17% კომუნისტური პარტია: 33% სოციალისტების პარტია: 20%
უკრაინა	არც ერთი	სოლიდარობის ბლოკი: 24% ხალხის ფრონტი: 19% პარტია მამული: 29% სამოპომიჩი (თვითდახმარება): 34% რადიკალური პარტია: 14%	სოლიდარობის ბლოკი: 12% ხალხის ფრონტი: 15% პარტია „მამული“: 26% სამოპომიჩი: 31% რადიკალური პარტია: 14%

არ არსებობს მკაფიო კავშირი ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა რაოდენობას შორის, რადგან ხშირად მხოლოდ პატარა პარტიები აწესებენ ასეთ პოლიტიკას. მოლდოვის შემთხვევაში, პარტიები, შეთავაზებული გაზრდილი ფინანსური სარგებლის მიღების სურვილით, ნებაყოფლობით კვოტას აწესებენ. მსგავსად, საქართველოში პარტიების ფინანსურ წახალისებას არ მოჰყოლია ქალ კანდიდატთა ან არჩეულ ქალთა რაოდენობის ზრდა.

2. ადმინისტრაციული (ადგილობრივი დონის არჩევნები)

მკვლევართა მიერ შესწავლილი ყველა პარტია ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატებს წარადგენს. გამონაკლისი შემთხვევები გამოვლინდა სომხეთში, სადაც პარტიები ასე არ იქცევიან, თუმცა კანდიდატთა უმრავლესობა პარტიის წევრია; და ბელარუსში, სადაც პოლიტიკური პარტიები წარადგენენ კანდიდატებს, რომლებიც ხალხთან ურთიერთობენ საარჩევნო კამპანიისას, თუმცა შემდგომ ხსნიან თავიანთ კანდიდატურებს, რადგან არჩევნებს არ მიიჩნევენ „სამართლიანად“.

საკვლევ ქვეყნებში პარტიებს არა აქვთ რამე წესები ან პირობები ქალთა წარმომადგენლობის შესახებ ადგილობრივი მმართველობის არჩევნებზე კანდიდატთა შერჩევისას. გამონაკლისია მოლდოვა, სადაც სამმა პარტიამ შემოიღო ნებაყოფლობითი 30%-იანი კვოტა (ცხრილი 18), თუმცა ის ადგილობრივი არჩევნების დონეზე არ აღსრულდება.

ცხრილი 19. ადმინისტრაციულ დონეზე ქალების მიერ დაკავებული პარტიული ადგილების პროცენტული მაჩვენებელი

ქვეყანა	ქალების მიერ დაკავებული პარტიული ადგილები (%)
სომხეთი	არ არის ინფორმაცია
აზერბაიჯანი	ახალი აზერბაიჯანული პარტია: 40%; მოქალაქეთა სოლიდარობის პარტია: 20%; ერთიანი აზერბაიჯანული პოპულარული ფრონტი: 0%; აზერბაიჯანის დემოკრატიული რეფორმები: მონაცემები არ არის; ეროვნული აღორძინების მოძრაობა: მონაცემები არ არის.
ბელარუსი	არ არის ინფორმაცია
საქართველო	არ არის ინფორმაცია
მოლდოვა	არ არის ინფორმაცია
უკრაინა	რეგიონული დონე – ბლოკი სოლიდარობა: 9%; პარტია „მამული“: 13%; სამოპომიჩი (თვითდახმარება): 29%.

პარტიული პოლიტიკა ქალთა საკითხებზე

ქალები უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებულნი პოლიტიკაში მონაწილეობით, თუკი ჩათვლიან, რომ მათი პრობლემები და საკითხები მნიშვნელოვანია და მუშაობენ მათ გადაჭრაზე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი წარმოდგენილია პარტიის მანიფესტებსა თუ პროგრამებში, მათ არ აქვთ რეზონანსი ამომრჩეველთან მიმართებისას.

ცხრილი 20: ბოლო არჩევნების პარტიული პოლიტიკა ქალებთან მიმართებით

იყო თუ არა წარმოდგენილი პარტიის ბოლო საარჩევნო მანიფესტში პოლიტიკა შემდეგ საკითხებზე?						
	სომხეთი	აზერბაიჯანი	ბელარუსი	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა
ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ	არა	დიახ	არა	არა	დიახ	არა
ქალთა წარმომადგენლობა	არა	დიახ	არა	არა	დიახ	არა

ანტიდისკრიმინაცია	არა	დიახ (5-დან 3)	არა	არა	არა	არა
სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები	არა	დიახ (5-დან 2)	არა	არა	არა	არა
სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი	არა	არა	არა	არა	დიახ	არა
ქალების მონაწილეობა შრომის ბაზარზე	არა	დიახ (5-დან 3)	არა	დიახ, მაგრამ არა კონკრეტულად ქალებისათვის	დიახ	არა
ქალების ჯანმრთელობა	არა	დიახ (5-დან 4)	არა	არა	დიახ	არა
წვდომა განათლებამდე	არა	დიახ	არა	დიახ, მაგრამ არა კონკრეტულად ქალებისათვის	დიახ	არა

მკვლევარებმა შემდეგი კომენტარები გააკეთეს შემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით:

სომხეთში ბოლო არჩევნებში მონაწილე არც ერთი პარტია კონკრეტულად არ შეხებია ამ თემებს. ყველა მათგანი ზოგადად საუბრობდა განათლებასა და ჯანდაცვაზე და ზოგჯერ ქალებთან დაკავშირებულ ასპექტებსაც ახსენებდნენ; არც ერთი პარტია რომელიმე ამ საკითხზე კონკრეტულად არ შეჩერებულა - ისინი (მათ შორის, პარტიაში მყოფი ქალებიც) არაფერს აკეთებდნენ ქალთა უფლებების ხელშესაწყობად და დასაცავად რომელიმე საქმიანობის ან ადვოკატირების კუთხით;

მოლდოვაში საარჩევნო მანიფესტები არ აღიქმება სერიოზულად - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ცდილობენ, შეისწავლონ წინასაარჩევნო დაპირებები. საარჩევნო მანიფესტები ზოგადი და არარეალისტურია, სახსვს ისეთი დაპირებებით, როგორცაა ხელფასების ზრდა, მშპ-ს 16%-ის განათლებამდე მოხმარება, პენსიების მომატება და ა.შ. არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი დაპირებები გენდერული თანასწორობის მხრივ.

ქალი კანდიდატების ან ქალებთან დაკავშირებული პოლიტიკის გაშუქება მედიის მიერ

საარჩევნო კამპანიებისას ქალებს მედიაში არ უთმობენ დიდ დროს. ქალ კანდიდატთა ცნობადობისა და პოლიტიკური პარტიების სახელით მოსაუბრე ქალთა ნაკლებობა მიგვანიშნებს, რომ ქალი პოლიტიკაში კვლავ გამონაკლისია, და არა წესი.

მკვლევარებმა შეისწავლეს, საუბრობდნენ თუ არა მედიაში ქალები პოლიტიკური პარტიების სახელით ბოლო არჩევნების განმავლობაში.

სომხეთი

დიახ, პარტიის ქალი დეპუტატებისათვის ხელმისაწვდომი იყო მედია, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათ საზოგადოებისთვის რთული გზავნილები ჰქონდათ, ხოლო პარტიის ლიდერი მამაკაცები მედიაში უმეტესწილად დადებითი გზავნილების გასაცნობად ჩნდებოდნენ.

აზერბაიჯანი

არა. ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას უფასო საეთერო დრო არ იყო გამოყოფილი კანდიდატებისათვის და მხოლოდ რამდენიმე ინტერვიუ გამოქვეყნდა (ძირითადად, საკუთარი ინიციატივით).

ქალ რესპონდენტებს არ მოსწონდათ ოჯახურ გარემოებებზე გამახვილებული ყურადღება. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა:

„ჩემი ოჯახური მდგომარეობისადმი ინტერესი მაღალი გახლდათ; მამაკაცების შემთხვევაში ასე არ იყო.“

ქალები მიიჩნევდნენ, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობის შემთხვევაში, მედიასთან ურთიერთობისას ისინი არასახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„მედიას მხოლოდ ოლიგარქებთან სურდა საუბარი.“

თუმცა, ზოგი რესპონდენტი თვლიდა, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მედიასთან. ეს განსაკუთრებით იმ ქალებს ეხებოდათ, რომელთაც ჰქონდათ კანდიდატობის წარსული გამოცდილება, ასევე, კონტაქტების დამყარების დრო და შესაძლებლობა.

ბელარუსი

დიახ (დეტალები არ არის მოწოდებული).

საქართველო

დიახ. გამონაკლისი არ იყო შემთხვევები, როცა ქალები პარტიის სახელით საუბრობდნენ მედიასთან, თუმცა, არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც ამას გააანალიზებდა.

მოლდოვა

დიახ. სივრცეში შეყვანილ ქალ კანდიდატთა 30.5%-იდან ტელედებატებში 12.4% მონაწილეობდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული 71 დებატიდან ქალი კანდიდატი მხოლოდ 16-ში იყო ჩართული.

უკრაინა

დიახ, მამაკაცები და ქალები საუბრობენ თავიანთი პარტიების სახელით გარკვეულ შემთხვევებში.

ქალი კანდიდატებისა და არჩეული ქალების პროფილი

კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია ქალი კანდიდატებისა და წარმატებით არჩეული ქალების პროფილზე. ეს მოიცავდა მათ სტაჟს პოლიტიკაში (ეკავათ თუ არა თანამდებობა ადრე), დეკლარირებულ შემოსავალს, ასაკს, ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილებას, განათლებასა და პროფესიას. ინფორმაცია არ იყო ღიად ხელმისაწვდომი და კვლევისათვის განსაზღვრულ ვადებში მისი მოპოვება სირთულეებს უკავშირდებოდა.

არსებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ არჩეულ ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობას უმაღლესი განათლება აქვს: სომხეთში, აზერბაიჯანსა და ბელარუსში ეს არის 100 %; ხოლო უკრაინაში - მამაკაცების 97% და ქალების 98%.

ცხრილი 21: კანდიდატები (საკანონმდებლო ხელისუფლება)

	მოლდოვა			უკრაინა			საქართველო		
	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ
სულ	1885	1310	575	6339	5099	1240	2742	1954	788
პარტია	1881	1306	575	4403	4450	953	2 313	1 584	729
დამოუკიდებელი კანდიდატი	4	4	0	1936	1649	287	429	370	59

	სომხეთი			აზერბაიჯანი		
	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ
სულ	1164	950	214	767	626	141
პარტია	1164	950	214	-	-	-
დამოუკიდებელი კანდიდატი	-	-	-	-	-	-

ბელარუსიდან ინფორმაცია მოწოდებული არ არის.

ცხრილი 22: არჩეული (საკანონმდებლო ხელისუფლება)

	მოლდოვა			უკრაინა			საქართველო			სომხეთი		
	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ
სულ	101	80	21	422	371	51	150	132	18	131	117	14
პარტია	101	80	21	327	276	51	77	66	11	-	-	-
დამოუკიდებელი კანდიდატი	-	-	-	95	95	-	73	66	7	-	-	-

	აზერბაიჯანი			ბელარუსი		
	სულ	მ	ქ	სულ	მ	ქ
სულ	125	104	21	110	80	30
პარტია	83	70	13	5	3	2
დამოუკიდებელი კანდიდატი	42	34	8	105	77	28

ცხრილი 23: ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი (საკანონმდებლო ხელისუფლება)

ქვეყანა	კანდიდატი (%)		არჩეული (%)	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
სომხეთი	82	18	90	10
აზერბაიჯანი	82	18	84	16
ბელარუსი	არ არის ინფორმაცია	არ არის ინფორმაცია	73	27
საქართველო	72	28	88	12
მოლდოვა	70	30	80	20
უკრაინა	81	19	88	12

სომხეთში არჩეული ქალების ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელია, ხოლო ბელარუსში - ყველაზე მაღალი. ქალ კანდიდატთა უმაღლესი პროცენტული მაჩვენებელი კი მოლდოვაში ფიქსირდება.

ცხრილი 24: კომისიების/კომიტეტების ხელმძღვანელები და მოადგილეები

	მოლდოვა		უკრაინა		საქართველო		ბელარუსი	
	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ	ქ	მ
ხელმძღვანელები	3	6	7	21	1	14	2	11
მოადგილეები	1	13	2	1	7	37	13**	23*

* 13 კომისიაში.

** 7 კომისიაში.

ინფორმაცია საკანონმდებლო ორგანოში ქალთა და მამაკაცთა მიერ დაკავებული თანამდებობების შესახებ აჩვენებს, რომ ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი საპარლამენტო კომიტეტთა ხელმძღვანელებისა და მოადგილეების პოზიციებზე. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია, რომელი კომიტეტის/კომისიის თანამდებობები უკავიათ ქალებს და მოიცავს თუ არა ეს ისეთ ძირითად პასუხისმგებლობებს, როგორცაა სამართლებრივი საკითხები, ეკონომიკური პოლიტიკა ან თავდაცვა.

ფინანსები

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარებმა და რესპონდენტებმა სტერეოტიპული შეხედულებები და წარმოდგენები პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის უდიდეს ბარიერად დაასახელეს, ამ მხრივ ასევე დიდი პრობლემაა ფინანსები და მათი ნაკლებობა.

წინასაარჩევნო კამპანიას ფინანსები სჭირდება და მაშინაც კი, როცა კანდიდატები იყრიდნენ კენჭს, როგორც პოლიტიკური პარტიის წევრები, მათ მიერ მიღებული დაფინანსება არ კმაროდა კამპანიის ხარჯების დასაფარად. დამოუკიდებელ კანდიდატთათვის, კამპანიის ხარჯებთან ერთად, ძალზე მაღალია კანდიდატურის წარდგენასთან დაკავშირებით დაწესებული დეპოზიტის მოცულობა.

ერთმა მკვლევარმა აღნიშნა, რომ ქალები ფულს თავიანთი ოჯახებისთვის შოულობენ და არა საკუთარ თავზე დასახარჯად, პოლიტიკური კამპანია კი სახსრების საკუთარი ინტერესებისათვის გაღებად მოიაზრება.

გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა მუშაობს განათლების სფეროში - როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე - ასევე, მედიცინაში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტიკაში. ჩამოთვლილი სექტორები არ არის მაღალანაზღაურებადი და ქალებს არ აქვთ დანაზოგი, რომელსაც კამპანიის დაფინანსებისთვის გამოიყენებდნენ.

ერთმა ყოფილმა დეპუტატმა აღნიშნა, რომ მას ყველაფრისთვის უნევდა ფინანსების მოპოვება და

„პარტიის წევრები ქედმაღლურად უყურებდნენ, რადგან ფინანსური მხარდაჭერის თხოვნა ესაჭიროებდა.“

ქალებმა ფინანსური მხარდაჭერის ნაკლებობა იმ ძირითად მიზეზად დაასახელეს, რის გამოც ხელახლა აღარ იყრიდნენ კენჭს. მათი აზრით, რაკი კამპანიის დაფინანსებას ვერ შეძლებდნენ, გამსვლელ ადგილებსა ან პოზიციებზე არ შეარჩევდნენ პარტიულ სიებში.

შემაჯამებელი დასკვნები

- ▶ შესწავლილი პოლიტიკური პარტიებიდან მხოლოდ სამის ლიდერია ქალი, შვიდში კი ხელმძღვანელის მოადგილის პოსტი უკავია. ქალების პროცენტული მაჩვენებელი პარტიის უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებში მერყეობს 40%-დან (აზერბაიჯანის ერთი პარტია) 5-10%-მდე (სომხეთი). შესაბამისად, პარტიაში ცოტა ქალს ერგება მნიშვნელოვნად გაშუქება მედიის მხრიდან და მონაწილეობა პოლიტიკის განსაზღვრაში.
- ▶ არსებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ პარტიათა უმრავლესობაში არსებობს ქალთა ჯგუფები, თუმცა მათ არ გააჩნიათ მაღალი სტატუსი ან გავლენა პოლიტიკაზე.
- ▶ კვლევის ფარგლებში შესწავლილი პოლიტიკური პარტიები არ ატარებენ ქალთა რაოდენობის გაზრდაზე მიმართულ ზომებს.
- ▶ აზერბაიჯანსა და მოლდოვაში ზოგ პარტიას აქვს პოლიტიკა ქალთა საკითხების შესახებ; სხვა გამოკითხულ ქვეყნებში მათ არ გააჩნიათ კონკრეტული პოლიტიკა ისეთ პრობლემასთან მიმართებით, როგორცაა, მაგალითად, ძალადობა ქალების მიმართ.
- ▶ ქალები არ საუბრობდნენ პოლიტიკური პარტიის სახელით მედიაში.
- ▶ რამდენიმე პარტიამ დაანესა ნებაყოფლობითი 30%-იანი კვოტა ქალ კანდიდატათვის, თუმცა, რაკი ეს მხოლოდ მცირე პარტიებმა გააკეთეს, მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა ქალების მიერ დაკავებულ მანდატთა რაოდენობაზე. კვოტები არ მოქმედებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დონეზე.
- ▶ საქართველოში იმ პოლიტიკური პარტიებისთვის გამოყოფილმა ფინანსურმა დანამატმა, რომლებმაც ნებაყოფლობით დაანესეს 30%-იანი კვოტა, არ გამოიწვია არჩეულ ქალთა რაოდენობის ზრდა,

რადგან კვოტები მხოლოდ მცირე პარტიებმა შემოიღეს, რომელთაც არჩევნებში ნარმატების ნაკლები შანსი აქვთ.

- ▶ პარტიის კანდიდატთა შერჩევის ნათელი და გამჭვირვალე მექანიზმები შეამცირებს იმის საჭიროებას, რომ ქალებმა ჯერ თვითონ პარტიის შიგნით მოიპოვონ ცნობადობა კანდიდატებად დასახელებისათვის.
- ▶ ქალ კანდიდატებს და არჩეულ ქალებს უფრო მაღალი დონის განათლება აქვთ.
- ▶ ყველა საკვლევ ქვეყანაში საკანონმდებლო დონეზე არჩეულ ქალთა დაბალი მაჩვენებლებია.
- ▶ ინფორმაცია კანდიდატთა ასაკის, დეკლარირებული შემოსავლის, პროფესიისა და ეთნიკური კუთვნილების შესახებ არ იყო ხელმისაწვდომი.
- ▶ არჩევის შემთხვევაში ნაკლებ სავარაუდოა, ქალები დაინიშნონ კომისიებისა თუ კომიტეტების ხელმძღვანელ პოზიციებზე; უკრაინაში 12-დან 7 ქალს ეკავა ასეთი თანამდებობა, საქართველოში 4-დან 1-ს, ბელარუსში 11-დან 2-ს; არ მოიპოვეს ინფორმაცია იმ კომიტეტების/კომისიების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ.
- ▶ სახსრების ნაკლებობა კანდიდატურის შერჩევისა და კამპანიის დასაფინანსებლად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მნიშვნელოვანი ბარიერია.



ბ) სამართლებრივი ჩარჩო

საერთაშორისო ვალდებულებები

თითოეული საკვლევი ქვეყანა შეუერთდა გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CE-DAW), ან მისი რატიფიცირება მოახდინა⁴⁶. ამით მათ იკისრეს ვალდებულება მე-2 მუხლის თანახმად - დაიცვან ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპი ეროვნულ კონსტიტუციებში და ის პრაქტიკაში განახორციელონ კანონებითა და სხვა საშუალებებით. ხელმომწერ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ გაეროს კომიტეტთან რეგულარული ანგარიშგება ქალთა თანასწორობის საქმეში მიღწეული პროგრესის შესახებ. ეს ანგარიშები სასარგებლო ინსტრუმენტი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, გამოკვეთონ და წინ წამოწიონ პროგრესის ნაკლებობა იმ ქმედებებში, რომლებიც გადაიდგმება არჩეულ ქალ წარმომადგენლთა რაოდენობის გაზრდისკენ და თვალი მიადევნონ წინსვლას კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შესრულების მხრივ.

ცხრილი 25: გაეროს CEDAW-ს კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები⁴⁷

ქვეყანა	რატიფიცირება/შეერთება
სომხეთი	1993 წლის 13 სექტემბერი
აზერბაიჯანი	1995 წლის 10 ივლისი
ბელარუსი	1981 წლის 4 თებერვალი
საქართველო	1994 წლის 26 ოქტომბერი
მოლდოვა	1994 წლის 1 ივლისი
უკრაინა	1981 წლის 12 მარტი

ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ხუთი ევროპის საბჭოს წევრია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების (ECHR)⁴⁸ ხელმომწერი. მე-14 მუხლი კრძალავს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას კონვენციით დაცული ყველა უფლების მიმართ. 1-ლი ოქმის მე-3 მუხლი ადგენს თავისუფალი არჩევნების უფლებას. მე-12 ოქმით უზრუნველყოფილია კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესისა, და დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია. ამ ქვეყნებს შორის გამონაკლისია ბელარუსი.

ყველა ქვეყანა შეუერთდა გაეროს საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ⁴⁹, ან მისი რატიფიცირება მოახდინა. პაქტი ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ უზრუნველყონ ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობა და პაქტით განსაზღვრული

46. <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/>

47. http://tbinternet.ohchr.org/_layouts/TreatyBodyExternal/Treaty.aspx?Treaty=CEDAW&Lang=en

48. www.echr.coe.int/pages/home.aspx?p=basictexts.

49. www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx.

ყველა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით სარგებლობა, რაც გულისხმობს:

- ▶ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებასა და შესაძლებლობას;
- ▶ ხმის მიცემისა და არჩევის უფლებასა და შესაძლებლობას.

ეს ნიშნავს, რომ არსებობს საერთაშორისო სტანდარტთა მყარი სამართლებრივი საფუძველი, რათა ყველა სახელმწიფომ უზრუნველყოს თანასწორი უფლებები ქალებისათვის - ხმის მიცემის, კანდიდატობისა და არჩევის მხრივ.

ეროვნული კანონმდებლობა

თითოეულ სახელმწიფოს აქვს ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორ უფლებებს ქალებისა და მამაკაცებისათვის.

1. თანასწორი უფლებები ქალებისათვის

ცხრილი 26: სამართლებრივი ჩარჩო ქალებისთვის თანასწორი უფლებების უზრუნველსაყოფად

ქვეყანა	კანონი
სომხეთი	კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების შესახებ 2013
აზერბაიჯანი	კონსტიტუცია, 25-ე მუხლი: „მამაკაცები და ქალები უნდა სარგებლობდნენ თანასწორი უფლებებითა და თავისუფლებებით, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რელიგიისა, სქესისა, წარმოშობისა, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობისა, აღმსარებლობისა, პოლიტიკური პარტიისადმი, პროფესიული ორგანიზაციისა და სოციალური გაერთიანებისადმი კუთვნილებისა.“ კანონი (ქალებისა და მამაკაცებისათვის) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის შესახებ.
ბელარუსი	კონსტიტუციის 22-ე მუხლი აცხადებს, რომ ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე და დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების თანაბარი დაცვით. ძირითადი კანონი არ შეიცავს: დებულებებს, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე; ან კონკრეტულ დებულებებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ.
საქართველო	2010 წელს გენდერული თანასწორობის შესახებ მიღებული კანონის მე-3 მუხლი (განმარტება), გენდერული თანასწორობა: „ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;“

მოლდოვა	კანონი ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის შესახებ.
უკრაინა	კონსტიტუციის 24-ე მუხლი: მოქალაქეები სარგებლობენ თანასწორი კონსტიტუციური უფლებებითა და თავისუფლებებით და კანონის წინაშე თანასწორნი არიან. დაუშვებელია რამე პრივილეგიები და შეზღუდვები რასის, კანის ფერის, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა შეხედულებების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ენობრივი ან სხვა მახასიათებლების საფუძველზე.

2. კანონმდებლობა არჩევნებში თანასწორი უფლებების უზრუნველსაყოფად

ზოგ სახელმწიფოს აქვს კონკრეტული გარანტიები არჩევნებში თანასწორობის უზრუნველსაყოფად

ცხრილი 27: თანასწორი უფლებები არჩევნებში

ქვეყანა	გარანტიები საარჩევნო კანონში
სომხეთი	საარჩევნო კოდექსი, მე-3 მუხლი: თანასწორი ხმის უფლება: 1. ამომრჩევლები არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ; 2. სახელმწიფომ უნდა შექმნას თანასწორი პირობები ამომრჩეველთა მიერ საარჩევნო უფლებით სარგებლობისათვის. ამომრჩეველს, მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, რასის, სქესის, ენის, რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და სხვა მდგომარეობისა, აქვს ხმის მიცემისა და კენჭისყრის უფლება.
აზერბაიჯანი	არ არის დამოუკიდებელი კანონმდებლობა
ბელარუსი	არ არის დამოუკიდებელი კანონმდებლობა
საქართველო	კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მუხლი 11: 1. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე. 2. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევნის უფლების რეალიზაციისას უნდა უზრუნველყონ ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა. 3. ქალები და მამაკაცები შეიძლება აირჩინნ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.
მოლდოვა	არ არის ცალკე კანონმდებლობა

უკრაინა	კანონი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, მე-3 მუხლი: თანასწორი ხმის უფლება; კანონი საპარლამენტო არჩევნების შესახებ, მე-3 მუხლი: თანასწორი ხმის უფლება; კანონი ადგილობრივი არჩევნების შესახებ, მე-4 მუხლი: თანასწორი ხმის უფლება. უკრაინის მოქალაქეები არჩევნებში თანასწორობის საფუძველზე მონაწილეობენ. ყველა კანდიდატსა და პარტიას საარჩევნო პროცესში მონაწილეობის თანასწორი უფლებები და შესაძლებლობები აქვს, რაც უზრუნველყოფილია: (i) პრივილეგიების ან შეზღუდვების აკრძალვით რასის, კანის ფერის, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა რწმენის, სქესის, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, მატერიალური მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ენის ან სხვა საფუძველზე; (ii) სახელმწიფო ორგანოებისა და თვითმმართველი ორგანოების მიერ საარჩევნო პროცესში ჩარევის აკრძალვით, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა; (iii) სახელმწიფო და თვითმმართველი ორგანოების მხრიდან კანდიდატებისა და პარტიების მიმართ თანასწორი და მიუკერძოებელი მოპყრობით; (iv) კანდიდატების/პარტიების მიერ, შესაბამისი საარჩევნო სახსრების გარდა, სხვა რესურსების გამოყენების აკრძალვით; (v) მედიის მხრიდან კანდიდატების/პარტიების მიმართ თანასწორი და მიუკერძოებელი მოპყრობით.
---------	--

3. სამართლებრივი ჩარჩოში არსებული დებულებები, რომლებიც ქალებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს

კონსულტანტებს დაევალებათ იმ დებულებების გამოვლენა, რომლებიც ქალებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს.

ცხრილი 28: დებულებები, რომლებიც ქალებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს

ქვეყანა	დ/ა	დეტალები
სომხეთი	არა	-
აზერბაიჯანი	არა	ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებული არასახარბიელო მდგომარეობის განმაპირობებელი დებულებები კანონმდებლობაში არ არის წარმოდგენილი. თუმცა არსებობს რამდენიმე დებულება სხვადასხვა საკითხის შესახებ, როგორცაა იძულებით გადაადგილებულ ქალთა სტატუსი, რომელიც არასახარბიელოა ქალებისათვის.

ბელარუსი	ლიახ	არსებობს ცალკეული დოკუმენტები, მაგალითად, დირექტივა „ცვლილებათა შეტანაზე მძიმე ფიზიკური სამუშაოებისა და მავნე ან/და სახიფათო პირობების მქონე სამსახურთა სიაში, სადაც ქალები შეიძლება არ დასაქმდნენ“. ეს დოკუმენტი მოიცავს ქალებისათვის აკრძალულ 181 საქმიანობას, რომლებიც დაკავშირებულია ქიმიურ, სამთო, ტყავის მწარმოებელ და მძიმე მრეწველობებთან. ბოლო რედაქცია 2014 წლის 12 ივნისი.
საქართველო	არა	არაპირდაპირ. ქართული კანონები გენდერულად ნეიტრალურია, რაც ხშირად ქალებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს, რადგან მათ სჭირდებათ კონკრეტული უფლებები.
მოლდოვა	არა	არაპირდაპირ. თუმცა არსებობს მრავალი დებულება, რომლებიც ირიბად არასახარბიელო მდგომარეობას უქმნის ქალებს: მაგალითად, კამპანიის დაფინანსების შესახებ, რომელიც არ ზღუდავს ფინანსური შენატანების ოდენობას და, შესაბამისად, ქალები, რომლებსაც ნაკლებად აქვთ ფინანსებზე წვდომა, არასახარბიელო მდგომარეობაში არიან.
უკრაინა	არა	-

რამდენიმე კონსულტანტმა გამოავლინა, რომ გენდერულად ნეიტრალური კანონები არ იცავს ქალებს საკუთარი უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით და გარკვეულ ღონისძიებებს - მაგალითად, როგორცაა საარჩევნო კამპანიის დაფინანსება - შეიძლება ქალთა ირიბი დისკრიმინაციის ეფექტი ჰქონდეს.

საარჩევნო სისტემა

1. საკანონმდებლო დონე

ბოლო არჩევნები და საარჩევნო სისტემების ტიპები ნაჩვენებია ქვემოთ, ცხრილში.

ცხრილი 29: საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევნები

ქვეყანა	არჩევნების თარიღი
სომხეთი	6 მაისი, 2012
აზერბაიჯანი	1 ნოემბერი, 2015
ბელარუსი	23 სექტემბერი, 2012
საქართველო	1 ოქტომბერი, 2012
მოლდოვა	30 ოქტომბერი 2014
უკრაინა	26 ოქტომბერი 2014

ცხრილი 30: თითოეული ქვეყნის საარჩევნო სისტემა

ქვეყანა	საარჩევნო სისტემა
სომხეთი	ნახევრადპროპორციული;
აზერბაიჯანი	პლურალური მაჟორიტარული სისტემა: უბრალო უმრავლესობა;
ბელარუსი	პლურალური მაჟორიტარული სისტემა: უბრალო უმრავლესობა;
საქართველო	ნახევრადპროპორციული;
მოლდოვა	პროპორციული წარმომადგენლობა;
უკრაინა	შერეული პარალელური პროპორციულ-მაჟორიტარული.

2. კანდიდატობასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ყველა საკვლევი ქვეყნისათვის კანდიდატობასთან დაკავშირებული მოთხოვნები მოცემულია საარჩევნო კოდექსში ან/და კონსტიტუციაში.

- ▶ ასაკი: საკანონმდებლო ხელისუფლების კანდიდატთა ასაკი იცვლება 18 წლიდან (მოლდოვა) 25 წლამდე (აზერბაიჯანი).
- ▶ მოქალაქეობა: ყველა ქვეყანაში კანდიდატი უნდა იყოს ქვეყნის მოქალაქე; რამდენიმე სახელმწიფო მოითხოვს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ცხოვრებას.
- ▶ სხვა შეზღუდვები: პირს, რომელიც კენჭს იყრის, არ უნდა ჰქონდეს ნასამართლეობა ან სამართლებრივი შეზღუდვები.
- ▶ პოლიტიკური ნომინაცია: კანდიდატმა პოლიტიკური პარტიის (ან პარტიათა პოლიტიკური ბლოკის) გადანაცვტილება მისი წარდგენის შესახებ უნდა წარმოადგინოს სომხეთში, მოლდოვაში, საქართველოსა (მაჟორიტარული არჩევნების შემთხვევაში) და ბელარუსში.
- ▶ დამოუკიდებელი კანდიდატები: ოთხ ქვეყანაში (მოლდოვა, საქართველო, ბელარუსი და აზერბაიჯანი) კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ამომრჩეველთა/მხარდამჭერთა ხელმოწერები. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობით ხელმოწერა მოითხოვება: მაგალითად, საქართველოში - 5, ხოლო ბელარუსში - 1400.
- ▶ სამი ქვეყნის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური დეკლარაცია: დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის/ერთმანდატიან ოლქში კანდიდატთა წარმდგენი პარტიებისთვის - მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობა; პარტიებისათვის, რომლებიც კანდიდატებს საერთო ეროვნული მასშტაბით წარადგენენ, მინიმალური ხელფასის ათასმაგი ოდენობა უკრაინაში, რვაათასმაგი ოდენობა სომხეთში და 5000 ლარი⁵⁰ საქართველოში. თუ კანდიდატს პოლიტიკური პარტია ან ბლოკი წარადგენს, შენატანს იხდის პარტია.

50. დაახლოებით, 2 093 ევრო.



ცხრილი 31: კანდიდატობის ძირითადი მოთხოვნები – საკანონმდებლო ხელისუფლება

ღერძე	ნარდგენა	საკუთარი თავის წარდგენა		ინფორმაცია კანდიდატის შესახებ		ფინანსური შენატანი
		პოლიტიკური პარტია	წარდგენა	სხვა	ასაკი	
სამეცლე	<ul style="list-style-type: none"> - პარტიის წესდება; - მუდმივმოქმედი ორგანოს გადაწყვეტილება; - საარჩევნო სია; - კანდიდატის წერილობითი თანხმობა; - ფინანსური შენატანის ქვითარი; - მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; - პირადი დოკუმენტების ასლები. 			პოლიტიკური პარტიების ალიანსი	არა	<p>მინიმალური ხელფასის რეაგირება ოდენობა პროპორციული არჩევნებისთვის;</p> <p>მინიმალური ხელფასის ოდენობა მაჟორიტარული არჩევნებისათვის.</p>
სეცილიცე		- მინიმუმ 450 ხელმოწერა; - ინფორმაცია წინა წლის შემოსავლებზე; - ინფორმაცია ქონების შესახებ.		წარადგენენ ამომრჩევლები ან პარტიათა ბლოკი	25+	უცნობია

ივნი	ნარდგენა	საკუთარი თავის წარდგენა	ინფორმაცია კანდიდატის შესახებ	ფინანსური შენატანი
ივნი	პოლიტიკური პარტია	საკუთარი თავის წარდგენა	სხვა	შემოსავალი/ საკუთრება/ ფინანსური ვალდებულებები
ივნი	იგივე, რაც დამოუკიდებელი კანდიდატის შემთხვევაში და დამატებით: - უზენაესი ორგანოს ოქმი წარდგენის შესახებ; - პარტიის რეგისტრაციის სერტიფიკატი, რომელიც პარტიის წესდება; - სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ კანდიდატი პარტიის წევრია.	- განცხადება და თანხმობა; - მონაცემები პირის შესახებ; - შემოსავლებისა და ქონების დეკლარაცია; - საჯაროებისაზე, თანხმობა თანამდებობის დატოვების ან უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.	წარმომადგენელთა პალატისათვის ამომრჩეველთა ჯგუფი, შემდგარი არანაკლებ 10 პირისაგან; დეკლარაცია საბჭოებისთვის - 3-10 პირისაგან შემდგარი ჯგუფი.	არა
ივნი	განცხადება; - მხარდამჭერი ამომრჩეველების ხელმოწერები; - პირადობის მოწმობის ასლი; - 2 ფოტოსურათი.	- უზენაესი ან ტერიტორიული ორგანოს ოქმი წარდგენის შესახებ; - კანდიდატთა სია; - ბიოგრაფიული მონაცემები; - კანდიდატის თანხმობა წარდგენაზე.	საარჩევნო ბლოკი; 5 წევრისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი.	5 000 ლარი*
ივნი	- უზენაესი ან ტერიტორიული ორგანოს ოქმი წარდგენის შესახებ; - კანდიდატთა სია; - ბიოგრაფიული მონაცემები; - კანდიდატის თანხმობა წარდგენაზე.	- უზენაესი მთავრობის რაოდენობის ხელმოწერებით	18+	- დეკლარაცია: უძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, მემკვიდრეობისა და შემოსავლების შესახებ; - სამართლებრივი შედეგების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ივნი	ნარდგენა	საკუთარი თავის წარდგენა	ინფორმაცია კანდიდატის შესახებ	ფინანსური შენატანი
ივნი	პოლიტიკური პარტია	საკუთარი თავის წარდგენა	სხვა	შემოსავალი/ საკუთრება/ ფინანსური ვალდებულებები
ივნი	იგივე, რაც დამოუკიდებელი კანდიდატის შემთხვევაში და დამატებით: - უზენაესი ორგანოს ოქმი წარდგენის შესახებ; - პარტიის რეგისტრაციის სერტიფიკატი, რომელიც პარტიის წესდება; - სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ კანდიდატი პარტიის წევრია.	- განცხადება და თანხმობა; - მონაცემები პირის შესახებ; - შემოსავლებისა და ქონების დეკლარაცია; - საჯაროებისაზე, თანხმობა თანამდებობის დატოვების ან უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.	წარმომადგენელთა პალატისათვის ამომრჩეველთა ჯგუფი, შემდგარი არანაკლებ 10 პირისაგან; დეკლარაცია საბჭოებისთვის - 3-10 პირისაგან შემდგარი ჯგუფი.	არა
ივნი	განცხადება; - მხარდამჭერი ამომრჩეველების ხელმოწერები; - პირადობის მოწმობის ასლი; - 2 ფოტოსურათი.	- უზენაესი მთავრობის რაოდენობის ხელმოწერებით	საარჩევნო ბლოკი; 5 წევრისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი.	5 000 ლარი*
ივნი	- უზენაესი ან ტერიტორიული ორგანოს ოქმი წარდგენის შესახებ; - კანდიდატთა სია; - ბიოგრაფიული მონაცემები; - კანდიდატის თანხმობა წარდგენაზე.	- უზენაესი მთავრობის რაოდენობის ხელმოწერებით	18+	- დეკლარაცია: უძრავი ქონების, საბანკო ანგარიშების, მემკვიდრეობისა და შემოსავლების შესახებ; - სამართლებრივი შედეგების არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი კანდიდატის სახით ხელმოწერების შეგროვება ამომრჩეველთა გაცნობისა და ფართო საზოგადოებისათვის კანდიდატებად წარდგენის კარგი საშუალება იყო. ერთი რესპონდენტის აზრით:

„ეს ადამიანებთან საუბრის ნაყოფიერი გზა გახლდათ“.

თუმცა, მოთხოვნილი მნიშვნელოვანი ფინანსური შენატანები ართულებდა დამოუკიდებელ ქალ კანდიდატთა მონაწილეობას არჩევნებში.

წარდგენილი და არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები

დამოუკიდებელ კანდიდატთა რაოდენობა მცირეა, ამ მხრივ გამონაკლისია უკრაინის ბოლო, 2014 წლის არჩევნები.

ცხრილი 32: წარდგენილი და არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები

ქვეყანა	წარდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატები		არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
სომხეთი				
აზერბაიჯანი			34	8
ბელარუსი			77	28
საქართველო	370	59	66	7
მოლდოვა	4	4		
უკრაინა	1 649	287	95	

ვაკანტური ადგილები

ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას იმ საარჩევნო სისტემაში, რომელიც პარტიულ სიებს ითვალისწინებს. ამ სიებში ვაკანტურ ადგილს იკავებს რიგით მომდევნო პირი. ზოგჯერ ამით ბოროტად სარგებლობენ, რათა გვერდი აუარონ ქალ კანდიდატთა კვოტირების წესს. სწორედ ამგვარი ვითარებაა სომხეთში. კანონი არ მოითხოვს ვაკანტური ადგილის დაკავებას მეორე ქალი კანდიდატის მიერ. როგორც სომეხმა მკვლევარებმა განმარტეს, ამან ჩამოაყალიბა პრაქტიკა, როდესაც არჩევნების შემდეგ ქალები ხსნიან კანდიდატურას (გაურკვეველია, ეს წინასწარი შეთანხმებით ხდება თუ არა) და მათ ანაცვლებენ მამაკაცები.

სომხეთის, მოლდოვის, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევაში, რომლებსაც პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემები აქვთ, ვაკანტურ ადგილს იკავებს სიაში რიგით მომდევნო პირი. მაჟორიტარული/უბრალო უმრავლესობის პრინციპის მქონე არჩევნებისას ტარდება ახალი არჩევნები.

კვოტები

1. სამართლებრივი მოთხოვნა

სომხეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ეროვნული კრების არჩევნებში სავალდებულო კვოტა დაანესა ქალებისათვის.

საარჩევნო კოდექსის 108-ე მუხლის 1-ლი ნაწილი - კანდიდატთა წარდგენა ეროვნული კრების დეპუტატებად პროპორციული საარჩევნო სისტემით - შემდეგ მოთხოვნას ადგენს:

თითოეულ პოლიტიკურ პარტიას და პოლიტიკურ პარტიათა ბლოკს შეუძლია კანდიდატთა მხოლოდ ერთი საარჩევნო სიის წარდგენა. პარტიას ამგვარი ბლოკიდან არ აქვს უფლება, ცალკე საარჩევნო სია წარადგინოს საკუთარი სახელით. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ეროვნული კრების არჩევნებისას, საარჩევნო სიაში, რომელსაც წარადგენს პოლიტიკური პარტია, ან პოლიტიკურ პარტიათა ბლოკი და მასში განწვერიანებული პარტიები, თითოეული სქესის პირთა რაოდენობა 80%-ს არ უნდა აღემატებოდეს ნებისმიერი ხუთი კანდიდატისგან შემდგარ ჯგუფში, დაწყებული საარჩევნო სიის მეორე ნომრიდან (2-6, 2-11, 2-16, და ა.შ. სიის ბოლომდე).

პრაქტიკაში ეს გულისხმობს, რომ ყოველი ხუთი კანდიდატიდან პარტიულ სიაში ერთი მაინც უნდა იყოს ქალი.

თუმცა კანონი არ აზუსტებს, რომ ქალის მიერ კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში მისი ადგილი უნდა დაიკავოს მეორე ქალმა. ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომ ქალები პარტიული სიის წარდგენის შემდეგ ხსნიან კანდიდატურას და მათ ანაცვლებენ მამაკაცები.

2. პოზიტიური ღონისძიებები

საქართველოში კანონი საშუალებას იძლევა, გატარდეს არჩეულ ქალთა რაოდენობის გაზრდისკენ მიმართული პოზიტიური ღონისძიებები. 2011 წელს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მთავრობას შესთავაზა ცვლილებები საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში, რომლითაც შემოღებულია ნებაყოფლობითი კვოტა. დაწესდა დამატებით 10%-იანი საბიუჯეტო დაფინანსება იმ პარტიებისათვის, რომლებსაც ორივე სქესის, სულ ცოტა, ორი წარმომადგენელი მაინც ეყოლებოდათ საარჩევნო პარტიული სიის ყოველ 10 ადგილზე⁵¹.

თუმცა, ეს წარუმატებელი აღმოჩნდა ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა რაოდენობის გაზრდის მხრივ, რადგან 16 საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ ექვსმა შემოიღო ნებაყოფლობითი კვოტა საარჩევნო სიებში, მაგრამ ამ ექვსი პოლიტიკური სუბიექტიდან ვერც ერთმა ვერ გადალახა 5%-იანი საარჩევნო ბარიერი პარლამენტში მოსახვედრად. სხვა პარტიებთან შედარებით, ორ ძირითად პარტიას/ბლოკს („ერთიანი ნაციონალური

51. საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ, 30-ე მუხლი.

მოდრაობა“ და „ქართული ოცნება“) ყველაზე ნაკლები ქალი ჰყავდათ საარჩევნო სიებში.

კანონი არ აკონკრეტებს, რომ ფინანსური დანამატი უნდა მოხმარდეს მეტი ქალის წარდგენის წახალისებას, ან ქალ კანდიდატთა მხარდაჭერას. ამ საკითხს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო განიხილავს.

ბელარუსში პრეზიდენტმა დასახა მიზანი, რომლის შესაბამისადაც ეროვნულ ასამბლეაში ქალების 30%-იანი წარმომადგენლობა უნდა უზრუნველყონ.

ცხრილი 33: კვოტები და პოზიტიური ღონისძიებები

ქვეყანა	მიღებული კვოტა	იურიდი-ული მოთ-ხოვნა	სანქცია	აღსრულება	ნებაყოფლობით	სტიმული
სომხეთი	არა	დიახ	არა		არა	არა
აზერბაიჯანი	არა	არა	არა		არა	არა
ბელარუსი	არაფორმა-ლური 30%-იანი კვოტა	არა	არა		არა	არა
საქართველო	ნებაყოფ-ლობითი კვოტა	არა	პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ ნებაყოფლობით კვოტას, 2012 წელს ვერ მიიღეს 10%-იანი ფინანსური დანამატი ბიუჯეტიდან. 2014 წლიდან ფინანსური დანამატი 10%-დან 30%-მდე გაიზარდა.		დიახ	დიახ
მოლდოვა	არა	არა	არა		არა	არა

ქვეყანა	მიღებული კვოტა	იურიდი-ული მოთ-ხოვნა	სანქცია	აღსრულება	ნებაყოფლობით	სტიმული
უკრაინა	ნებაყოფ-ლობითი 30%-იანი კვოტა	არა	არა		დიახ	დიახ ⁵²

ცხრილი 34: ქალთა და მამაკაცთა წარმატების მაჩვენებლები საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში

ქვეყანა	კანდიდატები		არჩეული		წარმატების მაჩვენებელი	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
სომხეთი	950	214	117	14	12%	7%
აზერბაიჯანი	626	141	104	21	17%	14%
ბელარუსი	-	-	80	30	-	-
საქართველო	1 954	788	132	18	7%	2%
მოლდოვა	1 310	575	80	21	6%	4%
უკრაინა	5 099	1 240	371	51	7%	4%

მაჩვენებლები ევროპის საბჭოს ეგზავნება, რათა მონიტორინგი გაუწიოს რეკომენდაციას პოლიტიკური და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მონაწილეობის შესახებ Rec(2003)⁵³. ისინი გამოითვლება არჩეულ პირთა რაოდენობის გაყოფით კანდიდატთა რიცხვზე და მიღებული ციფრის 100-ზე გამრავლებით.

ქალ კანდიდატთა წარმატების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არა, მაგრამ განუხრელად ჩამორჩება მამაკაცებისას. უდიდესი სხვაობაა სომხეთში, ერთადერთ ქვეყანაში, რომელმაც კვოტები დაანესა. თუმცა არ გვაქვს ინფორმაცია, რა გავლენას ახდენს მაჩვენებელზე, როცა ქალები მამაკაცთა სასარგებლოდ ხსნიან კანდიდატურას არჩევის შემდეგ.

კვლევამ არსებული ინფორმაციის ფარგლებში შეისწავლა სხვადასხვა საარჩევნო სისტემებში ქალთა და მამაკაცთა წარმატების მაჩვენებლებიც.

52. საპარლამენტო პოლიტიკური პარტიები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ პოლიტიკური პარტიების ნორმატიული საქმიანობისათვის გამყოფილი სახელმწიფო დაფინანსების 10%-იანი დანამატი, რომელიც თანაბრად ნაწილდება უფლებამოსილ პარტიებს შორის, თუ პოლიტიკური პარტიიდან პარლამენტში არჩეულ წევრებს შორის ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ აღემატება ამ პოლიტიკური პარტიიდან არჩეული დეპუტატების საერთო რაოდენობას.

53. https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805e0848

ცხრილი 35: წარმატების მაჩვენებელი საარჩევნო სისტემის მიხედვით

ქვეყანა	საარჩევნო სისტემა	კანდიდატები		არჩეული		წარმატების მაჩვენებელი	
		მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
სომხეთი	პროპორციული	824	202	90	12	11%	6%
	მაჟორიტარული	125	12	41	2	33%	17%
საქართველო	პროპორციული	1 584	729	61	16	4%	2%
	მაჟორიტარული	370	59	66	7	18%	11%

სომხეთსა და საქართველოზე არსებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ქალებს, რომლებსაც მაჟორიტარ კანდიდატებად ირჩევენ იქ, სადაც მათი პარტიის გამარჯვება ივარაუდება, წარმატების მეტი შანსი აქვთ.

იგივე ვრცელდება პროპორციული წარმომადგენლობითი/პარტიული სისტემით არჩეულ მანდატებზე. თუ არ არსებობს მოთხოვნა ქალების გამსვლელ პოზიციებზე წარდგენის შესახებ, მაშინ წარმატების განსამზღვრელი მთავარი ფაქტორია პარტიის მიერ ამომრჩეველთა ხმების მოპოვების ალბათობა.

თუმცა ცხადია, რომ პროპორციული სისტემით უფრო მეტი ქალი აირჩევა, ვიდრე მაჟორიტარულით. საქართველოში ქალების 61%-მა მანდატი პროპორციული პარტიული სიით მოიპოვა (შედარებისათვის, 39%-მა მოიპოვა მაჟორიტარული სისტემით).

3. ქალთა მონაწილეობის ხელშემწყობი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ზომები

არც ერთ ქვეყანას არ ჰქონდა მიღებული ისეთი სპეციალური ზომები, როგორცაა ქალთა მონაწილეობის ხელშემწყობი სამუშაო გრაფიკი და მეთოდები - მაგალითად, შეძლებისდაგვარად თავშეკავება არდადეგებზე შეხვედრებისა ან გვიან ღამით სხდომების დაგეგმვისაგან.

მეტიც, რამდენიმე პარლამენტსა და ეროვნულ ასამბლეაში მოქმედებს წესები, რომლებიც ართულებს ქალთა მონაწილეობას. მაგალითად, უკრაინის პარლამენტში არ დაიშვებიან 16 წლამდე ბავშვები და არ არსებობს ჩვილთა კვებისათვის გამოყოფილი ცალკე ოთახი.

ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციული მთავრობები

საარჩევნო მეთოდი დამოკიდებულია საარჩევნო ოლქის ზომამზე; ხშირად ქალაქებში არჩევნები პატარა სოფლებისგან განსხვავებულად ტარდება.

კვლევისათვის გამოყენებული ინფორმაცია ეფუძნება ბოლო არჩევნებს და მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

ცხრილი 36: ბოლო ადგილობრივი (ადმინისტრაციული დონის) არჩევნების თარიღი

ქვეყანა	ბოლო არჩევნების თარიღი	კომენტარი
სომხეთი	-	სომხეთში არ არსებობს ადგილობრივი არჩევნების ფიქსირებული ციკლი და ყველა არჩევნები ერთსა და იმავე დროს არ ტარდება. ეს კვლევა მოიცავს 2010-2015 წლების პერიოდს. რეგულირდება 145-ე მუხლით: რეგულარული არჩევნების მოწვევისა და ჩატარების პერიოდულობა და კანდიდატთა წარდგენა და რეგისტრაცია.
აზერბაიჯანი	23 დეკემბერი, 2014	-
ბელარუსი	23 მარტი, 2014	-
საქართველო	15 ივნისი, 2014	-
მოლდოვა	14 ივნისი, 2015	-
უკრაინა	25 ოქტომბერი 2015	-

ცხრილი 37: კანდიდატთა შერჩევის მოთხოვნები და მეთოდები

ქვეყანა	მანდატის წონა	წარდგენა მიერ	წარდგენა პარტიის მიერ	საკუთარი თავის წარდგენა	სხვა სახის წარდგენა	კანდიდატის შემოსავალი	ფინანსური შენატანი
ბელარუსი	არ არის ინფორმაცია	არ არის ინფორმაცია					
საქართველო	5 242-დან 153 537-მდე	პარტიები ადგენენ პროპორციულ საარჩევნო სიას			-საარჩევნო ბლოკი - ამომრჩეველთა 1%-ის ხელმოწერებით; - 5 ადამიანისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის მიერ.		
მოლდოვა	არ არის ინფორმაცია	პარტიის გადაწყვეტილების მიხედვით; ბიოგრაფიული ინფორმაცია; წარდგენაზე თანხმობა; საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი.		- ადგილობრივი საბჭოს არჩევნები: ამომრჩეველთა 2%-ის, თუმცა არანაკლებ 50 ადამიანის მხარდაჭერა; - მერის არჩევნები: ამომრჩეველთა 5%-ის, თუმცა არანაკლებ 150 და არა უმეტეს 10 000 ადამიანის მხარდაჭერა.		ბოლო ორი წლის შემოსავლებისა და აქტივების დეკლარირება	
სომხეთი	არ არის ინფორმაცია	პარტიის წესდება და საარჩევნო სია ერევნის არჩევნებისთვის; პარტიის ტერიტორიული ერთეულის გადაწყვეტილება; მენატანის გადახდის ქვითარი; ბოლო 6 თვის განმავლობაში რაიონში ცხოვრების ცნობა; პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.		ინფორმაცია ისთივო, როგორც კოლიტიკური კანდიდატების შემთხვევაში.			მერობის კანდიდატი - მინიმალური ხელფასის 50-დან ათასამდე ოდენობა; ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით საბჭოს წევრობის კანდიდატი - მინიმალური ხელფასის 10-დან ათასამდე ოდენობა.

აზერბაიჯანი	51-დან 48 778-მდე						ინფორმაცია ბოლო წლის შემოსავლებზე; კანდიდატისა და მეუღლის სახელმწიფო რეგისტრირებული ქონების დეტალები.	
უკრაინა	83-დან 17 000-მდე	- პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და დალუქული სარეგისტრაციო განაცხადი; - პარტიის ადგილობრივი უმაღლესი მმართველი ორგანოს გადაწყვეტილების ასლი; - პოლიტიკური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ყრილობის გადაწყვეტილება; - კანდიდატთა სია (მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში); - კანდიდატთა თანხმობა წარდგენასა და მათი ბიოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნებამდე; - ქონების, შემოსავლის, ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების დეკლარაცია; - 4 ფოტოსურათი; - ფინანსური შენატანის ქვითარი (მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქისთვის); - კანდიდატთა უკრაინის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტის პირველი და მეორე გვერდების ასლები.		- ნარდგენის განაცხადი და თანხმობა ბიოგრაფიული მონაცემების გამოქვეყნებამდე; - ბიოგრაფიული მონაცემები. - ქონების, შემოსავლის, ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების დეკლარაცია; - 4 ფოტოსურათი; - ფინანსური შენატანის ქვითარი (მერობის კანდიდატებისათვის).			შესაბამის საარჩევნო ოლქში ყოველ 100 000 ამომრჩეველზე ერთი თვის მინიმალური ხელფასის ოთხმაგი ოდენობა.	

1. საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემები განსხვავდება. სომხეთში, საქართველოსა და უკრაინის მცირე ქალაქებში მერებსა და საბჭოს წევრებს ირჩევენ მაჟორიტარული სისტემით.

უკრაინის დიდ ქალაქებსა და მოლდოვაში მერი აირჩევა ერთი ან ორეტაპიანი არჩევნებით, თუკი პირველ ტურში ვერ გადალახავს ხმათა 50%-იან ზღვარს;

აზერბაიჯანში მას ირჩევენ მუნიციპალიტეტის წევრები არჩევნების შემდეგ ჩატარებულ პირველ სხდომაზე;

ბელარუსში რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიშნავს ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელებს.

საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში ადგილობრივ და რეგიონულ საბჭოებს ირჩევენ პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემით.

2. დეპოზიტი

ადგილობრივ დონეზე კანდიდატურის წარდგენისას დეპოზიტის მოცულობა უფრო ნაკლებია, ვიდრე მოითხოვება ეროვნულ დონეზე დასახელების შემთხვევაში, ხოლო თუ კანდიდატს პოლიტიკურ პარტია წარადგენს, დეპოზიტი შეაქვს პარტიას.

3. მანდატის წონა

როგორც ცხრილიდან ჩანს, მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავდება. ჩვენ არ გვაქვს ყველა ქვეყნის ინფორმაცია იმის დასადგენად, ადგილობრივ, სოფლის დონეზე უფრო მეტ ქალს ირჩევენ თუ დიდ ქალაქებში, თუმცა წინა კვლევა⁵⁴ სწორედ ამას ადასტურებს.

ცხრილი 38: არჩეულთა მაჩვენებლები ადგილობრივ დონეზე ბელარუსში - ინფორმაცია 27-ე მონვევის ადგილობრივ საბჭოებში არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობაზე (2014)

საბჭოს დონე	არჩეულ ქალ დეპუტატთა რაოდენობა	არჩეული დეპუტატების % მაჩვენებელი სქესის მიხედვით	
		მამაკაცი	ქალი
მინსკი	1	70.2	29.8
რეგიონული	6	80.3	19.7
რაიონული	118	67.6	32.4

54. „პარტიტული დემოკრატია: შორეული რეალობა. პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადამწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციაზე Rec(2003)3 მონიტორინგის პირველი და მეორე რაუნდების შედეგების შედარებითი კვლევა“, ევროპის საბჭო (2009), სტრასბურგი.

ურბანული რეგიონი	10	71.7	28.3
ურბანული რაიონი	14	59.1	40.9
პატარა ქალაქი	19	58.2	41.8
სოფელი	1160	48.4	51.6
სულ	1328	53.7	46.3

მკვლევარმა აღნიშნა, რომ ეს წესი არ მოქმედებს ქალების შემთხვევაში, რადგან რაც უფრო პატარაა საბჭო, მით მეტია მათი არჩევის შანსი. ადგილობრივ მცირე საბჭოში დეპუტატობა მოითხოვს მუშაობას დიდი ფინანსური სტიმულის გარეშე, რაც, მკვლევარის აზრით, მოტივაციას უკარგავს მამაკაცებს.

უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტის ანგარიშის თანახმად, რომელიც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს⁵⁵, 2015 წლის ვითარებამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალი იყო წარმომადგენლობითი ორგანოს დონე, მით ნაკლები ქალი წევრი ჰყავდა მას.

რეგიონი	12%;
რაიონი	23%;
სოფელი	51%;
დაბა	46%.

რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კანდიდატურის წარდგენაში ხელი შეუწყო ტერიტორიის კარგად ცოდნამ და თავისმა ცნობადობამ.

„მე აქ დავიბადე და, ჩემი სამსახურიდან გამომდინარე [იგი სკოლის დირექტორი იყო], ვიცნობ ხალხს და მათ პრობლემებს.“

4. დამოუკიდებელი კანდიდატები

ჩვენ მიერ მიღებული ინფორმაციით, დამოუკიდებელი კანდიდატები დაიშვებიან სომხეთში, მოლდოვასა და უკრაინაში. ბელარუსში დამოუკიდებელი კანდიდატები, ფაქტობრივად, საჯარო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დიდი ორგანიზაციებიდან არიან.

55. უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტი, უკრაინის 2015 წლის ადგილობრივი არჩევნების პროცესში ქალთა მონაწილეობაზე მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.

5. ადგილმონაცვლეობა

ცხრილი 39: ადგილმონაცვლეობა (ადგილობრივ) ადმინისტრაციულ დონეზე

ქვეყანა	როგორ ივსება ადგილები?
სომხეთი	თუ ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს წევრთა არჩევნები ბათილად ცხადდება, იმავე კანდიდატების მონაწილეობით ხელახალი არჩევნები ტარდება კენჭისყრიდან 21 დღის განმავლობაში. ამ სახის ხელახალი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ.
აზერბაიჯანი	ვაკანტური ადგილები ივსება კანდიდატის მიერ მოპოვებულ ხმათა უბრალო უმრავლესობით; არ არსებობს მოთხოვნა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა მინიმალური რაოდენობის შესახებ. თუ არჩევნების შედეგები კონკრეტულ ოლქში ბათილად გამოცხადდება, ახალი არჩევნები ამ ოლქში ტარდება მომდევნო ორი თვის განმავლობაში. თუ ა) მუნიციპალიტეტის არჩეული წევრი უარს ამბობს მანდატზე, ან ბ) კარგავს მას, ანდა გ) გარდაიცვლება - ახალი არჩევნების დანიშვნამდე ექვსი თვით ადრე, ამ კონკრეტულ უბანზე ახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს შემდეგი ორი თვის განმავლობაში. ა) და ბ) შემთხვევაში პირი, რომელმაც უარი თქვა/დაკარგა მანდატი, ხელახლა არ წარადგენენ.
ბელარუსი	არ არის ინფორმაცია
საქართველო	1. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა თავისი უფლებამოსილება, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი. 2. თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკიდან, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს იმავე პარტიული სიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი. 3. თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, შუალედური არჩევნები ტარდება მომდევნო მაისსა ან ოქტომბერში.
მოლდოვა	ახალი არჩევნები უნდა გამოცხადდეს თუ: - ადგილობრივი საბჭო გადადგება, დაიშლება, ან გახდება ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციისათვის კანონით დადგენილ რაოდენობაზე 1/3-ით ნაკლები; - მერი თანამდებობიდან გადადგება, გადააყენებენ ან აღარ შეიძლება თავისი უფლებამოსილების განხორციელება.
უკრაინა	მომდევნო კანდიდატი პარტიულ სიაში, თუ პარტიამ გადალახა გამსვლელი ქულა; ან ახალი არჩევნები მაჟორიტარულ სისტემის შემთხვევაში.

6. კვოტები და პოზიტიური ღონისძიებები ადმინისტრაციულ დონეზე

ცხრილი 40: კვოტები და პოზიტიური ღონისძიებები ადგილობრივ (ადმინისტრაციულ) დონეზე

ქვეყანა	მიღებული კვოტა (აღწერა)	სამართლებრივი მოთხოვნა	სანქციები	აღსრულება	ნებაყოფლობითი	წამახალისებელი
სომხეთი	არ შეესაბამება	არა				არა
აზერბაიჯანი	არ შეესაბამება	არა				არა
ბელარუსი	არ შეესაბამება	არა				არა
საქართველო	10%-იანი დამატებითი დაფინანსება ბიუჯეტიდან პარტიებისათვის, რომელთაც სიებში ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის 2 წარმომადგენელი ჰყავთ. 2014 წლიდან დაფინანსება 30%-მდე გაიზარდა მათთვის, ვინც ყოველ 10 კანდიდატს შორის, სულ მცირე, 30% ქალს წარმოადგენს.	არა	პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ნებაყოფლობით კვოტას, არ მიიღებენ დამატებით 30%-იან დაფინანსებას ბიუჯეტიდან.		დიახ	არა
მოლდოვა		არა				არა
უკრაინა	ახალი კანონით ადგილობრივი არჩევნების შესახებ 2015 წლის ადგილობრივ არჩევნებში თითოეული სქესისთვის შემოღებულია 30%-იანი კვოტა პარტიულ სიებში.	დიახ, მაგრამ კანონი გასაჩივრდა.	ზოგიერთი ადგილობრივი საარჩევნო კომისია არ არეგისტრირებს პარტიულ სიას, თუ ის არ შეესაბამება კვოტის მოთხოვნებს. ხერსონის რეგიონში ზოგ სიაში 30%-ზე ნაკლები მაშვაცი იყო წარმოდგენილი და, შესაბამისად, ისინი არ დაარეგისტრირეს საჭირო ცვლილებების შეტანის გარეშე.		კანონი გასაჩივრდა და, შესაბამისად, აღსრულება არათანაბარი იყო.	არა

საქართველოში ორმა პარტიულმა ბლოკმა შემოიღო ნებაყოფლობითი კვოტა და მიიღო 30%-იანი დამატებითი დაფინანსება. მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ მართალია, ხსენებული რეგულაცია დადებითად მოქმედებს ქალ კანდიდატთა რაოდენობაზე, მაგრამ ეს უკმარია და არაეფექტიანი არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის. თვითმმართველობის არჩევნებში 2014 წელს, 2010 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, ქალ კანდიდატთა რაოდენობა მაჟორიტარული მანდატების მოსაპოვებლად 11%-იდან 15%-მდე გაიზარდა, ხოლო პარტიულ სიებში - 20%-იდან 33%-მდე .

უკრაინაში 2015 წლის არჩევნებისთვის მიიღეს ახალი კანონი, რომლის მოთხოვნა იყო პარტიულ სიებში ნაკლებად წარმოდგენილი სქესის მინიმუმ 30%-იანი წარმომადგენლობა, თუმცა კანონი არ აკონკრეტებდა საკითხს სიაში კანდიდატის პოზიციის შესახებ. ის არჩევნების წინ მოკლე ვადებში წარმოადგინეს, მასზე დავა მიმდინარეობდა და, შესაბამისად, არაერთგვაროვნად გამოიყენეს.

უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტმა (CVU), ევროპის საბჭოს დავალებით, არჩევნების შედეგები განიხილა ქალთა წარმომადგენლობის ჭრილში⁵⁶. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აღსრულდა, კვლევამ აჩვენა, რომ შესწავლილ ქალაქის საბჭოებში წარმოდგენილი იყო 32.1% ქალი კანდიდატი, რომელთაგან აირჩიეს 18.1%; ოლქებში 29,6% ქალ კანდიდატს შორის 15% შეირჩა. გენდერული ბალანსი გაუმჯობესდა შესწავლილი 22 ქალაქიდან 11-ში და 22 ოლქიდან 17-ში. შესწავლილი ტერიტორიებიდან ქალების 11.4% ლიდერობდა სიაში, რაც ნიშნავდა, რომ მათ მეტი საჭაროა ჰქონდათ და უკეთ გაშუქდნენ მედიის მხრიდან.

უკრაინის ამომრჩეველთა კომიტეტის დასკვნით, ახალი ცვლილებები ეფექტიანი გამოდგა:

- ▶ მეტი ქალი იყო წარმოდგენილი სააგიტაციო მასალებში;
- ▶ ქალები მზად იყვნენ (ქალების 68.6% და მამაკაცების 59.3%), ხელახლა ეყარათ კენჭი;
- ▶ არ შეინიშნებოდა გამოცდილ, კვალიფიციურ და უნარიან ქალთა ნაკლებობა.

შემაჯამებელი დასკვნები

- ▶ ყველა ქვეყანაში არსებობს თანმიმდევრული საკანონმდებლო ბაზა ქალთა თანასწორი უფლებების უზრუნველსაყოფად. სომხეთსა და საქართველოში კონკრეტული კანონმდებლობა მოქმედებს არჩევნებში ქალთა უფლებების კუთხით.
- ▶ ზოგიერთი კანონმდებლობა შეიძლება პირდაპირ ან ირიბად დისკრიმინაციული იყოს ქალებისათვის. მაგალითად, იძულებით გადაადგილებულ ქალთა სტატუსი და ფინანსურ შენატანებზე შეზღუდვების არარსებობა მოლდოვაში. გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა შესაძლოა ირიბად დისკრიმინაციული იყოს, თუკი

არ ითვალისწინებს არასახარბიელო ფაქტორებს, რომელთა წინაშეც ქალები დგანან.

- ▶ მკვლევართა აზრით, თვითონ საარჩევნო სისტემებია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერი, ხოლო პროპორციული წარმომადგენლობითი/პარტიული სიის სისტემა ქალი კანდიდატებისათვის უფრო სასიკეთოა და ხელს უწყობს მათ. ციფრები საქართველოდან აჩვენებს, რომ პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემით უფრო მეტი ქალია არჩეული, ვიდრე მაჟორიტარული არჩევნებით. თუმცა, კვლევამ ვერ შეძლო ეჩვენებინა პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემის დადებითი გავლენა ქალ კანდიდატთა წარმატების მაჩვენებლებზე. როცა არ არსებობს მოთხოვნა სიაში ქალების გამსვლელ პოზიციებზე წარდგენის შესახებ, წარმატების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად რჩება პარტიის მიერ საკმარისი ხმების მოპოვების ალბათობა.
- ▶ ქალ კანდიდატთა წარმატების მაჩვენებლები განუხრელად ჩამორჩება მამაკაცებისას.
- ▶ არსებული მონაცემები ადასტურებს, რომ რაც უფრო მცირეა ტერიტორია, საიდანაც წარმომადგენელს ირჩევენ, მით მაღალია ქალების რაოდენობა.
- ▶ კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ სომხეთის, საქართველოსა და უკრაინის შემთხვევებში, საკანონმდებლო ან/და ადგილობრივ დონეზე შემოღებულმა კვოტებმა და პოზიტიურმა ღონისძიებებმა შეზღუდული, თუმცა დადებითი გავლენა იქონიეს.
- ▶ კვოტებისა და პოზიტიური ღონისძიებების შესახებ კანონთა ეფექტიანი აღსრულება აუცილებელია მათი წარმატებისათვის.
- ▶ გარდა იმ სირთულეებისა, რომლებიც განხილულია პოლიტიკური პარტიების შესახებ დოკუმენტის ნაწილში პოლიტიკური პარტიის მიერ ქალი კანდიდატის მიღებასთან დაკავშირებით, შემოსავლებისა და საკუთრებაში არსებული ქონების დეკლარირების მოთხოვნამ შესაძლოა ქალები არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენოს ამომრჩეველთან. ხშირად ქალი კანდიდატები საჭარო სექტორში მუშაობენ და, შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, მნიშვნელოვან შემოსავალს, დანაზოგს ან ქონებას ფლობდნენ.
- ▶ ფინანსური ხარჯი და კამპანიის საჭაროობის სირთულე, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი შემაჯამებელი ფაქტორია ქალებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის.
- ▶ ქალ კანდიდატთა წარმატების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არა, მაგრამ განუხრელად ჩამორჩება მამაკაცებისას. ყველაზე დიდი სხვაობაა სომხეთში, ერთადერთ ქვეყანაში, რომელმაც კვოტები დაანება. თუმცა არ გვაქვს ინფორმაცია, რა გავლენას ახდენს მაჩვენებლებზე, როცა ქალები მამაკაცთა სასარგებლოდ ხსნიან კანდიდატურას არჩევის შემდეგ.
- ▶ სომხეთსა და საქართველოზე არსებული ინფორმაცია გვიჩვენებს, რომ ქალებს, რომლებსაც მაჟორიტარ კანდიდატებად ირჩევენ იქ,

56. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://cvu.org.ua/eng>.

სადაც მათი პარტიის გამარჯვება ივარაუდება, წარმატების მეტი შანსი აქვთ.

- ▶ კვოტების არსებობის შემთხვევაში, მათი ეფექტიანობა ბათილდება, თუ ქალებს შეუძლიათ, სიის დამტკიცების ან არჩევნების შემდეგ მოხსნან კანდიდატურა მამაკაცთა სასარგებლოდ.
- ▶ საქართველოს შემთხვევაში, იმ პარტიების სახელმწიფო დაფინანსების გაზრდაზე მიმართულმა პოზიტიურმა ზომამ, რომელთაც პარტიულ სიებში ქალების, მინიმუმ, 30%-იანი წარმომადგენლობა ჰყავდათ, წარმატებით გაზარდა ქალ კანდიდატთა რაოდენობა ადგილობრივ (ადმინისტრაციულ) არჩევნებში: მაჟორიტარული მანდატებისათვის 11-15 %-იდან და პარტიული სიით მიღებული ადგილებისათვის 20%-იდან (2010 წ.) 33 %-მდე (2014 წ.).

ღ) ხელშეწყობი ღონისძიებები

მკვლევარებს დაევალებათ ნებისმიერი კონკრეტული ღონისძიებების გამოვლენა, რომლებიც, მათი აზრით, ხელს უწყობს ქალ კანდიდატთა წარდგენასა და არჩევას.

სომხეთი

მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მუშაობს ყოველწლიური კონკურსის გამართვაზე, რომლის მიზანია გენდერული ცნობიერების ამაღლება. ჭილდოები გადაეცემათ შემდეგ ნომინაციებში:

- ▶ გენდერული პოლიტიკის განმახორციელებელი საუკეთესო ურბანული თემი;
- ▶ გენდერული პოლიტიკის განმახორციელებელი საუკეთესო სოფლის თემი;
- ▶ საუკეთესო ქალი მენარმე;
- ▶ საუკეთესო მედიასაშუალება, რომელიც აშუქებს გენდერულ საკითხებს.

ყველაზე წარმატებული ასპექტია გენდერული საკითხების წამოჭრა სოფლებში, სადაც გაბატონებულია კულტურული სტერეოტიპები.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში არ გამოვლენილა ხელშემწყობი ღონისძიებები.

ბელარუსი

ბოლო წლების განმავლობაში მოხდა გარკვეული დადებითი ცვლილებები, რომლებიც გასათვალისწინებელია.

ოპოზიციური მოძრაობები და გაერთიანებები

2011 წელს საზოგადოებრივმა ასოციაციამ „ქალთა დამოუკიდებელი დემოკრატიული მოძრაობა“ წამოიწყო მუშაობა ეროვნულ გენდერულ პლატფორმაზე (NGP). დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა და დაახლოებით 30 ორგანიზაციამ (ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი გაერთიანებები) ხელი მოაწერა დოკუმენტს. თუმცა, მას შემდეგ ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. წელიწადში ორჯერ წევრები მართავენ რეგულარულ შეხვედრებს, მაგრამ ჯერჯერობით მათ რეალური ცვლილებები არ მოჰყოლია.

ქალთა ქსელი „მარა“ ჩამოყალიბდა 2014 წელს. იგი აერთიანებს ახალგაზრდა ქალებს (ოპოზიციური) პოლიტიკური პარტიებიდან, რომელთაც სურთ დადებითი ცვლილებების შეტანა თავიანთ პარტიებში და, ზოგადად, ქალთა რაოდენობის გაზრდა როგორც პარტიაში, ასევე მის მმართველ საბჭოში. მათი მუშაობა ძირითადად შიდაპარტიულ ორგანიზაციას უკავშირდება და არა პოლიტიკას.

საქართველო

საარჩევნო ერთეულების რაოდენობა

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მანდატების რაოდენობა გაიზარდა თითოეულ თვითმმართველ ერთეულში. რაკი პროპორციული პარტიული სიით უფრო მეტ ქალს ირჩევენ, საარჩევნო ერთეულთა რაოდენობის გაზრდა (10-დან 15-მდე თითოეულ თვითმმართველ თემში) ქალი კანდიდატებისათვის ხელსაყრელი ფაქტორია. თუმცა, მაჟორიტარული სისტემის ერთმანდატიანი ოლქები არ შეცვლილა და ამ მხრივ ქალები კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაში არიან.

საარჩევნო ბარიერი

ვინაიდან ქალები ძირითადად საარჩევნო სიების ბოლოში არიან, დანეული (7% -დან 5%-მდე) საარჩევნო ბარიერი ზრდის მათი არჩევის შანსებს.

ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა მხარდაჭერა

საარჩევნო მასალები და ხმის მიცემის ინსტრუქციები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე; სატელევიზიო დებატები უმცირესობათა ენებზეც იმართება არჩევნებში მათი მონაწილეობის გასაზრდელად.

მოლდოვა

ტრენინგი

ქალების კანდიდატებად მომზადება და წახალისება უნდა დაიწყოს არჩევნებამდე, სულ ცოტა, ორი წლით ადრე. 2007 წელს, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, 163 ქალი მერი აირჩიეს, ხოლო 2011 წელს - 166. ნათელი იყო, რომ საარჩევნო კამპანიამდე ტრენინგებზე მიმართული ძალისხმევა არსებითად ვერ ზრდის არჩეულ ქალთა რაოდენობას. ბევრმა ორგანიზაციამ გაცილებით ადრე დაიწყო ტრენინგების ჩატარება მომდევნო - 2015 წლის ადგილობრივი არჩევნებისათვის, როცა 183 ქალი მერი აირჩიეს.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და განვითარების პროგრამა ატარებდნენ ტრენინგს ქალ კანონმდებელთათვის. იგი მიზნად ისახავდა სოციალური მედიის ეფექტიანი გამოყენების სწავლებას, მათი ცნობადობის გასაზრდელად და ამომრჩეველთან ურთიერთობაში დასახმარებლად.

კვობები

გენდერული თანასწორობის პლატფორმა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციაა, რომლის მიზანია გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკაში და, უწინარესად, 40%-იანი კვობის დაწესება ქალებისათვის მოლდოვის პარლამენტში.

2016 წლის აპრილში ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც შემოღებულია, მინიმუმ, 40%-იანი კვობა პარტიულ სიებში ქალ კანდიდატათათვის. თუმცა, როგორც ჩანს, კანონს ჯერჯერობით არ აქვს სავალდებულო ძალა.

მედია

2013 წელს, დამოუკიდებელი პრესის ასოციაციისა და გაეროს ქალების მიერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის⁵⁷ ფარგლებში, განხორციელდა პროექტი, სადაც 17 ბეჭდური და ონლაინ მედიასაშუალება გარეშე ექსპერტთა მიერ შემუშავებული სქემით ანალიზებდა ქალთა და მამაკაცთა გაშუქებას მათ მიერ. ანალიზის შედეგები ყოველთვიურად ქვეყნდებოდა. პროექტის მიმდინარეობისას, ცხრა თვის განმავლობაში, მედიასაშუალებათა მიერ ქალებისა და მამაკაცების გაშუქება შედარებით გათანაბრდა, თუმცა ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი პრობლემები. 2013 წლის თებერვალში ქალები სტატიათა 16.7%-ში იყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო 2013 წლის ოქტომბერში მაჩვენებელი 28,6%-მდე გაიზარდა.

57. http://api.md/upload/editor/FINAL_REPORT_Mass-media_institutions_self-assessment_through_gender_dimension.pdf.

უკრაინა

საინიციატივო ჯგუფი გენდერული თვალსაზრისით თანასწორ შესაძლებლობათა უზრუნველსაყოფად

პირველად 2011 წელს უზენაეს რადაში (უკრაინის პარლამენტი) შეიქმნა საპარლამენტო ჯგუფი „თანასწორი შესაძლებლობები“, რომელშიც 15 დეპუტატი გაერთიანდა სხვადასხვა ფრაქციიდან. ინიციატორებმა პრიორიტეტულ საკითხად განსაზღვრეს ქალთა და მამაკაცთა თანასწორი შესაძლებლობების გაზრდა შემდეგ სფეროებში:

- ▶ შრომის ბაზარი;
- ▶ განათლება;
- ▶ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა;
- ▶ უკრაინის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

კერძოდ, ჯგუფი გეგმავდა სოციალურ საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობას, რომლებიც მიმართული იქნებოდა ოჯახში ძალადობასთან ბრძოლაზე, ასევე, ბავშვების, ოჯახებისა და მარტოხელა დედებისა თუ მამების დაცვაზე. ერთ-ერთი პირველი ერთობლივი საკანონმდებლო ინიციატივა შეეხებოდა უკრაინის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანას ოჯახში ძალადობაზე პასუხისმგებლობის გასამკაცრებლად. უკრაინელი დეპუტატები, რომლებიც შეუერთდნენ ასოციაციას, ასევე მიიჩნევდნენ, რომ მათი ერთ-ერთი ამოცანა იყო საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა გენდერული პოლიტიკისადმი. კერძოდ, ისინი „გეგმავდნენ, წამოეჭრათ ნებაყოფლობითი კვობის დაწესების საკითხი პარტიის საარჩევნო სიებში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად“.

VII მონვევის პარლამენტმა გააგრძელა ტრადიცია და 2012 წლის 25 დეკემბერს შექმნა თანასწორი შესაძლებლობების საინიციატივო ჯგუფი. ახლადშექმნილი საპარლამენტო ჯგუფის დეპუტატები შეთანხმდნენ, დაეცვათ გენდერული თანასწორობის პრინციპები ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩასართველად და შეემუშავებინათ ერთობლივი საკანონმდებლო ინიციატივები.

განსხვავებულმა პოლიტიკურმა პოზიციებმა 2013 წელს ჯგუფი საბოლოოდ გაყო ორად. ამ მონვევის პარლამენტის საქმიანობის ბოლომდე იგი არ იყო აქტიური უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო.

2014 წელს პარლამენტის წევრებმა შექმნეს მრავალპარტიული გენდერული გაერთიანება „თანასწორი შესაძლებლობები“, რომლის შემადგენლობაშიც 26 დეპუტატი იყო. ისინი გეგმავდნენ ორ ძირითად თემაზე მუშაობას: გენდერული თანასწორობის დაცვა პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა აქტიური მონაწილეობისათვის და ერთობლივ საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა ამ თვალსაზრისით.

ჯგუფი მუშაობდა შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში:

- ▶ ბრძოლა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ;
- ▶ ქალებისა და ბავშვების დაცვა;
- ▶ თანასწორი შესაძლებლობები ქალთა და მამაკაცთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

უკრაინაში მრავალპარტიული გენდერული საინიციატივო ჯგუფის ოთხწლიანმა საქმიანობამ წარმატებებიც მოიტანა და გამოწვევებიც.

წარმატებებს შორის შეიძლება დასახელდეს შემდეგი პრაქტიკა:

- ▶ გენდერული საკითხების აქტუალიზაცია პარლამენტში, მაგ.: კამპანია ძუძუს კიბოს წინააღმდეგ, ან გენდერულ საკითხებზე საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ▶ გენდერული კვლევის დამტკიცება ორ კანონში: „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ (2013) და „ადგილობრივი არჩევნების შესახებ“ (2015);
- ▶ „საბავშვო ოთახის“ გახსნა ერთ-ერთ საპარლამენტო შენობაში.

ამავდროულად, ჩამოთვლილი საქმიანობებით უფრო ეფექტიანი შედეგების მიღწევის გზაზე კვლავ ბარიერად გვევლინება გარკვეული გამოწვევები:

- ▶ გენდერული პოლიტიკის არასწორი გაგება დეპუტატების მიერ, მათ შორის, დამოკიდებულება, რომ „ბავშვების საკითხები ქალების საკითხებია“;
- ▶ ფრაქციათა პოლიტიკური დიფერენციაციის გაგრძელება გენდერული საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის
- ▶ სამოქალაქო საზოგადოებასა და გენდერულ საინიციატივო ჯგუფს შორის ძლიერი კავშირის ნაკლებობა;

გემოსხსენებული გამოწვევების მიუხედავად, უზენაესი რადას გენდერულმა საინიციატივო ჯგუფმა „თანასწორი შესაძლებლობები“ დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა გენდერის საკითხის წინა პლანზე წამოწევის მხრივ.

რესპონდენტთა პასუხები

53 ქალ რესპონდენტს სთხოვეს იმ ძირითადი საკითხების დასახელება, რომლებიც დაეხმარათ საარჩევნო კამპანიისას და არჩევნის შემდეგ.

უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ოჯახის მხარდაჭერა.

ბევრ რესპონდენტს, კერძოდ, მათ, ვინც მცირე ქალაქებსა და სოფლებში იყრიდნენ კენჭს, კამპანიაში მხოლოდ ოჯახის წევრები ეხმარებოდნენ. პოლიტიკური პარტიების მხრიდან მხარდაჭერა ძირითადად შემოიფარგლებოდა ბროშურებისა და სხვა სააგენტო მასალების მიწოდებით. სამმა რესპონდენტმა ახსენა პარტიის მიერ კანდიდატისათვის გამართული ბრიფინგი, ხოლო ერთმა - კონკრეტული ტრენინგი ქალ კანდიდატათვის ლიდერობასა და კომუნიკაციაში. ორმა მათგანმა აღნიშნა, რომ პარტიის ლიდერი უჭერდათ მხარს, ასევე ორმა დაასახელა მხარდაჭერის წყაროდ პარტიაში მიღებული გამოცდილება.

ერთ შემთხვევაში პარტიამ კამპანიის ფარგლებში ღონისძიებები და კონცერტები გამართა.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მოიხსენიეს ერთ-ერთ მხარდამჭერებად. ისინი ტრენინგებისა და სემინარების საშუალებით ეხმარებოდნენ კანდიდატებს. სამმა რესპონდენტმა ახსენა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ორგანიზებული სწავლება. თუმცა ზოგმა გამოკითხულმა აღნიშნა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მიღებული ზოგადი დახმარება და მხარდაჭერაც, რომელმაც ხელი შეუწყო მათ კანდიდატობას. ერთი კანდიდატი წაახალისა საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც მის ეთნიკურ უმცირესობას უჭერდა მხარს.

ყურადღება გამახვილდა სხვა საკითხებზეც, როგორცაა:

- ▶ პარტიული სიის სისტემა, რაც ნიშნავს, რომ მათ კამპანიის დამოუკიდებლად წარმოება არ უნევდათ;
- ▶ კვლევები ქალებისათვის პარტიულ სიებში;
- ▶ საპარლამენტო ჯგუფი „თანასწორი შესაძლებლობები“, რომელმაც ადგილობრივი შეხვედრა გამართა;
- ▶ სოციალური მედია, როგორც ზოგადად, ასევე დიასპორისაგან მხარდაჭერის საშუალება (ახსენა სამმა ადამიანმა);
- ▶ ხელმძღვანელების შეგროვება ადგილობრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად;
- ▶ ადგილობრივ თემში ცნობადობა – ეს უმეტესწილად მცირე სოფლებსა და ქალაქებს ეხება.

ხელშემწყობი ქმედებების მაგალითები სხვა ქვეყნებში

ცნობიერების ამაღლება

თურქეთში ქალ კანდიდატთა მხარდამჭერი ასოციაცია KADER ინოვაციურ მედიაკამპანიებს იყენებდა მათი სიმცირის ხაზგასასმელად. 2007 წელს ასოციაციამ შექმნა პლაკატები, რომლებზეც გამოსახულნი იყვნენ ცნობილი ბიზნესმენი ქალები, მსახიობები და მომღერლები ჰალსტუხებში და უღვაშებით. პლაკატებს ახლდა დევიზი: „პარლამენტში შესასვლელად აუცილებელია, იყო კაცი?“

2009 წელს მათ გამოიყენეს ბილბორდები, გვერდიგვერდ მდგომი სამი მამაკაცი ლიდერით ძირითადი პარტიებიდან და ტექსტით, რომელიც მიაჩნებდა, რომ თითოეული მათგანი მამაკაც კანდიდატებს უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა, ვიდრე ქალებს⁵⁸.

58. www.hurriyetdailynews.com/default.aspx?pageid=438&n=campaign-for-women-launched-at-empty-hall-2010-10-11.

რეკრუტირების ინიციატივები

2012 წელს ამერიკელი ქალებისა და პოლიტიკის ცენტრის (რატჯერსის უნივერსიტეტი) მიერ ინიცირებული პროექტის სამიზნე ბენეფიციარები იყვნენ 45 წელს გადაცილებული ქალები, რომლებიც მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობდნენ და ოჯახური პასუხისმგებლობები შედარებით შემსუბუქებული ჰქონდათ. გამოიკითხეს, განუხილავთ თუ არა ამ ქალებს თავი პოლიტიკურ წარმომადგენლებად და, წარმატების მიღწევაში დასახმარებლად, დააკავშირეს კვლევითი სასწავლო პროგრამებისა და ფონდების მოძიების ქსელებს⁵⁹.

მეორე ასაკობრივ კატეგორიაში საერთაშორისო გოგონა სკაუტების ორგანიზაცია მრავალ ქვეყანაში მართავდა გრძელვადიან კამპანიას სახელწოდებით: „მისი იქ მიყვანისათვის“. კამპანია მიზნად ისახავდა „დაბალანსებულ ხელმძღვანელობას“ და „თაობის განმავლობაში ქალების სამართლიან წარმომადგენლობას ხელმძღვანელ პოზიციებზე ადგილობრივი აპარატში და დონეზე“.

სახსრების მოზიდვის ქსელები

ორგანიზაცია EMILY's List (ემილის სია) 1985 წელს დაარსდა აშშ-ში. მისი მიზანია ქალების რეკრუტირება და სწავლება, ასევე, მხარდამჭერებისაგან საარჩევნო სახსრების მოძიება ქალ კანდიდატთათვის. მისი განცხადებით, ორგანიზაცია ეხმარებოდა კონგრესის წევრ 87 დემოკრატ ქალს, 16 სენატორს, 9 გუბერნატორსა და 500-ზე მეტ ქალს სახელმწიფო და ადგილობრივი აპარატში⁶⁰.

პოლიტიკურ პარტიათა ქმედებები

ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ მიიღო მოკლევადიანი პოლიტიკა „ყველა ქალის სია“. როდესაც მოქმედი ქალი ან მამაკაცი დეპუტატი ტოვებს მანდატს, რომელსაც, სავარაუდოდ, მოიპოვებს პარტია, მისმა წევრებმა კანდიდატი უნდა შეარჩიონ ქალების სიიდან. ეს პრაქტიკა გამოიყენება როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე. 2015 წლის არჩევნების შედეგად ლეიბორისტული პარტიის დეპუტატთა 43% ქალია.

შვედეთში ძირითადი პარტიების ქალთა ორგანიზაციებმა შეადგინეს მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს პოტენციურ ქალ კანდიდატთა სახელებსა და რეზიუმეებს. ეს მონაცემები გადაეცემათ პარტიის ხელმძღვანელებს, თუკი ისინი გადაწყვეტენ პარტიული სიისათვის ქალი კანდიდატების მოძიებას⁶¹.

59. www.cawp.rutgers.edu/sites/default/files/resources/pressrelease_10-07-10_2012.pdf.

60. www.emilyslist.org.

61. Wistrand B. (1981), შვედი ქალები მოძრობაში, შვედური ინსტიტუტი, სტოკჰოლმი.

სამუშაო პირობები პარლამენტში

დანიამი 19:00 საათის შემდეგ კენჭისყრა არ იმართება. შვედეთში კენჭისყრის საღამოს ჩატარებას შეძლებისდაგვარად არიდევენ თავს; ჩვეულებრივ, ის არ ტარდება ორშაბათსა და პარასკევსაც. პარლამენტთა დაახლოებით 40% თავიანთ სამუშაო განრიგს სასკოლო არდადეგებს უთავსებს⁶².

შოტლანდიაში წევრებისა და სტუმრებისათვის ხელმისაწვდომია ბავშვის მოვლის ცენტრები. ეს განიხილება, როგორც „ღია და ხელმისაწვდომი პარლამენტის შექმნის მნიშვნელოვანი ნაწილი.“⁶³

შემაჯამებელი დასკვნები

- ▶ სასწავლო პროგრამები მნიშვნელოვანია ქალების წახალისებისათვის საკუთარი კანდიდატურების წარდგენის მხრივ, ასევე, კამპანიის განმავლობაში და არჩევის შემდეგ მათ მხარდასაჭერად. ეფექტიანობის მიზნით, პროგრამები უნდა დაიწყოს არჩევნებამდე, სულ მცირე, ორი წლით ადრე;
- ▶ არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ტრენინგების მიწოდებასა და ქალების წახალისებაში საკუთარი კანდიდატურების წარსადგენად;
- ▶ პარტიული სიის სისტემა ხელს უწყობს ქალებს, რადგან კამპანიის წარმოება უფრო ადვილია ჯგუფურად;
- ▶ არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალი კანდიდატების მიერ ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოპოვებაში, ასევე, კანონმდებლებზე გავლენისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაში;
- ▶ მედიის თვითმონიტორინგის შედეგად, მოიმატა ქალების შესახებ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობამ;
- ▶ პარტიებს შორის გენდერულ საკითხებზე ერთიერთმხარდაჭერასა და თანამშრომლობას - მაგალითად, გენდერული საინიციატივო ჯგუფის მსგავსად უკრაინაში - შედეგად მოაქვს ამ საკითხების წინა პლანზე წამოწევა და პროგრესი;
- ▶ შეიძლება წარმატებული იყოს ქალების კონკრეტულ ჯგუფებზე (მაგ.: უფრო ასაკოვან ან ახალგაზრდა ქალებზე) მიმართული კამპანიები;
- ▶ ფინანსური რესურსის პრობლემის გადაჭრამ შესაძლოა მეტ ქალს უბიძგოს არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენისაკენ.
- ▶ სამუშაო პირობები პარლამენტსა და ადგილობრივ საბჭოებში შეიძლება შეიცვალოს და უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ქალებისათვის.

62. Palmieri S. (2011), გენდერულად მგრძობიარე პარლამენტი, პარლამენტთაშორისი კავშირი, ვენევა.

63. www.scottish.parliament.uk/visitandlearn/12522.aspx.

თავი 4

დასკვნები

კვლევამ წარმოადგინა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ქალთა მდგომარეობის შესახებ, ასევე იმაზეც, თუ რა გავლენას ახდენს ეს მათ შესაძლებლობებზე როგორც კენჭისყრის, ისე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე არჩევის კუთხით.

კვლევაში მონაწილე თითოეულ ქვეყანას აქვს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა და მამაკაცთა თანასწორ უფლებებს, თუმცა, ქალები იქ პოლიტიკაში არ არიან თანასწორად წარმოდგენილნი. საშუალოდ, ყველა საკვლევი ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში ქალები კანდიდატთა 23%-ს შეადგენენ, მათგან ირჩევენ მხოლოდ 16%-ს. წარდგენილ კანდიდატთა რაოდენობა მერყეობს 30%-დან (მოლდოვა) 18%-მდე (სომხეთი და აზერბაიჯანი). ბელარუსის პარლამენტში არჩეულ კანდიდატთა შორის 27%-ია ქალი, ხოლო სომხეთში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 10%-ს შეადგენს.

ქვეყნებს შორის ბევრი მსგავსებაა და, განსხვავებული პოლიტიკური რეალობებისა და გამოწვევებისა მიუხედავად, ისინი ერთიანდებიან სურვილით, რომ გამონახონ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის გზები.

კვლევამ დაადასტურა მნიშვნელოვანი ბარიერების არსებობა, რომლებიც ზღუდავს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას.

ყველა მკვლევარმა და 53-იდან 21-მა რესპონდენტმა ძირითად ბარიერად დაასახელა ის, რომ ყველა საკვლევი ქვეყანაში გაბატონებული იყო კულტურული სტერეოტიპები, დამოკიდებულებები, ღირებულებები, ნორმები და წინასწარგანწყობები საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობის შესახებ. არსებობს რწმენა, რომ ქალის მთავარი როლია შინ ყოფნა და ოჯახის მოვლა, და რომ მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება ან, მამაკაცთა მსგავსად, ორგანიზაციების მართვა.

ქალების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ყველაზე აშკარად ვლინდება ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებაში. მაშინაც კი, როცა არსებობს კანონმდებლობა - როგორც აზერბაიჯანში, საქართველოსა და მოლდოვაში - მიმართვიანობისა და სამართლებრივი დევნის შემთხვევათა რაოდენობა დაბალია, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებულ შეტყობინებებთან შედარებით. მაგალითად, დადგენილია, რომ ბელარუსში ყოველი სამი ქალიდან ერთი ფიზიკურ ძალადობის მსხვერპლია.

ქალები ეკონომიკურადაც არასახარბიელო მდგომარეობაში არიან. საშუალოდ, ქალების 52% და მამაკაცთა 65% მონაწილეობს შრომის ბაზარზე.

ქალებს ნაკლები შემოსავლები აქვთ. ყველა საკვლევი ქვეყანაში ისინი, საშუალოდ, მამაკაცთა შემოსავლის 59%-ს გამოიმუშავენ.

ქალებს უკავიათ მენეჯერული პოზიციებიც - ამ მხრივ, ბელარუსი და მოლდოვა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოკითხულ 128 ქვეყანას შორის პირველ ათეულში არიან. თუმცა, ისინი ხშირად განიცდიან სეგრეგაციას სამუშაო ადგილებთან მიმართებით და ძირითადად დაბალანაზღაურებად სექტორებში მუშაობენ, როგორცაა სასტუმრო და კვების სერვისები, საცალო ვაჭრობა, განათლება, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყველა საკვლევ ქვეყანაში, გარდა აზერბაიჯანისა, უმაღლესი განათლების მქონე ქალების პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებისა.

კულტურული სტერეოტიპები და მათი გავლენა ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე შემაკავებელი ფაქტორია და მათ უყალიბებს განწყობას, რომ არ შეუძლიათ არჩევნებზე კენჭისყრა.

ამჟამად ქალი კანდიდატები და არჩეული ქალები უმცირესობაში არიან. ეს ნიშნავს, რომ მათგან ხშირად მოელოდნენ ერთი და იმავე როლის მამაკაცზე უკეთესად შესრულებას. უფრო ეფექტიანი, კომპეტენტური ქალების ყოფნა პარლამენტებში, ეროვნულ კრებებსა და ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებში გაზრდიდა მათ ცნობადობას. ისინი ნაკლებად იქნებოდნენ გამონაკლისი, გაიზრდებოდა საზოგადოების ნდობაც ქალთა მიერ საქმის კეთების უნარისადმი, რაც ხელს შეუწყობდა სტერეოტიპულ შეხედულებებთან ბრძოლას.

ამის დამადასტურებელია ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა შესახებ. ქალებს, რომლებმაც კენჭი იყარეს, მნიშვნელოვანი უნარები და გამოცდილება აქვთ. თითქმის ყველა მათგანი უმაღლესდამთავრებულია: 100% - სომხეთში, აზერბაიჯანსა და ბელარუსში; და 98% - უკრაინაში. გამოკითხულ ქალებს ძალაუფლების მქონე და გავლენიანი თანამდებობები ეკავათ, რომლებიც პროფესიულ და მენეჯერულ უნარებს მოითხოვდა - მაგალითად, იყვნენ საავადმყოფოების ხელმძღვანელები, იურისტები და კოლეჯების მმართველები.

ნათელია, რომ მიუხედავად ქალების ეკონომიკური მდგომარეობისა, ზოგადად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არ იგრძნობა მცოდნე და კვალიფიციურ ქალთა ნაკლებობა, რომელთაც პოლიტიკური როლის შესრულება შეუძლიათ.

არსებითი მონაცემები, რომლებიც მიღებულია კვლევის ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, აჩვენებს, რომ იცვლება დამოკიდებულებები ქალის, როგორც პოლიტიკური წარმომადგენლის მიმართ და ეს ყველაზე სწრაფად ახალგაზრდა ამომრჩევლებში შეიმჩნევა. NDI-ის კვლევამ უკრაინაში⁶⁴ აჩვენა, რომ ამომრჩევლებს კანდიდატის გამოცდილება და პოლიტიკური შეხედულებები უფრო აინტერესებს, ვიდრე სქესი.

ამ მხრივ, საზოგადოება იმ პოლიტიკურ პარტიებსა და ადამიანებზე პროგრესულია, რომლებიც კანდიდატებს არჩევენ.

64. გაეროს განვითარების პროგრამა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (2011), „ქალების გაძლიერება უფრო ძლიერი პოლიტიკური პარტიებისათვის“, UNDP და NDI, ნიუ იორკი.

გამოკითხვაში ჩართულ მხოლოდ სამ პოლიტიკურ პარტიას ჰყავს ლიდერად ქალი, შვიდში კი ხელმძღვანელის მოადგილის პოსტი უკავია. უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოებში ქალების პროცენტული მაჩვენებელი მერყეობს 40%-დან (აზერბაიჯანის ერთი პარტია) 5-10%-მდე (სომხეთი).

კვლევის მონაწილე პარტიების უმრავლესობაში შექმნილია ქალთა დეპარტამენტები ან ორგანიზაციები, თუმცა ეს არ აისახება მათ პოლიტიკაზე. სომხეთში, საქართველოში, ბელარუსსა და უკრაინაში არც ერთ გამოკითხულ პარტიას არ წარმოუდგენია ბოლო საარჩევნო პროგრამაში ისეთ საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკა, როგორცაა ქალთა წარმომადგენლობა ან ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობასთან ბრძოლა.

ეს ხელს უწყობს იმ შეხედულების დამკვიდრებას, რომ ქალების საკითხები არ არის მნიშვნელოვანი და მათ ადგილი არ აქვთ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკურ პარტიებს სულ უფრო მეტად მოუწევთ დამოუკიდებლად მოაზროვნე ახალგაზრდა, მათ შორის, ახალგაზრდა ქალ ამომრჩეველთა ხმების მოპოვება. შესაძლოა, სწორედ ამან გამოიწვიოს ცვლილება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საარჩევნო სისტემები და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შემადგენელი თუ ხელშემწყობი ფაქტორები. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ საარჩევნო სისტემა ვერ მოიტანს საჭირო ცვლილებებს, მკვლევართა და ინტერვიუერთა აზრით, პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა უფრო ხელსაყრელია ქალებისათვის. ეს სისტემა ყველაზე ეფექტიანია, როდესაც თან ახლავს სხვა ისეთი ზომებიც, როგორცაა კვოტები ან/და პოზიტიური ღონისძიებები.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი მაგალითები სომხეთსა და უკრაინაში, სადაც დაწესებულია საკანონმდებლო კვოტები, აჩვენებს ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა რაოდენობის მცირე ზრდას. თუმცა სომხეთში, კვლევის მონაწილე იმ ერთადერთ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს სავალდებულო გენდერული კვოტები, არსებობს პრაქტიკა, როდესაც ქალები მამაკაცთა სასარგებლოდ ხსნიან კანდიდატურას სიის დამტკიცების ან არჩევნების შემდეგ, რაც ზემოხსენებული ზომის მიზანს ეწინააღმდეგება.

უკრაინის მაგალითი, სადაც 2015 წლის ადგილობრივ არჩევნებზე დაწესდა 30%-იანი კვოტა, მაგრამ ეს საყოველთაოდ არ გამოუყენებიათ, გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ეფექტიანი აღსრულება და იმის დაკონკრეტება, რომ ქალები გამსვლელ პოზიციებზე უნდა წარადგინონ პარტიულ სიებში.

ნებაყოფლობითი პოზიტიური ღონისძიება საქართველოში არ აღმოჩნდა ეფექტიანი არჩეულ ქალთა რაოდენობის გაზრდის მხრივ. ის ითვალისწინებდა იმ პოლიტიკური პარტიების დამატებით დაფინანსებას, რომლებიც თავიანთ სიებში ქალების გარკვეულ თანაფარდობას წარადგენდნენ. არაეფექტიანობის მიზეზი იყო ამ ზომის მიღება მხოლოდ მცირე პარტიების მიერ, რომელთაც პარლამენტში არჩევის ნაკლები შანსი ჰქონდათ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია კვოტების დაკანონება და პარტიულ სიებში ქალების გამსვლელ პოზიციებზე წარდგენის მოთხოვნა.

ამასთან, აუცილებელია კვოტების სათანადოდ აღსრულება. თუ ქალი მოხსნის კანდიდატურას არჩევნების, ან სიის დამტკიცების შემდეგ, იგი უნდა ჩაანაცვლოს სხვა ქალმა კანდიდატმა.

ფინანსური ნახალისება უნდა გავრცელდეს ყველა პარტიაზე და, ამასთან, დაკონკრეტდეს, რომ სახელმწიფო დაფინანსების ნებისმიერი ზრდა უნდა დაიხარჯოს მეტი ქალი კანდიდატის ნახალისებაზე არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ასევე, მათი კამპანიების მხარდაჭერაზე.

გამოკითხულთა თანახმად, კულტურულ სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებთან ერთად, ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერია ფინანსური რესურსების ნაკლებობა. ხარჯები უკავშირდება კანდიდატად შერჩევას, ასევე, შეხვედრებსა და კონფერენციებზე დასწრებას პოლიტიკურ პარტიაში საკუთარი თავის წარმოსადგენად. თუმცა, გამოკითხული ქალებისათვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო უშუალოდ კამპანიის ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ სააგიტაციო მასალებსა და ბუკლეტებს, ზოგადად, პარტიები აწვდიდნენ, ქალ კანდიდატებს პირადი სახსრებით უწევდათ საჭირო რესურსების მოზიდვა. ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას დამოუკიდებელ კანდიდატთათვის, რადგან ზოგ შემთხვევაში მათ ფინანსური რესურსები მოსაპოვებელი აქვთ საკუთარი კანდიდატურის წარსადგენადაც.

ვინაიდან ქალები ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, ნაკლებად მიუწვდებთ ხელი ფინანსურ სახსრებზე და, შესაბამისად, ვერ სარგებლობენ არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრის უფლებით.

პარტიული დაფინანსება, ძირითადად, გამარჯვების მეტი შანსის მქონე კანდიდატებისაკენ მიემართება, რითაც განმტკიცდება არსებული წყობა.

კვლევისას განხილული კვოტებისა და სხვა სპეციალური ზომების სანაწარმდეგო ერთ-ერთი არგუმენტი ის იყო, რომ კანონმდებლობა მამაკაცებსა და ქალებს კანდიდატობისა და არჩევნის თანასწორ უფლებებს ანიჭებს. თუმცა, „გენდერულად ნეიტრალური“ კანონმდებლობა ვერ აგვარებს ამ სახის უთანასწორობებს და უგულებელყოფს ამკარა უთანასწორობის არსებობას ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებში. მისი მოგვარება შეიძლება მხოლოდ ისეთი დროებითი სპეციალური ზომების მიღებით, როგორცაა ეფექტიანი კვოტები და პოზიტიური ღონისძიებები.

შეუძლებელია იმის უგულებელყოფაც, რომ ქალთა უთანასწორობის პრობლემის გადაჭრას არსებითი გავლენა ექნება იმ მამაკაცთა რაოდენობაზე, რომლებიც ამჟამად ფლობენ მანდატებს არჩევით ორგანოებში, და სწორედ ამ ორგანოებს მოუწევთ საკანონმდებლო ინიციატივის წარმოდგენა ცვლილებების მისაღწევად.

თუმცა, ამომრჩეველთა შეხედულებების შეცვლა და დემოკრატიული ლეგიტიმურობისაკენ სწრაფვა ქალთა და მამაკაცთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გათანაბრების მამოძრავებელი ძალაა. არსებობს გარკვეული ქმედებები, რომელთა განხორციელებითაც შესაძლებელია ამის მიღწევა.

თავი 5

რეკომენდაციები

კონკრეტული ძვეყნისათვის

სომხეთი

განსახილველია იმ ზომების დაწესება, რომლებიც აღკვეთს პარტიულ სიებში კვოტირებისთვის საფრთხის შემცველ პრაქტიკას, როდესაც ქალები პარტიული სიის დამტკიცების ან არჩევნების შემდეგ ხსნიან კანდიდატურას მამაკაცთა სასარგებლოდ. მაგალითად, ამის გაკეთება შესაძლებელია კანონმდებლობაში ჩანაწერის შემოტანით, რომლის თანახმადაც, გადამდგარი წევრი უნდა ჩაანაცვლოს პარტიულ სიაში ნაკლებად წარმოდგენილი სქესის მომდევნო კანდიდატმა.

აზერბაიჯანი

განსახილველია პოზიტიური ღონისძიებების შემოღება, მაგალითად, პოლიტიკური პარტიების ფინანსური ნახალისება, რათა მათ ქალები დაასახელონ გამსვლელ პოზიციებზე.

ბელარუსი

სახელმწიფომ უნდა განიხილოს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რათა დაიცვას გენდერული თანასწორობის პოლიტიკა.

საქართველო

უნდა უზრუნველყონ, რომ ფინანსური დანამატი, რომელსაც მიიღებენ პარტიულ სიებში ქალთა გარკვეული თანაფარდობის წარმომდგენი პოლიტიკური პარტიები, მოხმარდეს ქალების კანდიდატებად შერჩევის, მათი კამპანიებისა და პირველად არჩეული ქალების მხარდაჭერას. დანამატის მიღება შესაძლებელია ამ ქმედებათა დემონსტრირების შესაბამისად.

განხილვის საგანად უნდა იქცეს პარტიების მხოლოდ ფინანსური ნახალისების ეფექტიანობა ქალ კანდიდატთა და არჩეულ ქალთა რაოდენობის გასაზრდელად, მათი არაეფექტიანობის შემთხვევაში კი განიხილონ სხვა ინიციატივებიც.

მოლდოვა

სრულფასოვნად უნდა განხორციელდეს ახლახან მიღებული კანონმდებლობა პარტიულ სიებში ქალების 40%-იანი კვოტის დანერგვის თაობაზე. ეს უნდა მოხდეს მოთხოვნის განსაზღვრით ამ სიათა გამსვლელ პოზიციებზე ქალების წარდგენისა და კანონის ეფექტიანი აღსრულების შესახებ.

უკრაინა

სათანადოდ უნდა აღსრულდეს წესი ადგილობრივ არჩევნებზე პარტიულ სიებში 30%-იანი კვოტის შესახებ, მოთხოვნასთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პარტიებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმით. გაიზარდოს კანონის ეფექტიანობა მოთხოვნის დანერგვით პარტიულ სიებში ქალების გამსვლელ პოზიციებზე წარდგენის შესახებ.

16 წლამდე ბავშვებს პარლამენტის შენობაში შესვლის ნება დართონ, ხოლო მშობლები უზრუნველყონ საბავშვო ოთახით.

საქართველო, მოლდოვა და უკრაინა

უნდა განიხილონ საკანონმდებლო კვოტების დანერგვა საკანონმდებლო ორგანოებში პროპორციული წარმომადგენლობითი არჩევნებისათვის.

ყველა ქვეყანა

პოლიტიკური პარტიები

მისაღებია ზომები მეტი ქალი კანდიდატის წარდგენისა და არჩევის წასახლისებლად და მხარდასაჭერად, მათ შორისაა:

- ▶ კანდიდატთა შერჩევის გამჭვირვალე კრიტერიუმების დანერგვა, რომლებიც არ ეფუძნება ფინანსურ წვლილს პარტიაში;
- ▶ ქალი კანდიდატების ფინანსური მხარდაჭერა;
- ▶ მათი ხელშეწყობა და არჩევნებამდე, სულ მცირე, ორი წლით ადრე ტრენინგების ჩატარება (მოლდოვის ხელშეწყობი პრაქტიკის მაგალითი);
- ▶ პარტიის მიერ სტრატეგიის შემუშავება ქალი წევრებისა და კანდიდატების შესაძლებლობათა გასაძლიერებლად;
- ▶ არჩევის შემდეგ ქალების სწავლება და მხარდაჭერა;
- ▶ პარტიის ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალების რაოდენობის გაზრდისკენ მიმართული ქმედებების განხორციელება;
- ▶ ქალი კანდიდატებისა და არჩეული წარმომადგენლების ცნობადობის გაზრდა მედიაში;
- ▶ პარტიის საზოგადოებრივი საქმიანობისას გენდერული ბალანსის დაცვა ჯგუფებში და მრგვალ მაგიდებთან;

- ▶ პარტიის ქალ წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად, პარტიის პოლიტიკასა და მანიფესტში ქალთა საკითხების წარმოდგენა და მათი ფართოდ გავრცელება;
- ▶ პარტიაში ქალთა გაერთიანებისა და ორგანიზაციების გაძლიერება, ასევე, სივრცისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა მისი პროგრამებისა და პოლიტიკის განხილვისათვის;
- ▶ პარტიის ყველა დონეზე, კერძოდ, ადგილობრივ ერთეულებში, ქალების კანდიდატებად წარდგენისა და არჩევის ხელშეწყობი პოლიტიკის გაცნობა და განხორციელება;
- ▶ კანდიდატთა შესარჩევ ჯგუფებში გენდერული ბალანსის დაცვა;
- ▶ სტერეოტიპული შეხედულებების დაძლევა ქალების შესახებ და მათი პრობლემების წინ წამოწევა პარტიის წამყვან წევრთა საჯარო განცხადებების საშუალებით;
- ▶ პარტიის წევრთა ქცევის სტანდარტების დანერგვა ქალი კანდიდატებისა და არჩეული წევრების შეურაცხყოფელ კომენტარებსა და ქმედებებთან დაკავშირებით და მათი სათანადო აღსრულება.

მთავრობები/მმართველი პარტიები

ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის მხარდაჭერა შემდეგი საშუალებებით:

- ▶ სამთავრობო კომიტეტებში უნდა დანერგოს ქალ ხელმძღვანელთა და მოადგილეთა კვოტები;
- ▶ განიხილონ იმ კანონმდებლობის მიღება, რომელსაც დადებითი გავლენა ექნება ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და მათი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების მოგვარებაზე, ასევე, სამართლებრივი კვოტებისა და პოზიტიური ღონისძიებების შემოღება, რომლებიც უზრუნველყოფს ქალების მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურსაც;
- ▶ გაანალიზდეს „გენდერულად ნეიტრალური“ კანონმდებლობა, რათა შეფასდეს მისი განსხვავებული მოქმედება ქალებსა და მამაკაცებზე, და გატარდეს ზომები უარყოფითი გავლენის შესამცირებლად: მაგალითად, დროებითი ღონისძიებები არჩევით ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად;
- ▶ ქალთა საკითხები წარმომადგენელთა საკანონმდებლო პროგრამაში და განიხილონ თანასწორი შესაძლებლობების (გენდერული) ჯგუფის დაფუძნება (უკრაინის მაგალითი);
- ▶ მხარი დაუჭირონ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების განხორციელებას - საკმარისი რესურსების გამოყოფით, მიღებული ზომებისა და მათი წარმატების მონიტორინგით, შეფასებითა და საზოგადოებისათვის გაცნობით;
- ▶ წახალისონ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენელი ორგანიზაციები, რომ მხარი დაუჭირონ და

ტრენინგებით უზრუნველყონ ქალი კანდიდატები და ადმინისტრაციულ ორგანოებში არჩეული ქალები;

- ▶ ეროვნულმა პარლამენტებმა, ასევე, ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა, მიღებული კონსულტაციების საფუძველზე, გამონახონ მუშაობის ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალებს. მათ შორისაა ღონისძიებები, რომლებიც ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობათა მქონე პირებს პროცესში სრული მონაწილეობის საშუალებას მისცემს;
- ▶ ქალების მიმართ პატივისცემით მოპყრობის უზრუნველსაყოფად, არჩეული წევრებისათვის შემოიღონ ქცევის სტანდარტები, რომლებიც სათანადოდ აღსრულდება;
- ▶ სტატისტიკის სამსახურებმა შეაგროვონ გენდერული ნიშნით დიფერენცირებული საიმედო სტატისტიკური ინფორმაცია დევნილების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა და საზღვარგარეთ მცხოვრები მოქალაქეების შესახებ;
- ▶ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიებმა აწარმოონ გენდერული ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური მონაცემები საკანონმდებლო, რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებში წარდგენილი კანდიდატებისა და არჩეული პირების შესახებ;
- ▶ მხარი დაუჭირონ არჩევით თანამდებობებზე მყოფ ქალთა ქსელებს, ასევე ქალთა შესაძლებლობების გაძლიერების ინიციატივებს;
- ▶ ეროვნულმა და ადგილობრივმა მთავრობებმა და საჯარო სამსახურებმა შეაგროვონ გენდერული ნიშნით დიფერენცირებული საიმედო მონაცემები არჩევით თანამდებობებზე მყოფი ქალების შესახებ.
- ▶ არჩევით თანამდებობებზე მყოფ პირთათვის შემუშავდეს კამპანიები გენდერულ საკითხებსა და ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მნიშვნელობაზე ცნობიერების ასამაღლებლად.

ჩარჩოს მიღმა

მილა ტეშაივა (კიევი, 1974) იყენებს ფოტოგრაფიას, რათა ცნობისმოყვარე მკვლევარის გადმოსახედიდან გაიაზროს საზოგადოებების მამოძრავებელი ძალა. მისი სერია „ჩარჩოს მიღმა“ ასახავს აქტიურ ქალთა ყოველდღიურ რეალობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ ოცნებებსა და გამონგვევებს. ფოტოებზე აღბეჭდილი ქალები სხვებისთვის მისაბაძი სახეები არიან - ცოცხალი მტკიცებულებები, რომ ღირს მათ მუნიციპალიტეტებში მერის ან ადგილობრივი მრჩევლის პოზიციიდან დაპირისპირება ოჯახურ ძალადობასა თუ ადრეულ ქორწინებასთან და ცხოვრების უკეთესი სტანდარტებისთვის ბრძოლა. ეს სამუშაო ინიცირებულია GIZ-ის რეგიონული პროექტით სამხრეთ კავკასიაში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების შესახებ. გამოფენა გაიმართა ამ პუბლიკაციის (ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში) პრეზენტაციისას კიევში, 2016 წლის დეკემბერში.



ნუნე ავაგიანი
გომკის მუნიციპალური საბჭოს წევრი, სომხეთი.

„ქალებს შეუძლიათ, იზრუნონ პატარა საქმეებზე, რომლებიც შეიძლება უმნიშვნელოდ გვეჩვენებოდეს, მაგრამ მცირე ნაწილები წარმოგვიდგენენ დიდ მთელს.“



თამარ დალაქიშვილი
თეთრიწყაროს მუნიციპალური საბჭოს წევრი, საქართველო.



შალალა ცაფაროვა
ზ. ტაგევის მუნიციპალური საბჭოს წევრი



თამარ დალაქიშვილი,
თეთრიწყაროს მუნიციპალური საბჭოს წევრი

„ყოველთვის არსებობს სოფელში ხალხთან განსახილველი საკითხები. მას შემდეგ, რაც მონაწილეობა მივიღე DAYAQ-ის სწავლების პროგრამაში, ბევრი ახალი იდეის გაზიარება შემიძლია.“



მალაპატ მამადოვა, თემის ლიდერი კორგოში, აზერბაიჯანი.



ლუდმილა ხალილოვა
გარაჩუხურის მუნიციპალური საბჭოს წევრი;
ხელმძღვანელი არასამთავრობო ორგანიზაციისა
„ქალები მუნიციპალური განვითარებისათვის“;
DAYAQ ქსელის კოორდინატორი;
აზერბაიჯანი

“„ბებია ყოველთვის მეუბნებოდა: - არსებობს ოთხი კუთხე ოთახში და არასდროს უნდა იცოდე, სად არის კარი. თუ ერთ კუთხეში ცუდად გექცევია, უბრალოდ, სხვა კუთხეში გადადი. მე განსხვავებული წესების შემოღება გადავწყვიტე საკუთარ ცხოვრებაში და ახლა ვცდილობ, კარის პოვნაში დავეხმარო ქალებს ჩემს მუნიციპალიტეტში.“



მალაპატ ალიევა,
მასაზირის მუნიციპალური საბჭოს წევრი, აზერბაიჯანი



ევა ლომთაძე
მუნიციპალური საბჭოს კომიტეტის ხელმძღვანელი
ლაგოდეხი

„მე ვიცი ვანონი და ჩემი
ცოდნის გამოყენება
მეხმარება საერთო
პრობლემის მოგვარებაში.
ვამაყოფ, რომ შეუძელი
150 ოჯახისთვის სახლების
აშენება ჩვენს რეგიონში.
თავდაპირველად
ეს შეუძლებელი
ჩანდა, მაგრამ მე
რეალობად ვაქციე.“



გომკის მუნიციპალური საბჭოს წევრი
სომხეთი

„როდესაც პირველად ამირჩიეს მუნიციპალიტეტში, მეონდა მამაკაცებით დომინირებულ გუნდთან მუშაობის სირთულეები, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ დავამტკიცე, რომ ვერავინ შემიშლიდა ხელს ჩემი საქმის კეთებაში.“



ნათელა გოგოლაძე
ბორჯომის მუნიციპალური საბჭოს წევრი
საქართველო



მალაპატ მამადოვა
კორგოზის თემის ლიდერი



ლუდმილა ხალილოვა
გარაჩუხურის მუნიციპალური საბჭოს წევრი;
ხელმძღვანელი არასამთავრობო ორგანიზაციისა
„ქალები მუნიციპალური განვითარებისათვის“;
DAYAQ-ის ქსელის კოორდინატორი.
აზერბაიჯანი

დანართი 1

კონტექსტური ნარატიული მიმოხილვის კითხვარი აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეული ქვეყნისათვის

რესპონდენტის დეტალები	
შეავსო	ქ-ნი <input type="checkbox"/> ბ-ნი. <input type="checkbox"/>
სახელი	
გვარი	
ქვეყანა	

1. შესავალი

კვლევის ფარგლებში განხორციელებული
სამუშაოს აღწერა: მაქსიმუმ 300 სიტყვა.

მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები/მიგნებები და სირთულეები, როგორცაა მონაცემთა არარსებობა და ა.შ.: მაქსიმუმ 300 სიტყვა.

მოკლევადიანი შედეგები:

გრძელვადიანი შედეგები:

მიგნებები:

სირთულეები:

გამოყენებული მეთოდოლოგია: მაქსიმუმ 300 სიტყვა.

შეხვედრების რაოდენობა _____

პირი, თანამდებობა, ინსტიტუტების დასახელება:

ძირითადი გამოყენებული წყაროები:

სხვა (დააზუსტეთ):

II. ფონური ინფორმაცია

ეკონომიკური ინფორმაცია (მონაცემები):

მშპ ერთ სულ მოსახლეზე _____ / წყარო:

სიღარიბის მაჩვენებელი: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

შემოსავალი: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

შემოსავლების წილი: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

შემოსავლები: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

დასაქმების მაჩვენებელი გენდერის მიხედვით: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

სოციალური ფონი (მონაცემები):

უმაღლესი განათლების მქონეთა წილი: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

ქალების წილი უმაღლეს/ცენტრალურ ადმინისტრაციაში: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

დევნილები: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

უმცირესობები: ქალები _____; მამაკაცები _____ / წყარო:

შინამეურნეობები ძირითადი მომსახურებების გარეშე: _____ / წყარო:

ბავშვების რაოდენობა შინამეურნეობაში: _____ / წყარო:

ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები – დააზუსტეთ: ____

_____ / წყარო:

პოლიტიკური ფონი (მათ შორის, ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ომი/კონფლიქტები, პოლიტიკური სტაბილურობა/არასტაბილურობა, მდგომარეობა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კუთხით, ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობა/ამომრჩევლის ასაკი, ქალთა დამოუკიდებელი მოძრაობები/არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოკიდებულებები კვოტების სისტემის მიმართ: მაქსიმუმ 400 სიტყვა).

III. ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც არეგულირებს თანასწორ მონაწილეობას და მისი მიღების ისტორია (კონსტიტუცია, კონკრეტული კანონები გენდერული თანასწორობის შესახებ, კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ, რეგულაციები).

კითხვა	დიახ/ არა	დადებითი პასუხის შემთხვევაში – სამართლებრივი დებულება/ კანონის დასახელება	მიღების თარიღი
უზრუნველყოფს სამართლებრივი ჩარჩო თანაბარ უფლებებს ქალებისათვის?			
შეიცავს თუ არა იგი კონკრეტულ უფლებებს ქალებისათვის, რომ იყარონ კენჭი და დაიკავონ საჯარო თანამდებობა?			
არის თუ არა სამართლებრივი ჩარჩოში ქალებისთვის არასახარბიელო რამე დებულება?			

IV. საკანონმდებლო ხელისუფლება

საარჩევნო სისტემების შესახებ⁶⁵

	ბოლო არჩევნების თარიღი	___/___/___
1.	<p>მიუთითეთ საარჩევნო სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • უბრალო უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა: უბრალო უმრავლესობა ანუ პირველს ირჩევენ თანამდებობაზე; • აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა: აბსოლუტური უმრავლესობა (ორტურიანი სისტემა); • პროპორციულ წარმომადგენლობითი სისტემა; • ღია სიები; <input type="checkbox"/> ღია • დახურული სიები; <input type="checkbox"/> დახურული • სხვა, დააზუსტეთ _____ <input type="checkbox"/> სხვა <p>• ნახევრადპროპორციული წარმომადგენლობითი სისტემა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ღია სიები; <input type="checkbox"/> ღია • დახურული სიები; <input type="checkbox"/> დახურული • სხვა, დააზუსტეთ _____ <input type="checkbox"/> სხვა 	

65 • ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა: უბრალო უმრავლესობა, ანუ პირველს ირჩევენ თანამდებობაზე: ეს სისტემა მოქმედებს, როდესაც არჩეულად ითვლება ყველაზე მეტი ხმის მქონე კანდიდატი. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა კანდიდატი მიიღებს საერთო ხმების საკმაოდ დაბალ რაოდენობას, მას მაინც აირჩევენ, თუკი ყველაზე მეტ ხმას მოიპოვებს. მაგალითი გაერთიანებული სამეფო.

• ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა: აბსოლუტური უმრავლესობა (ორტურიანი სისტემა): კანდიდატის ასარჩევად საჭიროა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა. თუ პირველ ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, იმართება მეორე ტური, სადაც მონაწილეობს მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი და აირჩევა ის, რომელიც მოიპოვებს ხმათა უბრალო უმრავლესობას. მაგალითი: საფრანგეთი.

